

საქართველოს იბლიოთეკა

სამეცნიერო-პოპულარული და მეთოდური მუცნაფი



გუნების კარი - 150



ბიბლიოთეკის
ნარგებების რეცეპტი



დავით სარკიშვილი - 170



ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს; ჟურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. აკრეფილი ტექსტი უნდა იყოს Sylfaen შრიფტით და გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე

მთავარი რედაქტორი: ალექსანდრე ლორია

სარედაქციო კოლეგია:
 გურამ თაყნიაშვილი
 გულნარა სტურუა
 მათა მიქაბერიძე
 მირიან ზოსიტაშვილი
 რუსუდან ასათიანი

ყდის დიზაინი: გიგი გელაშვილი

ტექნიკური რედაქტორები: ლოლა სანაია

დაკაპადონება: მარიამ ნათაძე

საქართველოს ბიბლიოთეკა N4 (73) - 2018; გამოიცემა 2000 წლიდან
 საავტორო უფლება: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ამ ჟურნალში გამოქვეყნებული დავით სარაჯიშვილის, დიმიტრი ყიფიანის, ივანე ჯავახიშვილის, იოსებ ყიფშიძის და აკაკი შანიძის ფოტოები აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა 'ივერიელიდან'.

„პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის პროექტებით ჩვენი საქართველოს თითოეულ მოქალაქემდე მივადით“

პრეზიდენტის სასახლეში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის საქმიანობის ანგარიშის ელექტრონული წიგნის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი, დიპლომატები და პროექტის მონაწილეები ესწრებოდნენ.

ღონისძიებას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი აბაშიშვილი უძღვებოდა, რომელმაც დეტალურად ისაუბრა იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და რა მიმართულებებს მიენიჭა პრიორიტეტი. მისი განცხადებით, 2014-2018 წლებში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა 100-ზე მეტი სხვადასხვა ორგანიზაციის 405 პროექტი.

ფონდის პრიორიტეტები განისაზღვრება ყოველწლიურად და გამოხატავს პრეზიდენტის ხედვას ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ.

პრეზიდენტის ფონდიდან დაფინანსდა პროექტები კონსტიტუციის პოპულარიზაციაზე, დემოკრატიული ცნობიერების ამაღლებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციულ გაძლიერებაზე, ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობასა და მათ ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია მასშტაბური კამპანიები: შენი ხმა ჩვენი მომავალია, კონსტიტუცია ყველასია, დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - პირველი რესპუბლიკის 100 წელი, ვისწავლათ ქართული - (ეროვნული უმცირესობებისათვის), მოითხოვე ქართული.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობისა და უმაღლესი სასწავლებლების განვითარების ხელშეწყობას.

პრეზიდენტმა მოწვეულ სტუმრებს მადლობა გადაუხადა პროექტებში მონაწილეობისათვის და ჰუმანური იდეების დამკვიდრების, აქტიური საზოგადოებრივი და საქველმოქმედო საქმიანობისათვის

ღირსების ორდენებით დააჯილდოვა: ნინო ქადაგიძე - ჟვანია, - ორგანიზაციის "პირველი ნაბიჯი" დამფუძნებელი; ნინო ცინცაძე, - ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრის "პორტიჯი" დამფუძნებელი; ნინო კიკნაძე, - ბავშვთა ჰოსპისის „ციცინათელების ქვეყანა“ დამფუძნებელი; რუსუდან ასათიანი, - საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი; თამარ (იზა) ბეჭაური, - კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის ხელმძღვანელი;

"ეს ფონდი არის შესაძლებლობა იყო პიროვნულ შეხებაში შენს მოქალაქეებთან და მოგუწოდებ მათ, რომ არ შეეკეცონ, არამედ პირიქით, მისცენ მომავალ პრეზიდენტს შესაძლებლობა უფრო მეტად ეუროთიერთოს საქართველოს მოქალაქეებს და მეტად მისცენ შესაძლებლობა, რომ ემსახუროს თავის სამშობლოს, მე იმედი მაქვს, რომ ისინი ამას შემისმენენ", - აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

შეხვედრის დასრულებისას საქართველოს პრეზიდენტმა ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა 1922 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოცემულ „საქართველოს კონსტიტუცია“, რომელიც მას 2017 წელს საფრანგეთში ვიზიტისას, ლევილის ქართულ მამულში უსახსოვრეს, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს კი, ივანე ჯავახიშვილის ხელით შესრულებულ საქართველოს რუკას VII-VIII საუკუნის მდგომარეობით, რომელიც გიორგი მარგველაშვილს მოქალაქე მამუკა ბებიაძე აჩუქა.

ამ შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პრეზიდენტის მიერ დაფინანსებულ მნიშვნელოვან პროექტებს შორის ყველაზე წარმატებული პროექტი იყო საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტი "ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას", რამაც დიდი წვლილი შეიტანა საჯარო ბიბლიოთეკების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვასა და ბიბლიოთეკების მოდერნიზაციის საქმეში.

საქართველოს ბიბლიოთეკა №4 (73) - 2018
შინაარსი

ბიბლიოგრაფიული ძიებანი

რუსუდან წაქაძე - პირველი ცნობები „ბუნების კარის“ გამოცემებზე.....3
გურამ თაყნიაშვილი - ქართული ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის სათავეებთან.....5

წიგნის ისტორია

ნინო ხვედელიძე - მეთხუთმეტე საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცემა.....8

ბიბლიოთეკის იუბილე

ნინო მახანაშვილი - თსუ-ს ბიბლიოთეკის საუკუნოვანი ისტორია.....11

ღირსეული მამულიშვილები

გულნარა სტურია - ის სამაგალითო მამულიშვილი იყო.....14
გიორგი სარაჯიშვილი - ქაშვეთის ეკლესია და დავით სარაჯიშვილი.....17
გურამ თაყნიაშვილი - პეტრე უმიკაშვილი სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელი.....22
ლია გიგაური - მოუხელთებელი თავისუფლება.....24

მკითხველთა მომსახურება

ერთი დღე ბიბლიოთეკარის ცხოვრებიდან.....27

IREX ინფორმაცია

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელას ბიბლიოთეკის წარმატების რეცეპტი.....32

ესეების კონკურსი

სოსო კოტორეიშვილი - ესე-ამბავი.....34
სულიკო სვანიძე - მიღწეულია, რასაც ითხოვდა.....35
მარიამ მარჯანიშვილი - და ფურცლაგდა წარსულს.....36
მამუკა ლიპარტელიანი - ჩემს სიტყვას საქმედ ვაქცევ.....39

კორესპონდენციები

მაია სიმონიშვილი - ეროვნული ბიბლიოთეკა იუნესკოსა და იფლას ფორუმზე.....40
მარინე დიდებულძე - ფრანკურტის წიგნის ბაზრობის დელეგატი ხაშურიდან.....42
თამარ ბენდიაშვილი - წიგნიერი მომავალი რაჭას და ქვეყანას.....46
მზია ხოსიტაშვილი - ეროვნული ბიბლიოთეკა ქუთაისის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე.....47

ინფორმაცია - რეცენზიები

როზეტა გუჯეჯიანი - „აუხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“.....49
ალექსანდრე ლორია - ნაშრომი ეთნოლოგის საკითხებზე.....50
ალექსანდრე ლორია - წიგნი სასულიერო და საერო მოღვაწის შესახებ.....50
ალექსანდრე ლორია - საინტერესო არქეოლოგიური ნაშრომი.....51

რ ე ვ ი უ

დავით გიგინეიშვილი - ბაროკოს ფესტივალი კვლავ ჩვენთანაა.....52

ქ რ თ ნ ი კ ა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა.....57
საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების კალენდარი.....61

ნეკროლოგი


თამარ ხიდუშელი - ბაკურაძის ხსოვნას.....68

ბიბლიოგრაფიული ძიებანი

ხუხუან ნაჩაძე

პირველი ცნობები „ბუნების კარის“ გამოცემებზე

„ბუნების კარი“ - 150



გოგებაშვილის „ბუნების კარი“ საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სახმარებელი“ პირველად 1868წელს გამოქვეყნდა. ქართველი მოწინავე პრესათავიდანვე აქტიურად გამოეხმაურა გოგებაშვილის მეორე სახელმძღვანელოს „ბუნების კარის“ შესახებ გაზეთ „დროების“ 1868 წლის 12(24) იანვრის მეორე ნომერში მოთავსებული პირველი საბიბლიოგრაფიო ცნობა: „იბეჭდება ანბანის შემდეგ პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის იაკობ გოგებაშვილისა“, (იგივე ცნობა განმეორებულია იმავე გაზეთის მეხუთე ნომერშიც). „დროების“ 1868 წლის 3 (15) მაისის ნომერში უკვე დაბეჭდილია უფრო დაწვრილებითი საბიბლიოგრაფიო ცნობა: საკითხავი წიგნი მოსწავლე ყმაწვილთათვის, ი. გოგებაშვილისაგან შედგენილი. მომავალ თვეში გამოვა ბეჭდვად. წიგნს შეადგენენ სხვადასხვაგვარი სტატიები: ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანთროპოლოგიური, ფიზიკური და გეოგრაფიული. გოგებაშვილის „საკითხავი წიგნი მოსწავლე ყმაწვილთათვის“, რომლის სახელწოდებაც ჯერ-ჯერობით უცნობია საზოგადოებისათვის, უკვე იბეჭდებოდა 1868 წლის იანვრიდან, და პირვანდელი სახით 1867 წელს მაინც იყო შედგენილი.

ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ მისი „ქართული ანბანის“ („დედა ენა“) გაგრძელებას წარმოადგენდა და განკუთვნილი იყო საკითხავ წიგნად დაბალი კლასების მოსწავლეთათვის. ამგვარი დანიშნულების სასკოლო სახელმძღვანელო „ბუნების კარამდე“ ჩვენს სკოლებს არ გააჩნდა.

„ბუნების კარი“ პირველი სასკოლო საკითხავი წიგნი იყო ქართულ ენაში. პირველ გამოცემაში სასწავლო-საკითხავი მასალა ორ განყოფილებად არის დალაგებული. პირველ განყოფილებაში, რომელიც ბუნების შესწავლას ისახავს მიზნად, „წინასტატიებს“ შემდეგ მოთავსებულია საკითხავი მასალები ბუნებისმეტყველებიდან და გეოგრაფიიდან, ხოლო „ბუნების კარის“ მეორე განყოფილებაში ავტორს მხოლოდ 18 მასალა მოუთავსებია, ამათგან 4 ხალხური ლექსია, 6- ორიგინალური-ნიკოლოზ ბარათაშვილის, აქვეა აკაკის „სიმღერა მკის დროს“ და ნაწყვეტი ილიას პოემიდან- „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ამავე განყოფილებაშია მოთავსებული ექვსი ლექსის თარგმანი- „ყვავილი“- პუშკინისა თარგმნილი ალ. ჭავჭავაძის მიერ), „ჩიტი“(ილიას თარგმანი). „მამულის სიყვარული“- უნგრული ლექსი ანტონ ფურცელაძის თარგმანი, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“- ლაფონტენისა(თარგმანი ილია ჭავჭავაძისა), „სოფელნი და მდინარე“ და „ვირი და ბუღბუღი“- ი. კრილოვისა (თარგმანი გრ. ორბელიანისა). „ბუნების კარის“ ამ გამოცემას დართული აქვს „კარტა კავკასიის აქეთა მხარისა“, რომელიც ვახტანგ თულაშვილის მიერ იყო შედგენილი.

„ბუნების კარის“ შემდგომ გამოცემებს ყოველთვის ერთვოდა „საქართველოს კარტა“.

ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ მეორე გამოცემა. რომელსაც შეცდომით აწერია მესამე, გამოვიდა 1873 წელს. ამ გამოცემას არ ახლავს პირველის წინასიტყვაობა და ამოღებულია შემ-

დეგი საკითხავი მასალები: „წინასიტყვაობიდან“ ლექსი- „ჯერ სწავლა, მერე ქეიფი“, ზოგადგეოგრაფიული სტატიები: „უპირველესი ცნობები ქვეყანაზე“ და „დედამიწის სიმრგვალე და მიმზიდველობის ძალა“. არსებითი ცვლილებები მეორე გამოცემას არ განუცდიდა, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ მეორე გამოცემა სიტყვა-სიტყვით არის პირველიდან გადმობეჭდილი.

ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ მესამე შევსებული გამოცემა განსხვავებული სახელწოდებით - „ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი ყმაწვილთათვის, უმცროს კლასებში სახმარებელი“ და შეცვლილი შინაარსით გამოვიდა 1876 წელს.

„ბუნების კარის“ მესამე გამოცემას ახლავს ავტორის წინასიტყვაობა.

„ჩვენ ამ წიგნში ვერ მოვახდინეთ იმდენი ცვლილებანი, რამდენიც საჭიროდ მიგვაჩნდა. შიგა და შიგ სტატიები გადავაკეთეთ, პირველი განყოფილება შევავსეთ ახალი სტატიებითა, ხელახლად შევადგინეთ მესამე განყოფილება. წიგნი შევამკეთ სურათებითა და საქართველოს კარტითა, მაგრამ ამით ჩვენ ავასრულეთ მხოლოდ ნახევარი ჩვენი განზრახვისა, ამ წიგნის ცვლილებების შესახებ“ -წერდა ავტორი.

„ბუნების კარის“ 1876 წლის გამოცემა უფრო ვრცელი იყო (416 გვ.), ვიდრე პირველი (300 გვ.) და ორი ნაწილისაგან შედგებოდა. სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (გვ.208) საბუნებისმეტყველო საკითხავ მასალებს შეიცავდა, ხოლო მეორე ნაწილი (გვ. 208)- გეოგრაფიულ მიმოხილვებს და ქრესტომათიას.

ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ მეოთხე შევსებული გამოცემა გამოვიდა 1882 წელს 9415 გვ.). გაზეთი „დროება“ ამ გამოცემასაც მხურვალედ გამოეხმაურა. მეოთხე გამოცემას ახლავს ავტორის წინასიტყვაობა. „ამ გამოცემაში ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ენის გაუკეთესობასა. ამ გაუკეთესობაში მხურვალედ მონაწილეობა მიიღო დიდათ პატივცემულმა დიმიტრი ყიფიანმა.

„ბუნების კარის“ მეხუთე შევსებული გამოცემა 1885 წელს გამოვიდა. ამ ახალი გამოცემის შესახებ პირველად აუწყა საზოგადოებას ჟურნალმა „ივერია“: „დაიბეჭდა, გამოვიდა და იყიდება ახალი, მეხუთე გამოცემა „ბუნების კარისა“, გასწორებული და შევსებული.“ „ბუნების კარის“ მეხუთე შევსებული

გამოცემა (511 გვ.) პროფ. ალ. ცაგარელის დასკვნის საფუძველზე მოწონებულ იქნა რუსეთის განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის მიერ, „როგორც ქართული ენის მშვენიერი სახელმძღვანელო სახალხო სკოლებისა და პროგიმნაზიული კლასებისათვის“.

გოგებაშვილის „ბუნების კარის“ მეექვსე (1888 წ.), მეშვიდე (1882 წ.), მერვე (1894 წ.) და მეცხრე (1896 წ.) გამოცემები „უცვლელად გადმობეჭდილია მეხუთე გამოცემიდან“.

„ბუნების კარის“ მეშვიდე გამოცემა (1892 წ.) მოწონებული იყო სახელმძღვანელოდ უწმინდესი სინოდისაგან.

„ბუნების კარის“ მეათე გამოცემა (520 გვ.) „მრავალი ახალი სურათით“ გამოვიდა 1899 წელს.

გამოცემას ახლავს წინასიტყვაობა მასწავლებელთათვის: „ეს თქვენ წინ მდებარე წიგნი პირველად დაიბეჭდა 1868 წელსა და, მაშასადამე, ოცდა-თერთმეტი წელიწადია, რაც იგი სცოცხლობს და მოქმედებს სკოლებსა და ოჯახებში. თავისი არსებობის განმავლობაში ეს წიგნი დაიბეჭდა ორმოცდა-ათი-ათასი.“

ქართული ენის სახელმძღვანელო მტკიცედ უნდა იდგეს ეროვნულს ნიადაგზე და ასწავლიდეს არა მარტო ქართულს მეტყველებას, არამედ აწმყოსა და წარსულს სამშობლოსას, ამიტომ „ბუნების კარში“ ჩვენ დავუთმეთ ორასი გვერდი, წიგნის მესამედზე მეტი ადგილი საქართველოს გეოგრაფიას და ისტორიას. ჩვენ ვარჩიეთ ბევრი რამ გვეთქვა მთავარს საგანზედ, ვიდრე ცოტა-ცოტა რამ ბევრს საგნებზე“.

„ჩვენი წიგნი გონების გამდიდრებას და განვითარებას მისდევს. ეს დიდი ნაკლულვანება იქნებოდა, რადგანაც პატიოსნის, კეთილშობილის გრძნობებით აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვა-და-სხვა ცოდნითა“.

გაზეთი „ივერია“ იუწყებოდა 1900 წელს: „ამჟამად იბეჭდება ახალი მეთერთმეტე გამოცემა „ბუნების კარისა“. როგორც შევატყვევო, წიგნი ბევრად არის შევსებული“.

მართლაც, „ბუნების კარის“ მეთერთმეტე შევსებული გამოცემა ბევრად სრულია და მნიშვნელოვნად შეცვლილი (599 გვ.) „ბუნების კარის“ ამ გამოცემაში, მეათესთან შედარებით, საფუძველიანად

არის გადაშეშავებული გეოგრაფიული განყოფილება, ახლად არის ჩამატებული „საქართველოს ეკლესია“, „გურიის მონასტრები“, „მარტვილის მონასტერი და ჭყონდიდელი“, „ოსეთი“, „წმინდა ქვეყანა, ანუ პალესტინა“, „იერუსალიმი“, „ბეთლემი“, „გალილეის ტბა და მდინარე იორდანე“.

სახელმძღვანელოს მესამე განყოფილებაში ჩამატებულია: „წმინდა გუნდი ცამეტა კაპადოკიელთა მამათა“, „არაბთა შემოსევა საქართველოში“ „წამება დავითისა და კონსტანტინესი და არჩილ მეფისა, დვაწლი ივერიის მონასტრისა და თორნიკე ერისთავისა“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“- ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულიდან“ და ბევრი სხვა.

„ბუნების კარის“ მეთორმეტე (1902წ.) და მეცამეტე (1904წ.) გამოცემები გამომოხდელია უცვლელად მეთერთმეტე (1900წ.) გამოცემიდან. არსებითი ცვლილებები ი. გოგებაშვილს „ბუნების კარის“ მეთოთხმეტე (1905წ.) და მეთხუთმეტე (1906 წ.) გამოცემებში შეუტანია. 1906 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „აი, ამ გამოცემაში შემდეგი ცვლილებები მოვახდინეთ: გამოვტოვეთ გეოგრაფიული და ისტორიული განყოფილებანი, რომელნიც განახლებული ფორმით შეადგენენ ცალკე წიგნსა მეოთხე წლისთვის სახელწოდებით: „დედა-ქვეყანა“.

1907 წელს გამოვიდა „ბუნების კარის“ მეთექვსმეტე შევსებული გამოცემა (464 გვ). „ამ მეთექვსმეტე გამოცემაში შემდეგი ცვლილებები მოვახდინეთ: საბუნებისმეტყველო განყოფილებანი ცოტა შევამცირეთ, სალიტერატურო ნაწილი გავადიდეთ. გარდა ამისა, ჩა-

ვურთეთ ახალი განყოფილება -, მოთხრობანი საქართველოს წარსულიდან“, რომელიც დავასურათეთ უმთავრესი ისტორიული პირების სურათებით“

„ბუნების კარი., ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროს კლასებში სახმარებელი“, ამ საერთო სახელწოდებით უკანასკნელად გამოვიდა 1908 წელს.

1909 წელს კი სახელმძღვანელო გამოვიდა უფრო დახუსტებული და საბოლოო სახელწოდებით: „ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი მესამე და მეოთხე წლისთვის. მეთორმეტე გამოცემა, შევსებული ახალი განყოფილებით- „კაცობრიობა“, მრავალი სურათით, საქართველოს ახალი, ვრცელი ქარტიო და ევროპის მოკლე ქარტიო“ (გვ. 632). ამ გამოცემას ახლავს ავტორის უკანასკნელი და საბოლოო წინასიტყვაობა „მასწავლებელთა და მშობელთათვის“. „ბუნების კარის“ ეს გამოცემა უცვლელად არის განმეორებული 1910 წელს (მეცხრამეტე გამოცემა), 1911 წელს (მეოცე გამოცემა), 1912 წელს (ოცდამეერთე გამოცემა).

გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა, კერძოდ, „ბუნების კარმა“ გაუძლო ყოველგვარ ოფიციალურ და არაოფიციალურ შემოტევას და დიდი ხნით დამკვიდრდა სკოლაში.

სრული 50 წელიწადი (1868-1918წწ.) ემსახურებოდა „ბუნების კარი“ ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს და „დედა ენასთან“ ერთად ერთგულ დარაჯად ედგა ქართულ ენას და ეროვნული აღორძინებისა და განვითარების ბურჯს წარმოადგენდა.

ბუჩხა თაყნიაშვილი

ქართული ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის სათავეებთან

პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე - 110

ბიბლიოგრაფია როგორც მეცნიერული კვლევის საფუძველი საქართველოში ვითარდებოდა ძველი ქართული მწერლობის პარალელურად. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ნიმუშები გვხვდება მე-10-მე-18 საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში. მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა ეფრემ მცირის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ძეგლის „უწყებად

მიხეხსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ნიმუშები გვხვდება იოანე პეტრიწის, ბაგრატ ბატიაშვილის, არჩილ მეფის, ანტონ I-ის „წყობილ-სიტყვაობაში“. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში აღსანიშნავია დავით რექტორის მიერ 1810 წელს შედგენილი ძველი მწერლობის კატალოგი; ცნო-

ბილია იოანე ბატონიშვილის „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, რომელიც მისივე ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომის „კალმასობის“ ნაწილია.

მე-19 საუკუნეში ქართული ხელნაწერების აღწერაზე მუშაობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორები : დ. ჩუბინიშვილი, ა. ცაგარელი, ნ. მარი. თბილისის წიგნსაცავებში და მუხეუმებში დაცულ ხელნაწერებზე მუშაობდნენ თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი. ქ.შ.წ.კ. საზოგადოების ხელნაწერთა კოლექცია აღწერა ე. თაყაიშვილმა. ბიბლიოგრაფიული მუშაობის აუცილებლობაზე მიუთითებდნენ ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, უფრო ადრე ი. ჭავჭავაძე და სხვ. გამომჩენილი მეცნიერ-მკვლევარები ცნობილია ა. შანიძის მიერ ჟურნალ „Христьянский восток-ში“ გამოქვეყნებული „Библиогрфия : отдельные издания, статьи на грузинском языке. появившиеся в 1911-1912 гг (Т.3. стр.253-262).

1904 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მოამბის“ 1894-1903 წლების ყველა ნომრის მასალების აღწერა სახელწოდებით : „მოამბის შინაარსი წარსულის 10 წლისა“. ეს იყო ქართული პერიოდული გამოცემის ანალიტიკური აღწერის პირველი მნიშვნელოვანი ცდა.

მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ბევრი ქართული პერიოდული გამოცემა აქვეყნებდა საკუთარი მასალების ანალიტიკურ აღწერილობებს, ამავე დროს ბიბლიოგრაფიული მუშაობის აკადემიურ დონეზე წარმოების შესახებ კვლავ მსჯელობდნენ ცნობილი მკვლევარები სხვადასხვა დარგიდან. ამ პერიოდს განეკუთვნება 1908 წელს პეტერბურგს ქართველ სტუდენტთა მიერ ჩამოყალიბებული სამეცნიერო წრე. წრეს გააჩნდა საკუთარი ბიბლიოთეკა. წრის არსებობისათვის საჭირო იყო წევრთა საწევრო გადასახადი. წრის მუშაობის მთავარი ფორმა იყო მოხსენებების კითხვა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ წრეში ჩამოყალიბდა მეცნიერული ქართული ენა.

1910 წელს წრემ შეიმუშავა სპეციალური კითხვარი საქართველოს სოფლების ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად. კითხვარი მოიცავდა სოფლის ცხოვრების ყველა მხარეს : რა სახის ეკლესიები იყო სოფლად., რამდენი მღვდელია, რამდენია მოსწავლეთა რიცხვი,

არის თუ არა სოფლად სკოლა და ბიბლიოთეკა და ა.შ.

სამეცნიერო წრის მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო ივანე ჯავახიშვილი, წრის პირველი თავმჯდომარე - იოსებ ყიფშიძე. წრის წევრებმა ივანე ჯავახიშვილის მიითითებით და კონსულტაციებით დაიწვეს ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკური დამუშავება. ნიმუშად ჰქონდათ ივანე ჯავახიშვილის მიერ სტუდენტობის დროის შედგენილი „ივერიის ათი წლის ბიბლიოგრაფია“ (1886-1996 წწ.). ა. შანიძე და ი. ჯავახიშვილი „სახალხო გაზეთში“ (№802) მიმართვადნენ ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობებს : „მკითხველს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ბევრად გაუადვილებს მოღვაწეობას, გაადრმავებს აზროვნებას და გააფართოვებს მისი მხედველობის სფეროს“ თუ გვაქვს სრული ინფორმაცია რა სახის მასალა დაიბეჭდა და გამოქვეყნდა მათ მიერ გარკვეულ პერიოდში. ბიბლიოგრაფიაში ჩამორჩენა მათ კულტურულ ჩამორჩენად მიაჩნდათ : „შრომა რომ უფრო ნაყოფიერი იქნეს, წერდნენ ისინი, აუცილებლად საჭიროა ვისარგებლოთ იმით, რაც გაკეთებულია წინათ და წინანდელი შეცდომები მომავალში თავიდან ავიცილოთ, არ ვიცით, რა აკეთეს მამებმა, მომავალ თაობებს არ ეცოდინებათ რას ვაკეთებთ ჩვენ, თუ რომელიმე შრომა არ ემყარება წინანდელ გამოცდილებას, ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია, სხვანაირად მოგვიხდება იმის დაწერა, რაც უკვე დაწერილი და გაკეთებულია. ა. შანიძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ერთხელ უკვე ჩაწერილ ლექსს ხელმეორედ იწერენ და ახლად ჩაწერილად ასაღებენ. „საჭიროა ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფია რაც შეიძლება სრული და უნიკალური“. როგორც აღვნიშნეთ, წრის მუშაობის ძირითად ამოცანად პირველსავე ეტაპზე დაისახა ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკური დამუშავება და ბიბლიოგრაფიული მანუშების შედგენა. ბიბლიოგრაფიის შედგენაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები : ი. ანთაძე, ვ. ბერიძე, ი. გიგინეიშვილი, შ. დადიანი, დ. დეკანოსიძე, კ. დუნდუა, ვ. ჯუღელი, ს. ყაუხჩიშვილი, ი. ყიფიანი, დ. ყიფშიძე და სხვები. წრის მუშაობის ნაყოფი იყო „ქართული ბიბლიოგრაფიის“ გამოცემა ქართულ ენაზე 1916 წელს. წრის ბიბლიოგრაფი-

ული მუშაობა, ძირითადად, დასრულდა 1912 წელს. ქართულ ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილი იყო სტატიები ენათმეცნიერებიდან, ეთნოგრაფიიდან, მონოგრაფიიდან, არქეოლოგიიდან, ისტორიიდან, ხალხური სიტყვიერებიდან და ძველი ქართული მწერლობიდან. წიგნს წამძღვარებული აქვს ი. ყიფშიძის წინასიტყვაობა რუსულ ენაზე. ბიბლიოგრაფიას დაერთვის ავტორთა, მთარგმნელთა და მთქმელთა საძიებელი, აგრეთვე საგანთა საძიებელი.

„ქართული ბიბლიოგრაფია“ ნ. მარის ინიციატივით შეიძინა რუსეთის საიმპერატორო აკადემიამ. წიგნის დაბეჭდვის ღირებულება შეადგენდა 250 მანეთს, ეს იყო სტუდენტთა სამეცნიერო წრისათვის ყველაზე დიდი ჰონორარი. „ქართული ბიბლიოგრაფია“, როგორც ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკური დამუშავების პირველი მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი ნათლად მეტყველებს იმდროისათვის არსებული დოკუმენტების დამუშავების წესების ცოდნას. შემდგენელები ახლოს იცნობდნენ რუსეთში და ევროპის ქვეყნებში მსგავსი ბიბლიოგრაფიული ნაშრომის შედგენის კრიტერიუმებსა და წესებს. რაც მთავარია, ანალიტიკურ აღწერილობაში წარმოდგენილია სტატიების შესახებ არსებული ძირითადი ელემენტები : ავტორი, სათაური, წყარო, წელი და ნომერი.

მეორე ნაშრომი, რომელიც წრის წევრების მოხსენებებს აერთიანებს, გამოიცა 1915 წელს „კრებულის“ სახელწოდებით. წიგნის ბეჭდვის მძიმე საქმე ითავა ი. ანთაძემ. კრებულში შევიდა სულ 7 მოხსენება, რომლებიც წრის წევრების მიერ იყო წაკითხული 1912-1913 წლებში. კრებული დაიბეჭდა ი. ჯავახიშვილის რედაქციით. აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია კრებულში შესული მოხსენებების ჩამოთვლა, აღვნიშნავთ მხოლოდ წინასიტყვაობაში ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებებს ქართული ბიბლიოგრაფიის განვითარების შესახებ. „განსაკუთრებით საჭირო იყო, - წერდა ი. ჯავახიშვილი, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული მრავალი საყურადღებო მასალის აღწერილობათა და გამოკვლევების ნუსხა, რომ ქართველს თანამედროვე მკვლევარს მუშაობა გაადვილებოდა და ხელმეორედ არ მოენდომებინა იმის გაკეთება, რაც უკვე

გაკეთებული იყო“. აქვე ი. ჯავახიშვილი კმაყოფილებით აღნიშნავს : რომ ქართულ სამეცნიერო წრის მუშაობამ არამცთუ ამოდ ჩაიარა, არამედ თავისი ნაყოფიც გამიღო. პირველი კრებულის ავტორთა უმეტესობა მომავალში სამეცნიერო მუშაობას თავს არ დაანებებს და, შეძლებისდაგვარად, ქართულ დარბ სამეცნიერო მწერლობას გაამდიდრებს. სამეცნიერო წრის პირველმა თავმჯდომარემ ი. ყიფშიძემ 1911 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და გამოსცა ნაშრომი „მეგრული(ივერიული) ენის გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით“. ნაშრომი 1914 წელს დაბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ. აკაკი შანიძე, სამეცნიერო წრის მეორე თავმჯდომარე, 22 წლისა იყო სტუდენტი რომ გახდა, პეტერბურგის უნივერსიტეტში განათლება მიიღო ორიენტალისტის დარგში, შემდგომში სწორედ მან შექმნა ქართული ენათმეცნიერების სკოლა. თ. ყიფშიძე და ა. შანიძე ყოველთვის გვერდით ედგნენ ი. ჯავახიშვილს, რომლის ინიციატივით თბილისში 1918 წელს გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი.

პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს საფრთხე ემუქრებოდა პირველი მსოფლიო ომის გამო. ომის პერიოდში სტუდენტებმა გადაწყვიტეს შეესრულებინათ სხვადასხვა სახის სამუშაო, რათა საარსებო სახსრები მოეპოვებინათ. ასეთი სამუშაოები იყო რეპეტიტორობა, მომზადება საკურსო გამოცდებისათვის, მანქანაზე ბეჭდვა, კანტორაში მუშაობა და სხვა სახის სამუშაოები.

წრის შემოქმედებითი მუშაობა ფაქტიურად შეწყდა 1918 წლიდან. ახლადგახსნილ ქართულ უნივერსიტეტში თავი მოიყარა იმდროინდელმა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომელთა ერთ ნაწილს სამეცნიერო მუშაობის გამოსვლილება აღნიშნულ სამეცნიერო წრეში ჰქონდა მიღებული.

ლიტერატურა:

1. ქართული ბიბლიოგრაფია : 1 ტ. პეტერბურგი, 1916 . - 160 გვ.
2. კრებული / ი. ჯავახიშვილის რედაქციით . - თბ., 1915 . - 2002 გვ.
3. ჯორბენაძე ს. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა . - თბ., 1982 . - 612 გვ.

ნიჰნის ისტორია

ნიმო სპეციალი

მეთხუთმეტი საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოცემა

აღორძინების ეპოქაში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა კაცობრიობის ინტერესი საკუთარი წარსულისადმი. მისი შესწავლისას ისტორიკოსები ცდილობდნენ უკეთესად გარკვეულიყვნენ აწმყოში და შეეცნოთ მომავალი. იმ პერიოდის შედარებით მრავალრიცხოვან ისტორიულ თხზულებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია „ქრონიკების წიგნს“ (Zიბერ ჩჰრონიკარუმ). მისი სრული სათაურია: „წიგნი ქრონიკებისა და მოთხრობებისა ილუსტრაციებით სამყაროს დასაწყისიდან ჩვენს დრომდე“. წიგნის ავტორი გახლდათ თავისი დროის ერთ-ერთი ფრიად განათლებული ნიურნბერგელი ექიმი გარტმან შედელი (1440-1514). მედიცინის დოქტორის წოდებით დაჯილდოვებული შედელი ბევრს მოგზაურობდა ევროპის ქალაქებში, მეგობრობდა მწერლებთან და სწავლულებთან. ცხოვრების მანძილზე მან მრავალ წიგნს მოუყარა თავი საკუთარ ბიბლიოთეკაში.

თავის წიგნში შედელმა პატივი დასდო ტრადიციებს და თხრობა დაიწყო ბიბლიური ისტორიებიდან: მკითხველს აცნობდა მსოფლიო წარდგინისა და ნოეს კიდობნის, დედამიწისა და ადამიანის წარმოშობის, ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნის შესახებ. ამის შემდეგ მას მოთხრობილი აქვს წყაროებში მოყვანილი ისტორიული ფაქტები და მოვ-

ლენები. წიგნზე მუშაობისას შედელი იყენებდა ანტიკურ ავტორთა: ჰეროდოტეს, ფუკიდიდეს, პლინიუს უფროსის შრომებს. ის ასევე ეყრდნობოდა აღორძინების ეპოქის სწავლულების: ენეასილვიო პიკოლამინის, ბერგამოელი იაკობისა და სხვათა ხელნაწერებს.

ბევრი მოვლენა მან აღწერა თავისი დაკვირვების ან თვითმხილველების მონაცემების საფუძველზე. შედელი მკითხველს აცნობდა წიგნის ბეჭდვის ისტორიას, რომელიც მისი თქმით 1440 წელს დაიწყო. გერმანელმა მესტამბე-გამომცემელმა – ანტონ კობერგერმა გადაწყვიტა ქრონიკების ისეთი წიგნი დაებეჭდა, რომელიც მანამდე მსოფლიოში არ გამოცემულიყო. მას არაჩვეულებრივად ესმოდა ილუსტრაციების შემეცნებითი მნიშვნელობა და წიგნში ბევრი გრაფიურა მოათავსა. ამან, რაღა თქმა უნდა, გააძვირა გამომცემა. ილუსტრაციები იბეჭდებოდა ხეზეჭრის მეთოდით, რომელთა დამზადება საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესი გახლდათ.

გამომცემის დაფინანსება ითავა ორმა მდიდარმა თანამოქალაქემ - ზებალდ შრეიერმა და სებასტიან კამერმაისტერმა. მათ დადეს ხელშეკრულება ცნობილ გერმანელ მხატვრთან და გრაფიორთან მიქაელ ვოლგემუტთან და მის შევირდთან ვილჰელმ ფლეიდენვორფთან. კობერგერმა „ქრონიკების წიგნის“ ხელნაწერი დაახლოებით 1488 წელს გადასცა ვოლგემუტს. მანაც მაშინვე დაიწყო მუშაობა ილუსტრაციებზე. ვოლგემუტთან სახელოსნოში ფერწერისა და გრაფირების ხელოვნებას მრავალი ახალგაზრდა სწავლობდა, რომელთა შორის იყო ალბერტ დიურერი (1471-1528). იგი 1486 წლის 1 დეკემბერიდან 1490 აპრილამდე ვოლგემუტთან შევირდად მუშაობდა და მონაწილეობდა შედელის ნაშრომის დასურათებაში.

1492 წლის 21 იანვრით არის დათარიღებული დოკუმენტი, რომლის მიხედვით



"ქრონიკების წიგნი", 1493

შრიერმა და კამერმაისტერმა ვოლგემუტსა და ფლეიდენვორფს შესრულებული სამუშაოსათვის გადაუხადეს ათასი რეინის გულდენი. ეს იყო ძალიან დიდი თანხა. იმ დროსათვის ერთი გულდენი 2,5 გრ. ოქროს შეადგინდა. ნამუშევარი ამ თანხად ნამდვილად ღირდა, რადგან მხატვრებმა წიგნისთვის დამკვეთს 645 საგრავიურო დაფა წარუდგინეს. თითოეული მათგანისათვის შეიქმნა ესკიზი, რომელთა უმრავლესობა დღემდეა შემორჩენილი. ისინი მაღალი ხარისხის ქაღალდზე ტუშით არის შესრულებული. ესკიზის ნახატს ბასრი დანის საშუალებით კვეთდნენ მსხლის ან კაკლის ხის დაფებზე.

„ქრონიკების წიგნი“, რომელსაც „ნიურნბერგის ქრონიკებსაც“ უწოდებენ, ლათინური და გერმანული გამოცემები პარალელურად მზადდებოდა. ისინი საზოგადოებას წარუდგინეს 1493 წელს. პირველი დათარიღებულია 12 ივლისით, მეორე კი 23 დეკემბრით. წიგნი იწყება ელეგანტური სატიტულე გვერდით, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ წიგნის სათაური. მხატვრული გაფორმების სხვა ელემენტები და გამოცემის საცნობარო აპარატი იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო დანერგილი. ინფორმაცია, რომელიც სატიტულე ფურცელზე არ არის აღნიშნული - ცნობები ავტორისა და გამოცემის ადგილის შესახებ, წიგნს ბოლო გვერდზე აქვს დართული. დასახელებულია ყველა იმ ადამიანის სახელიც, ვინც წვლილი შეიტანა წიგნის შექმნაში. იქვე ვხვდებით წიგნის გამოცემის თარიღს: „ქრისტეშობიდან 1493 წლის 23 დეკემბრს“.

აღნიშნული წიგნი პოლიგრაფიული ხელოვნების შედევრია. მასში ილუს-



ანტონ კობერგერი (1440-1513)



„ქრონიკების წიგნი“, 1493. სატიტულე ფურცელი

ტრაციების რაოდენობა 1809-ს აღწევს. მართალია, ვოლგემუტმა და ფლეიდენვორფმა კოპერგერისათვის 645 საგრავიურო დაფა ამოტვიფრეს, მაგრამ ზოგიერთი დაფა მბეჭდავმა რამდენჯერმე გამოიყენა. ეს პირველ რიგში ეხება მსოფლიო ისტორიის ცნობილ მოღვაწეთა პორტრეტებს. XV საუკუნის მკითხველებს თავისებური წარმოდგენა ჰქონდათ დოკუმენტურ ილუსტრაციებზე, ისინი არ მოითხოვდნენ გრავირებული პორტრეტების მსგავსებას ისტორიულ პერსონაჟებთან. აქედან გამომდინარე, კობერგერის გამოცემაში ერთი და იგივე ნახატი ხშირად ასახავდა ბიბლიურ გმირსაც, რომელსაც ჯარისკაცსაც და შუა საუკუნეების მეცნიერსაც. წიგნში 198 რომის პაპის პორტრეტისათვის მესტამბემ მხოლოდ 28 საგრავიურო დაფა, ხოლო 224 მეფის პორტრეტისათვის - 44 დაფა გამოიყენა.

„ქრონიკების წიგნი“ მხატვრული გაფორმების მარგალიტს წარმოადგენს. განსაკუთრებით საინტერესოა დიდ ფოლიანტზე შესრულებული ქსილოგრაფიური ქაღაქის ფართო ხედებით. ილუსტრაციები ხელითაა გაფერადებული. ზოგიერთი ძველი ქაღაქის გამოსახულება, მაგალითად ბაბილონი, ნინეფია,



„ქრონიკების წიგნი“, 1493. ქ. ნიურნბერგის გრავეურა

მემფისი - მხატვრის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ გერმანიის ქალაქების ამსახველი 23 გრავეურიდან უმრავლესობა დოკუმენტური წყაროებიდანაა დახატული. ხელოვნებათმცოდნეების მოსახრებით, ზოგიერთი მათგანისთვის ორი საგრავეურო დაფაა გამოყენებული. ერთ-ერთი მათგანი სტრასბურგის ამსახველი დიდი გრავეურაა.

„ქრონიკების წიგნის“ გრავეურების მხატვრული დონე განსხვავებულია. მათგან ყველაზე სრულყოფილი ილუსტრაციები ეკუთვნის ვილჰელმ ფლეიდენვორფს. ფანტასტიკური და გამომსახველობითია გრავეურა „სიკვდილის როკვა“, რომელიც კრიტიკოსების მოსახრებით, ახალგაზრდა ალბრეხტ დიურერს უნდა ეკუთვნოდეს. შემონახულია ამ წიგნის ასლებიც, რომელშიც გრავეურები ძალიან ოსტატურად არის მოხატული.

მცხობელის ოჯახში გაზრდილმა ყმაწვილმა – ანტონ კობერგერმა საგამომცემლო საქმე შეისწავლა და 1470 წელს დაარსა საკუთარი სტამბა. შემდეგ მან წიგნის ბეჭდვის პატარა სახელოსნო მსხვილ მანუფაქტურულ ორგანიზაციად გარდაქმნა. ყველა პროცესი, წიგნის ბეჭდვიდან დაყდავების ჩათვლით, ერთ სივრცეში მიმდინარეობდა. მან საგამომცემლო, პოლიგრაფიული და წიგნის გამავრცელებელი საქმიანობის გაერთიანებით მნიშვნელოვნად გააფართოვა საკუთარი წარმოება. სტამბაში ოცდაათხ საბეჭ დაზგასთან ასზე მეტი სტამბის მუშაკი იღვწოდა - კორექტორები, ასოთამკრებები, ილუსტრატორები, მბეჭდავები, დამყდავებლები და დამხმარე-შეგირდები.

გამომცემელი თეოლოგიურ, ფილოსოფიურ, კანონიკურ, იურიდიულ, ისტორიულ და საეკლესიო ლიტერატურას ლათინურ ენაზე ბეჭდავდა. მის სტამბა-

ში კლასიკური ლიტერატურა მხოლოდ დროდადრო იბეჭდებოდა. გერმანულ ენაზე გამოსცემდნენ არც ისე მრავალრიცხოვან, მაგრამ მნიშვნელოვანი პუბლიკაციებს. კობერგერის სახელოსნო დიდი რაოდენობის ბეჭდურ პროდუქციას უშვებდა, რითიც მან სახელი გაითქვა არა მხოლოდ საკუთარ რეგიონში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

1488 წელს ანტონ კობერგერი ქალაქ ნიურნბერგის დიდ საბჭოში „მიიწვიეს“ და ის ქალაქის პატრიციების გუნდს შეუერთდა. მან ურთიერთობები დაამყარა სხვა კომპანიებთან და ფილიალები გახსნა ევროპის ქალაქებში: ვენეციაში, მილანში, პარიზში, ლიონში, ვენაში. მისი საგამომცემლო ფირმის წიგნის გამავრცელებელი განყოფილებები ფუნქციონირებდა კრაკოვიდან ლიონამდე.

ანტონი საგამომცემლო საქმიანობას 1470 - 1504 წლებში ეწეოდა. ამ დროის მანძილზე მან 250 სხვადასხვა გამოცემა დაბეჭდა, მათ შორის ცხრამეტი „ბიბლია“ გახლდათ. 1504 წლიდან კობერგერი ძირითადად წიგნის ვაჭრობას მისდევდა. წიგნების გამოცემის საქმე მან უცხოელ კომპანიონებს გადასცა.

კობერგერმა „ქრონიკების წიგნი“ დიდი ტირაჟით დაბეჭდა. ბეჭდური ასლების ზუსტი რაოდენობის დადგენა ძნელია, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის 1000-ზე ნაკლები არ იქნებოდა.

გაითვალისწინა რა ამ წიგნზე მკითხველთა დიდი მოთხოვნილება, აუგსბურგელმა იოჰან შენსპერგერმა იგი მოგვიანებით, რამდენჯერმე გამოსცა: 1496 და 1500 წლებში - გერმანულ და 1497 წელს - ლათინურ ენაზე. შენსპერგერის მიერ გამოცემული წიგნები შედარებით მცირე ფორმატისა იყო, ვიდრე კობერგერის „ქრონიკის წიგნი“. დღეს ამ გამოცემის ხილვა მრავალი ქვეყნის ბიბლიოთეკებშია შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Булгаков, Ф.И. Иллюстрированная история книгопечатания и типографского искусства. – Т. 1.- С-П – 1889.
2. Немировский Е. Л. Шедевры мирового полиграфического искусства.-Ч. 1.- М.: 1990.
3. Щелкунов М. И. История техника искусство книгопечатания. – М.; Л. 1926.
4. Книговедение/энциклопедический словарь. – М. 1982.

ბიბლიოთეკის იუბილე

ენო მახანაშვილი

თსუ ბიბლიოთეკის დაფუძნება-დაფუძვლის ბანყოფილების ბაზა

თსუ - ს ბიბლიოთეკის საუკუნოვანი ისტორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორია წინ უსწრებს პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. 1917 წლის 19 დეკემბერს გამართულ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წინასწარ სხდომაზე, რომელზეც განიხილებოდა მომავალი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა და მიღების პირობები, ივანე ჯავახიშვილმა კოლეგებს გააცნო გამომჩენილი ქართველი პუბლიცისტის კიტა აბაშიძის ანდერძი, რომლის თანახმადაც, მისი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს გადმოეცა. აღნიშნულმა კოლექციამ საფუძველი ჩაუყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნსაცავს, რომელიც უმთავრესად კერძო პირთა თუ დაწესებულებების შემოწირულობების ხარჯზე იზრდებოდა. უნივერსიტეტს გადმოეცა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, კავკასიის ყოფილი საცენზურო კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, სათავადაზნაურო გიმნაზიის წიგნსაცავები. განსაკუთრებით გამდიდრდა წიგნსაცავი კერძო შემოწირულობებით. უნივერსიტეტს შემოემატა დავით სარაჯიშვილის, სვიმონ კლდიაშვილის, პეტრე მელიქიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, დიმიტრი ბაქრაძის, თედო ჟორდანიას, ვასილ პე-

ტრიაშვილისა და სხვათა პირადი კოლექციები. ორი წლის შემდგომ უნივერსიტეტის წიგნადი ფონდი 100 ათასზე მეტ ერთეულს ითვლიდა. წიგნადი ფონდის შევსებაში მონაწილეობდნენ სტამბები და გამომცემლობები. საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებაში მყოფი ქართველი მეცნიერები საკუთარი ხარჯით უნივერსიტეტისთვის ყიდულობდნენ წიგნებს. 1938 წელს უნივერსიტეტის წიგნსაცავს ფუნდამენტური ბიბლიოთეკა ეწოდა, 1950 წლიდან-სამეცნიერო, ხოლო 1997 წელს მიენიჭა გრიგოლ წერეთლის სახელი. ამჟამად იგი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სახელს ატარებს და მილიონობით წიგნად ერთეულს ითვლის. ბიბლიოთეკის პირველი დირექტორი იყო პროფესორი გიორგი ახვლედიანი. ბიბლიოთეკას სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ გამომჩენილი ქართველი მეცნიერები: აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი, შალვა ნუცუბიძე... 2010 წლიდან უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ისტორიის დოქტორი ზურაბ გაიპარაშვილი. 2011 წელს ბიბლიოთეკაში ამოქმედდა რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორია, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ადარ ფუნქციონირებდა. ლაბორატორია აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკითა და ხელსაწყოებით,





სარესტავრაციო მასალით, დაკომპლექტდა ახალგაზრდა კვალიფიციური სპეციალისტებით, რომლებიც დაუზოგავად მუშაობენ პირველი ქართული უნივერსიტეტის უმდიდრესი და უძველესი წიგნადი ფონდის გადასარჩენად.

უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სივრცეში ფუნქციონირებს 3 სამკითხველო დარბაზი და 6 საფაკულტეტო ბიბლიოთეკა. თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური სამკითხველო დარბაზი, რომელიც 2012 წელს სახეიმოდ გაიხსნა. სამკითხველო დარბაზში დანერგილია თანამედროვე საბიბლიოთეკო მომსახურების ფორმები, აღჭურვილია წიგნის მოპარვის საწინააღმდეგო აპარატით, აქვს რესურს-ცენტრი. იქვეა მარო მაყაშვილის სახელობის დარბაზი, რომელშიც იმართება დონისძიებები, პრეზენტაციები, გამოფენები, შეხვედრები. აქვე 2018 წელს მოეწყო „მომავლის ბიბლიოთეკის“ კუთხე პატარა მკითხველთათვის.

ქართველი ემიგრანტის, მამია ბერიშვილის ვაჟის, ტიერი ბერიშვილის (ფრანგულ-ქართული კულტურის ასოციაციის პრეზიდენტი) ინიციატივით უნივერსიტეტს გადმოეცა მამია და ქრისტინე ბერიშვილების პირადი არქივი და ბიბლიოთეკა, ნოე ჟორდანიას პირადი ბიბლიოთეკისა და ნოე რამიშვილის პირადი არქივის ნაწილი.

არქივში არსებული დოკუმენტაციის შესასწავლად, დასამუშავებლად და ფართო საზოგადოებისათვის გასაცნობად 2015 წელს ბიბლიოთეკას მიემატა კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) შემსწავლელი ცენტრ-ბიბლიოთეკის განყოფილება.

ბიბლიოთეკის ძალისხმევით მომზადდა და გამოიცა წიგნი „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“, ტიერი ბერიშვილის წიგნი „ქართული სოციალ-დემოკრატია 1880-1953“ და სხვ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში ეწეოდა დიდ სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი მეთოდური და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები.



მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოცემას წარმოადგენს „თსუ შრომების ბიბლიოგრაფია“. 2016 წელს ბიბლიოთეკამ განაახლა ეს გამოცემა და გამოსცა „თსუ შრომების ბიბლიოგრაფიული საძიებელი (1991-2010)“. ასევე, 2014 წელს გამოიცა ლიტერატურულ აღმანახ „პირველი სხივის“ საძიებელი, ხოლო 2018 წელს - „უნივერსიტეტის გაზეთის ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი (1927-1941)“.

თსუ-ის ბიბლიოთეკას წვდომა აქვს მსოფლიოს მნიშვნელოვან საინფორმაციო და საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე.

ბიბლიოთეკაში ამოქმედდა ციფრული ბიბლიოთეკა (ეპოკს.ტსუ.გე), რომელშიც დაცულია საბიბლიოთეკო ფონდის ყველაზე მოთხოვნადი გამოცემებისა და დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები, წიგნები, დისერტაციები და სხვ.

2017 წლიდან ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ღია წვდომის ციფრული არქივი (რეპოზიტორი) EPrints (<http://ePrints.tsu.ge>).

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხარისხის მართვის დეპარტამენტთან ერთად შეიქმნა მოდულური პროგრამა „ბიბლიოთეკარი“, რომლისთ-



ვისაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ მომზადდა სახელმძღვანელო „საბიბლიოთეკო საქმე“. პროგრამა წარმატებით ხორციელდება უკვე მესამე წელია. ყოველწლიურად ბიბლიოთეკის ფონდები ივსება დაახლოებით 13 ათასი საბიბლიოთეკოერთეულით. გამომცემლობებთან გაფორმებული ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ბიბლიოთეკა მდიდრდება ახალი გამომცემებით. მიმდინარეობს სასწავლო პროცესისთვის საჭირო ქართული და უცხოური წიგნებისა და პერიოდული გამომცემების შექმნა.

მოგესხენებათ, 2018 წელი საიუბილეო წელიწადია როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის, ისე პირველი ქართული უნივერსიტეტისა და ჩვენი ბიბლიოთეკისათვის. საიუბილეო წელს მიეძღვნა ბიბლიოთეკის მიერ მომზადებული არაერთი პრეზენტაცია და გამოფენა. გამოიცა წიგნები: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ენციკლოპედია-ლექსიკონი“; „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის ქრონიკები“; ოთხენოვანი ალბომი „ნოე ჟორდანიას - 150“; სამენოვანი ალბომი „ნოე რამიშვილი“; ვლადიმერ ვოიტინსკის წიგნი „ქართული დემოკრატია“ (თარგმანი); კარლ კაუცკის სამენოვანი წიგნი „საქართველო - გლეხთა სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკა: შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი“ (თარგმანი); გაიმართა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი (ეროვნულ არქივთან, ეროვნულ მუზეუმსა და ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად) – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის?“ – „Remem-

bering the Georgian Democratic Republic 100 Years On: A Model for Europe?“

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარების ძალისხმევით მომზადდა, დამუშავდა და გამოიცა წიგნი „მამა“ – შვილების მოგონებები ივანე ჯავახიშვილის შესახებ. იუბილეს მიეძღვნა შემდეგი გამოფენები: „საუნივერსიტეტო წიგნის ისტორია“, „ქართული უნიკა“, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921 წწ.) განათლების ისტორია“, „ქართული ენის მემატიაწე წიგნები“.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დაარსების დღიდან დირსეულად ინარჩუნებს ტრადიციებს და ვითარდება თანამედროვე გამოწვევების ფეხდაფეხ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა : ცნობარი / შემდგ. ე. თოხაძე. - თბ.: უნ-ტის გამბა, 1977
2. თსუ-ის უნიკალური ბიბლიოთეკა და მუზეუმი // გაზეთ „კვირის პალიტრის“ ჩანართი „უნივერსიტეტი“, 2012, №2-3, გვ.5.
3. დადიანი თამარ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკა თსუ-ში // გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 2015, №13, გვ.11.
4. გაიპარაშვილი ზურაბ, როგორ ემზადება თსუ-ს ბიბლიოთეკა საუკუნოვანი იუბილეების აღსანიშნავად // გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 2017, №13, გვ.7.
5. რესტავრირებული წიგნების გამოფენა თსუ-ის ბიბლიოთეკაში // გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, 2012, №9, გვ.10.

ღირსეული ბაბულები

ბუნია სხინა

ის სამაგალითო ბაბულები იყო!

(ღიმიტრი ყიფიანი)

როდესაც თანამედროვე ანუ მეოცე სუბიუკულტურის ბოლო და ოცდამეერთე საუკუნის ქართველ მოღვაწეებზე ვფიქრობ, ძალაუნებურად მათ ვადარებ გასული საუკუნეების მოღვაწეთა ცხოვრებას. შემოქმედი, შემოქმედი და მისი ცხოვრება სავსებით განსხვავდება რიგითი მოქალაქის ცხოვრებისაგან, რომელ ეპოქასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, მაგრამ გასული საუკუნეების ქართველმა მოღვაწეებმა გაცილებით რთული ცხოვრების გზა გაიარეს... როგორ არ აფორიაქდები, როგორ არ დაგეუფლება სინანულის განცდა მათი ბიოგრაფიის გაცნობისას... დღეს შემოქმედთა უმეტესი ნაწილი ამა თუ იმ ჯილდოთი, რეგალით თუ წოდებით დაფასებულია და მეტნაკლებად რეალიზებული. ეს დიდი ბედნიერებაა, ხალისია, მათი ენერჯის, შემოქმედების მამოძრავებელი ძალაა. მაგრამ, რა მოტივაცია ჰქონდათ, რა ამოქმედებდათ ნეტავ ჩვენს წინაპრებს, როდესაც თავადაც მწირ, ეკონომიკურ სიტუაციაში მყოფნი, დიდი შრომისა და რუდუნების ფასად, იმ ეპოქისთვის მეტისმეტად დაბეჩავებული ქართველი ხალხის სიბნელიდან ამოყვანისთვის დღედაღამ რომ იღვწოდნენ, ყოველგვარი ჯილდოებისა და წახალისების გარეშე. წახალისება კი არადა, ხშირად, სასჯელიც კი ელოდათ, მაგრამ ძლიერი იყო მათი გრძნობა, სიყვარული და პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე. ასეთთა შორის, ამჟამად, ღიმიტრი ყიფიანს გამოვყოფდი. არ ვიცი რა კანონზომიერება იყო, მაგრამ, რომ არა მეცხრამეტე საუკუნე, რომ არა ღიმიტრი, იაკობი, ილია, ნიკო, აკაკი და კიდევ ბევრი სხვა მოღვაწე, მართლაც საქართველოს გადასარჩენად მოვლენილნი, მიზანდასახულნი, თავდადებულნი, ვინ შეძლებდა და შემოაბრუნებდა



ღიმიტრი ყიფიანი

უკუღმართული გზით წარმართულ ქართულ საქმეს და ზოგადად - საქართველოს ცხოვრებას! ისინი სამაგალითონი იყვნენ, არიან და დარჩებიან ჩვენს ისტორიაში, როგორც ბუმბერაზები, რომლებმაც გასაოცარი ძალით, მიზანდასახულობით, გონიერებით და ინტელექტით, შეძლეს და საკუთარი მხრებით წამოწიეს ლაფში და სიბნელეში ჩაფლული, სასიკვდილოდ განწირული სამშობლო. უსაზღვროდ გულწრფელ, სამართლისმოყვარე და კანონმორჩილ ღიმიტრი ყიფიანს, რუსული მთავრობის მორწმუნეობასთან ერთად, როგორც ჩანს, ღვთისმიერი ძალა უსხივოსნებდა გონებას და იმ აუცილებელ საქმეს აკეთებინებდა, რაც იმ დროის ქართველი ხალხისთვის უპირველესი და გადაუდებელი იყო. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავკაცი მრავალსხვა, ქართველებისთვის მნიშვნელოვან საქმესაც უძღვებოდა: „ არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში, რომლის მეთაურობა ყიფიანს არ ეკუთვნოდეს: ბანკი, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი თუ სხვანი სულ მისის ინიციატივით არის დაწყებული“ - აღნიშნავს აკაკი წერეთელი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ღიმიტრი ყიფიანთან. და, ვინ იყო ღიმიტრი ყიფიანი? - მდიდარი, შეძლებული, დიდი ქონების მქონე? არა, რა თქმა უნდა, მაგრამ მაშინდელ უამრავ მოღვაწეთა შორის ღიმიტრი ყიფიანი გამორჩეული იყო თავისი განათლებით, ნიჭიერებითა და ინტელექტით. ფიქრიანი, მოახროვნე, უადრესად პატიოსანი, დავალებული საქმის პირნათლად შემსრულებელი, მთავრობისთვისაც გამორჩეულად სანდო ადამიანი გახლდათ. იგი მუშაობდა მაღალ თანამდებობებზე: კანცელარიის

დირექტორად, მოღვაწეობდა თავად-ახნაურთა კომისიებში და სხვა. თუ გადავხედავთ მის მემუარებს, დავინახავთ თუ რა სულისკვეთების ადამიანი ბრძანდებოდა იგი, დავინახავთ მის უხადო პატიოსანებასთან ერთად საქმის სიყვარულსა და პასუხისმგებლობას... „- მაპატიეთ პეტრე ანტონის ძეგ, მაგრამ როგორ შეიძლება ხელი დაიბანო იქ, სადაც სამსახურის მოვალეობის ასრულებაა საჭირო? დასწერეთ თქვენი აზრი და წარადგინეთ“- მიმართავს დიმიტრი ყიფიანი მთავრობის ერთ-ერთ რუს ჩინოვნიკს, რომელსაც მინდობილი საქმიდან თავის დაძვრენის სურვილი შენიშნა (დიმიტრი ყიფიანი, - მემუარები. თბ, 1990, გვ. 69) „რაინდი, მიაშიტი და თავდადებული“- ასე ასათაურებს დიმიტრი ყიფიანის მემუარებზე დაწერილ შესავალს ქართველი კრიტიკოსი და მოღვაწე აკაკი ბაქრაძე. მართლაც, რომ თავდადებულია იგი ყველა იმ საქმიანობაში, რომელსაც მას მიანდობდნენ, რაც მთავარია, თავდადებულია სამშობლოს სიყვარულში! დიმიტრი ყიფიანი საინტერესოა არა მარტო, როგორც პიროვნება, არამედ, საინტერესოა, როგორც პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, როგორც მწერალი და ლიტერატორი. მისი „ლიტერატურული მემკვიდრეობა გაბნეულია მე-19 საუკუნის ქართულ და რუსულ პრესაში და ელის მზრუნველ ხელს“... (ა. ბაქრაძე) არა მგონია ეს მზრუნველი ხელი დღემდე გამოსჩენილიყო, არადა, აუცილებელია უფრო ღრმად გავიცნოთ და გავაცნოთ ჩვენს აწმყო და მომავალ თაობებს დიდი კაცი, დიდი ადამიანი, რომელიც ჩვენი იყო, ჩვენთვის ცოცხლობდა და ჩვენთვის კვდებოდა გადავხედოთ მის ბიოგრაფიას და დავინახავთ, რომ მდიდარი კი არადა ერთი, ობლადგაზრდილი, ღარიბი ახნაური გახლდათ.

დიმიტრი ყიფიანი დაიბადა ქართლში, გორის მაზრის სოფელ მერეთში. ივანე ყიფიანისა და ბარბარე ფურცველადის ოჯახში, 1811 წლის 26 აპრილს. მას ჰყავდა სამი ძმა და ორი და. როგორც წყაროებიდან ჩანს, დიმიტრის მშობლები ადრე გარდაცვლია. ობოლ ბავშვებზე კი მასზე ოცი წლით უფროს ძმას - ქაიხოსროს აუღია ვალდებულება. ქაიხოსროს დიმიტრი სამსახურში, სურამში დაჰყავდა, სადაც გაუცვნიათ თბილისში მცხოვრები პრაპორშჩიკი ნიკიფორე ფედოროვი, რომლის მეუღლე გვარად ყიფიანი

ყოფილა. ამ ქალბატონს შეუნიშნავს ბავშვის ნიჭი და გონიერება, რუსული ენის სწრაფი ათვისების უნარი და მისი შვილობა გადაუწყვეტია. ასე აღმოჩნდა პატარა დიმიტრი რუსულ-ქართულ ოჯახში. წერა-კითხვა, ანგარიში და საღვთო რწული კი პატარას ჯერ კიდევ მერეთში უსწავლია. შემდგომ იგი თბილისში - ჯერ სასულიერო სემინარიაში შეუყვანიათ, შემდგომ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც მან 1830 წელს 17 წლის ასაკისამ დაამთავრა და მიიღო უმცროს მასწავლებლად მუშაობის უფლება. ასწავლიდა პირველ კლასში გეოგრაფიას, არითმეტიკას, ქართულ და რუსულ ენებს, ხოლო მეორე კლასში - სუფთა წერას.

თავდადებული და ხარისხიანი მუშაობის გამო მას ხშირად აწინაურებდნენ, მაგრამ რუსეთის იმპერიაში ჩინოვნიკებთან მუშაობას მის პატრიოტულ გრძნობებზე არასოდეს უარყოფითად არ უმოქმედნია. პირიქით, მუდამ ამაყობდა თავისი ეროვნული წარმომავლობით: „ნება მომეცით მოვახსენოთ თქვენს აღმატებულებას, რომ მე გახლვართ ქართველი: ქართველს კი შეგიძლიათ დასწამოთ ყველაფერი, რაც გნებავთ, ხოლო უზრდელობას კი - ვერასოდეს!“ (დიმიტრი ყიფიანი- მემუარები თბ, 1990) ასე გასცა პასუხი მან ერთ რუს მაღალჩინოსანს დაუმსახურებელ შენიშვნაზე. დიმიტრი ყიფიანი იყო უგანათლებულესი პიროვნება, ქართულისა და რუსულის გარდა ფლობდა სხვა ენებსაც. ამას ემატებოდა სამსახურისადმი ერთგულებისა და პასუხისმგებლობის საოცარი უნარი, ასე რომ, წინ მნიშვნელოვანი კარიერა ელოდა, მაგრამ დიმიტრი 1832 წლის შეთქმულების მონაწილე აღმოჩნდა. მისი მემუარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიმიტრი ყიფიანი არც ისე სერიოზულად უყურებდა ქართველ თავად- ახნაურთა იმ წამოწყებას, რომელიც შემდგომში 1832 წლის შეთქმულების სახით გახდა ცნობილი. პირველად შეთქმულთა შეკრებაზე მეგობარმა, ზაალ ავთანდილაშვილმა (შეთქმულების მონაწილე, გიმნაზიის მასწავლებელი) წაიყვანა. შეთქმულთა აქტზე („საიდუმლო ძმობის ფიცი“) მათ ხელი არ მოუწერიათ. მაგრამ შეკრებებზე, რასაც ვახშამობის თუ სადილობის სახე უფრო ჰქონდა, ვიდრე რაიმე საგანგებო კრებებისა, როგორც სტუმარი

იგი ესწრებოდა. ყოველივე ამას დიმიტრი ყიფიანი დაწვრილებით აღწერს თავის მემუარებში. ხოლო იასე ფალავანდიშვილის გაცემის ფაქტზე, ასე გვიამბობს: „ფალავანდიშვილმა შეატყო ყველას, რომ გული აუცრუვდათ დაწყებულ საქმეზე, რომ აღარ იკრიბებიან და იმის შიშით, რომ გამცემი ვინმე არ გამოჩნდესო, თითონ გადაწყვიტა შეეტყობინებია მთავრობისათვის. 1832 წელს, დეკემბრის დამდეგს ყველანი დააბეზდა მთავრობასთან, რის გამოც მაშინვე დაიწყეს დაპატიმრება“ (მემუარები, გვ. 146) აი, ასე მოხდა დიმიტრი ყიფიანი მეტეხის ციხეში და იყო „იმ კამერაშიც, სადაც ისხდნენ მეფე ერეკლეს ასულის თეკლეს ძენი თავადნი ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები“ მალე ახალგაზრდა დიმიტრი გადაასახლეს ვოლოგდაში, იქ ნება დართეს ვოლოგდის გუბერნატორის კანცელარიაში დაეწყო მუშაობა. სამსახურს ჩვეული სიბეჯითით შეუდგა. „ზოგი ისე მიცქეროდა, როგორც ნადირს კიდევ რომ იკობნებოდა... - იგონებს დიმიტრი, მაგრამ მე ისე გულმოდგინედ მოვიკიდე ხელი სამსახურს, რომ დილითაც დავდიოდი და საღამოთაც საგუბერნიო მართველობაში... ამნაირად სამ წელიწადში კანცელარიის კიბეზე საგუბერნიო მდივნის საფეხურამდე ავედიო“ - წერს თავის მემუარებში. ვოლოგდის განათლებულ საზოგადოებაში მალე განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. გუბერნატორს ის ისე ძალიან მოეწონა, რომ ქალიშვილის ცოლად შერთვაც კი შესთავაზა. რაზედაც დიმიტრიმ უარი განუცხადა, მაგრამ სთხოვა შუამდგომლობა საქართველოში დაბრუნებაზე.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, დიმიტრი ყიფიანს მუშაობა უწევდა ხან თბილისში, ხან ქუთაისში საქართველოს მთავარმართველებთან, სახელმწიფო კანცელარიაში მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

1845 წელს, თბილისში ცოლად შეირთო დუშელი მემამულის, გენერალ გიორგი ჭილაშვილის ასული ნინო.

საგულისხმოა, რომ მეფისნაცვალმა ალექსანდრე ბარიატინსკიმ დიმიტრი ყიფიანი ამიერკავკასიის მხარის მთავარმართველობის საბჭოში წევრად შეიყვანა, ამ თანამდებობაზე იმპერატორმა ალექსანდრე II-მ იგი 1857 წლის 8 მაისს დაამტკიცა.

1862 წლამდე იყო მეფისნაცვლის

საბჭოს წევრი, 1859-1867 წლებში სამეგრელოს მთავრის ქონება-მამულის მეურვე. 1864-1870 თბილისის გუბერნიის, ხოლო 1885-1886 ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი. მონაწილეობდა საგლეხო რეფორმის პროექტის შედგენაში; სათავეში ედგა ქართველი თავადაზნაურობის ლიბერალურ ფრთას. 1876-1879 იყო თბილისის ქალაქისთავი. ასე, რომ 1840-იანი წლებიდან არ ყოფილა საქმე, რომლის ინიციატორთა, დამწყებთა ან იდეის ავტორთა შორის დიმიტრი ყიფიანი არ ყოფილიყო. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო დიმიტრის დეაწლს ქალაქის პირველი ბიბლიოთეკის შექმნაში: „ პირველი ბიბლიოთეკა თბილისში 40-იანი წლების დასაწყისში დაარსდა. მე ვიყავი მთავარ-მართველობის კანცელარიის განყოფილების უფროსი და ერთხელ სამსახურის საქმის მოხსენების შემდეგ, ევგენი ალექსანდრეს ძეს გოლოვინს გამოვუცხადე ჩემი ტოლ-ამხანაგის სურვილი რომ გვინდოდა დაგვეარსებინა კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა და დაგვერთავდა თუ არა ამის ნებას“. - ასე იხსენებს ბიბლიოთეკის შექმნის პროცესს დიმიტრი ყიფიანი. მიიღეს თუ არა თანხმობა მთავარმართებლისაგან, ბიბლიოთეკა გახსნეს მისივე (დიმიტრი ყიფიანის) ბინაზე და მისი გამგე თავადვე იყო 1848 წლამდე.

დიმიტრი ყიფიანის მიერ სასიქადულო საქმეების ჩამოთვლა შორს წავიყვანს, იგი იყო თავგადადებული პატრიოტი, მუდამ სამშობლოზე მზრუნველი. მზრუნველი მაშინაც კი, როდესაც ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის იმპერიას, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ამ მსახურებით საქართველოს სიმტკიცეს ემსახურებოდა. მას რუსეთის, როგორც ერთმორწმუნე და ძლიერი სახელმწიფოს დიდი იმედი ჰქონდა და ეს იმედი არ დაუკარგავს მაშინაც, როდესაც თავგამოდებით ცდილობდა სამეგრელოს სამთავროს აწეწილ-დაწეწილი საქმის მოგვარებას, რათა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ბატონიშვილ ნიკოსთვის მოწესრიგებული საბატონო (სამეგრელო) ჩაებარებინა. მას ვერ წარმოედგინა იმპერიის კარზე სამეგრელოს დედოფალი პატიმარივით თუ ჰყავდათ. ვერ წარმოედგინა სამეგრელოს სამთავროს საბოლოოდ გაუქმებას იმპერატორი თუ ხელს მოაწერდა... რწმენა რუსეთისად-

მი მას მაშინაც არ დაუკარგავს, როდესაც იგი მეფის მთავრობამ თავის ბნელ ზრახვებში ხელისშემშლელად მიიჩნია და საბოლოოდ უმუშევარი დატოვა. „ასე იყო. მთელი ცხოვრება მოუსვენარ საქმიანობაში გაატარა, ხშირად ატყუებდნენ, მაგრამ კეთილისა და სამართლიანობის რწმენას მაინც არ კარგავდა, ერის სამსახურის ჭაპანს ქედმოუხრელად მიათრევდა“ (აკაკი ბაქრაძე).

და, მოხდა კიდევ უარესი რამ. 1886 წელს, 24 მაისს ეროვნული შეურაცხოვით და დამცირებით აღელვებულმა სემინარისტმა იოსებ ლადიაშვილმა სატევარით მოჰკლა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი, პავლე ჩუდეცკი. ამ ნიადაგზე მაშინდელმა ეგზარქოსმა პავლემ, რომელიც ჩუდეცკის არ ჩამოუვარდებოდა ქართველთმობუღეობაში, საქვეყნოდ შეაჩვენა და დასწყევლა ქართველი ერი!. ამ შემადრწუნებელ ამბავს დიდი პატრიოტი და მოქალაქე დიმიტრი ყიფიანი, რა თქმა უნდა, ვერ აიტანდა. იგი ამ დროს თავის მამულში - ხაშურში იმყოფებოდა და იქედან მან ეგზარქოსს დეპეშა გაუგზავნა, სადაც ეგზარქოსისაგან მოითხოვდა თავისი სამწყსოს (ქართველი ერის) წინაშე ბოდიშის მოხდას. ეს კი მეტისმეტ „თავხედობად“ მიიჩნევს როგორც მაშინდელმა მთავარმმართველმა დუნდუკოვ-კორსაკოვმა და, რა თქმა უნდა, თავად ეგზარქოსმა, პეტერბურგისაგან

მისი სამაგალითო დასჯა მოითხოვეს. პეტერბურგი ერთხანს ვითომ თავს იკავებდა თავისივე გენერლის, თავად-აზნაურთა წინამძღოლის დასჯაზე, მაგრამ საბოლოოდ დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს... ეს იყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის საბედისწერო დაბოლოება. 1887 წლის 24 ოქტომბერს, დამით სტავროპოლში, დიმიტრი ყიფიანის საცხოვრებელ სახლში ქურდულად შეპარულმა ჯალათმა თავში უროს დარტყმით სიცოცხლე მოუსწრაფა იმ ადამიანს, რომელიც უანგაროდ ემსახურებოდა არა მარტო თავის საყვარელ ერს, არა მარტო რუსულ სახელმწიფოს, არამედ კაცობრიობისთვის დღემდე ფასდაუდებელ ღირებულებას - სამართლიანობას! ასე ტრაგიკულად წავიდა ჩვენგან სამშობლოს მოჭირნახულე, თავისი ხალხისთვის მარად დაუღლეი მსახური, დიდი მამულიშვილი - დიმიტრი ყიფიანი. გულიდან ამოხეთქილი სიტყვები უძღვნეს მას ჩვენმა დიდმა პოეტებმა - აკაკიმ და ილიამ, „ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტმა“ საქართველომ, ქართველმა ხალხმა კი გულწრფელი ცრემლებით დაიტირეს დიმიტრი ყიფიანი და გააცვიფრეს მთაწმონდის გზაზე. ჩვენ, ცდამეერთე საუკუნის ადამიანებს კი სხვა რა გვეთქმის ამ დიდ მამულიშვილზე მისი არდავიწყების და მარად ხსენების გარდა!

ბიოხიბი სახაჯიშვილი

ქაშვეთის ეკლესია და დავით სარაჯიშვილი

დავით სარაჯიშვილი - 170


„ვინც ცხოვრობდა თავისი დროისათვის, ის ცხოვრობდა ყველა დროისათვის“.

(გოეთე)

„შეთხზული ამბავი ისე ჰგავს ფაქტს და ფაქტი შეთხზულ ამბავს, რომ ზოგიერთ შესანიშნავ ნაამბობს ვერც ვერწმუნებით და ვერც უარყოფით და ამის გამო ვრჩებით უსიამოვნო და დაუსრულებელ გამოურკვეველობაში. ვიცით, რომ აქ უნდა იყოს სიმართლე, მაგრამ არ შეგვიძლია ნამდვილად გავარკვიოთ სად არის ის“

(ისტორიკოსი მაკოლეი)

დიდ ადამიანებზე ლეგენდების შეთხზვა ხშირია, რადგან საქვეყნო საქმეების კეთებაში ერთი-ორი ჭორის მოყოლა ადვილია. ჭორი კი ისე ბუნებრივად ანათქვამი, რომ დასაჯერებელია. ამით „საქმის მცდელს ჩრდილი ადგება“ და მისი სახელის ხსენება შეურაცხყოფელია. მოგონილი კი სწრაფად გადადის წლებიდან — წლებში, საუკუნეებიდან — საუკუნეებში. მერე ლეგენდის გამოსწორება ნივთიერი საბუთის გარეშე ძნელია. თუ ამის დამადასტურებელი საშუალება არსებობს, გამოსასწორებელია.



არა ერთი და ორი საქმის სულის ჩამდგმელსა და წამომწყებს დავით სარაჯიშვილს, ჭორათ მიაწერენ ქაშვეთის ეკლესიის აგებას: „ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია აშენდა დავით სარაჯიშვილის თაოსნობით, ინიციატივით და ფინანსებით“.

შთამომავლობა არასწორად გაიმეორებს დავითის ღვაწლს ქაშვეთის ეკლესიის მეოთხე ტაძრის აშენების საქმეში, რაც არ იქნება მართებული, რადგან არ შეეფერება სინამდვილეს, შეუშლის ხელს იმ აზრს, რომლის „**მიზანია ფართოდ გააშუქოს დავით სარაჯიშვილის ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის ქართველი ერის წინაშე**“.

დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტი, რიგით 137 -ე, კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე, რომელმაც 20 წელიწადი (1932-1952) მწყემსა საქართველო, ნაშრომში „**ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია ტფილისში**“ (რედაქტორი ზაზა ალექსიძე. გამოსაცემად მოამზადა, მასალები, გამოკვლევები, საძიებელი დაუროთ მიხეილ ქავთარიამ. თბ. 1994), აღწერს მის ხელთ არსებული წერილობითი მასალების მიხედვით ქაშვეთის ოთხივე ეკლესიას, მიმოიხილავს საქართველოში ეკლესიების ისტორიას, მოჰყავს სხვადასხვა დროს მოღვაწე საეკლესიო პირები.

ქაშვეთის ეკლესიაზე იძლევა აშენებისათვის დახარჯული ფულადი სახსრების სრულ ხარჯთაღრიცხვას, შემომწირავ პირთა სიას, ვინ განისვენებს ეკლესიასა და მის გალავანში და დასძენს: „1918 წლის ენკენისთვის 16 სამრევლო საბჭომ დაგვავალა, შეგვედგინა ქაშვეთის ეკლესიის და მისი სამრევლოს „**თავგადასავალი ცალკე წიგნად დასასტამბავად**“. დავალება თავს ვიდეთ, მაგრამ შესრულება გვეძნებებოდა: არც დრო გვქონდა თავისუფალი და არც საჭირო მასალა მოგვეპოვებოდა... ჩვენ ვცდილობდით დაგვეცვა სრული ობიექტურობა... ერთსა და იმავე საგანს ყველა ერთნაირად არ უცქერის, მაგრამ ერთი რაიმეს თქმა კი თამამად შეგვიძლია,

ქაშვეთის თავგადასავალი უნდა გაგვეშუქებინა მხოლოდ საბუთების მიხედვით“. (1930 წლის მარტის 25, თბილისი).

მაშინ 38 წლის იყო მღვდლის შვილი მიტროპოლიტის რანგში კალისტრატე ცინცაძე, როცა მისი წინამძღვრობის დროს და მისი ხელმძღვანელობით აშენდა აწინდელი მეოთხე ქაშვეთის ტაძარი და გამშვენდა მისი კარმიდამო.

ძველი ტაძრის დანგრევისა და ახლის აშენების იდეა ეკუთვნის ქაშვეთის ეკლესიის დეკანოზს, რომელიც ეკლესიაში 1897 წლიდან იყო გამწესებული — მარკუს ტყემალაძეს. რის თაობაზეც მამა მარკოზი წერს: „გამიტაცა აზრმა, უსათუოდ ახალი ეკლესია აშენებულიყო... ეს აზრი პირველად არქიტექტორ როგოისკის გაუზიარე... მოველაპარაკე, მოეხერხებინა არქიტექტორებიდან კომისია შეეყენებინა და ეცნოთ ტაძარი საშიშ მდგომარეობაში, თან შევპირდი ახალი ეკლესიის აშენებას იმას მივანდობდით“. მიუხედავად იმისა რომ როგოისკის აზრით ეს ეკლესია „ერთ საუკუნეს კიდევ გაუძლებდა“. მარკოს ტყემალაძის დაპირებას გაუჭრია და როგოისკისაც აღუთქვამს, მოვახერხებ ამ საქმეს, საუკეთესო არქიტექტორებს შევკრებ და ოქმს შევადგენთ იმნაირად, რომ მოგვცენ ნება დანგრევისაო“. დიდი წვალების, სიარულისა და ნებართვის შემდეგ გადაწყდა ეკლესიის დანგრევა და ძველი ეკლესიის დანგრევამდე, მრევლი რომ არ გაფანტულიყო დროებითი ხის ეკლესიის აშენება. დროებითი ეკლესია 1904 წელს აკურთხეს, რომელიც სინოდის კანტორის ხარჯით დაჯდა 8,368 მანეთი და 92 კაპიკი.

ხუროთმოძღვრის ღვინიდ ბილფელდის მიერ 1901 წლის 19 ნოემბერს შედგენილი ხარჯთაღრიცხვით ტაძრის ასაშენებლად საჭირო იყო 110,705 მანეთი და 26 კაპიკი, ხოლო თანხის დასამატებლად აღუძრავთ შუამდგომლობა სინოდის კანტორის წინაშე 30 ათასი მანეთის სესხად მიცემისათვის. სინოდის სამეურნეო ნაწილის დირექტორის დაპირებით, „**სინოდი ნებას დართავს კან-**



ტორას, ასესხოს ქაშვეთის ეკლესიას მისთვის საჭირო თანხა“.

ტაძრის აშენება იტვირთა ქაშვეთის ეკლესიის „მამულების გამგე კომიტეტმა“. მეოთხე ტაძრის საძრიკველის პირველი ქვაკუთხედი დაიდო 1904 წელს, შენობის „საზოგადო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა კომიტეტმა ჩააბარა ეკლესიის წინამძღვარს, მღვდელ კალისტრატე ცინცაძეს“.

მთავარი ტაძარი დამთავრდა და ეკურთხა 1910 წელს. ეკლესია სამნავიანი ტაძარია, ორსართულიანი. „თუ ქართული ხუროთმოძღვრების განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს ჩუქურთმა — გრეხილების სინაზე და სიმრავლე, ქაშვეთის ტაძარი, შეიძლება თამამად ითქვას, ერთადერთი და საუკეთესო ძეგლია ამ მხრივ ტფილისში: იგი შემოსილია ჩუქურთმებით ზომიერად... ჩუქურთმები გადმოღებულია სხვადასხვა ეკლესიებიდან, შეხამებულ-შეფარდებულია ერთი მეორესთან“.

ტაძრის აშენებაზე დახარჯულა 140,281 მანეთი და 11 კაპიკი, მათ შორის მოიჯარადრეს მიეცა 135,161 მანეთი და 80 კაპიკი, ხუროთმოძღვარს — სამუშაოთა მწარმოებელს 3% -ს მიხედვით და კიდევ გასამრჯელო გემისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენისათვის 5,119 მანეთი და 31 კაპიკი.

არნიშნულ თანხაში არ შედის იმის ღირებულება, რაც თავის საკუთრებიდან დახარჯეს ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა:

1. ანნა ალექსანდრეს ასულმა ამილახვარმა შეამკობინა ჩუქურთმებით დიდი სარკმელი აღმოსავლეთის ფასადისა (რომელიც უცვლელად გადმოღებულია სამთავისის ტაძრიდან) თავისი შესანიშნავი ჯვართ;
2. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ და ნინო ივანეს ასულმა თუმანიშვილებმა შეამკობინეს აღმოსავლეთის ფასადის ჩრდილოეთის ნიში სარკმლით;
3. მართა ივანეს ასულმა თურქიამ (ნინო თუმანიშვილისა და ი. ამილახვარის ქალი) იმავე ფასადის სამხრეთის მხარის ნიში სარკმლით;
4. ანტონ და ნიკოლოზ ივანეს ძეთა არჯევანიძეებმა ჩრდილოეთის ფასადის როზეტი, ჯვარი და სამი შუა სარკმლის თამასები;
5. გიორგი პავლეს ძე არჯევანიძემ და მარიამ ივანეს ასულმა არჯევანიძე — ფედოტოვამ — იქაურივე ორი და-

- ნარჩენი სარკმლის თამასები;
6. ბარბარე ნიკოლოზის ასულმა ლართქიფანიძემ, სოლომონ თედორეს ძე გულისაშვილმა, გიორგი ლუკას ძე ბაქრაძემ და უცნობმა (საჭირო თანხა მოიტანა გ.ი. ამილახვარმა, რომელსაც ვფიქრობთ, იგი უნდა ჰქონიყო გადაცემული გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასულის ვორონცოვ — დაშკოვას მიერ) თითო სარკმლის თამასები სამხრეთის ფასადისა;
7. მამუკა ივანეს ძე ჯამბაკურ-ორბელიანმა — შუა სარკმლის თამასები და როზეტი სამხრეთის მალისა;
8. დავით ზაქარიას ძე და ეკატერინე ივანეს ასულმა სარაჯიშვილებმა ბრინჯაოს (სამხრეთის) ორფრთიანი კარები, ზედნაჭედი წმ. გიორგის და წმ. ნინოს ხატებით, (ხატების ქვემოთ, ცალ-ცალკე ამოტვიფრული ასომთავრული ასოებით — „Մ“ და „Լ“;
9. გიორგი თედორეს ძე კუნდუროვმა — გუმბათის ჯვარი;
10. ვასილ ლევანის ძე გურიელმა — ბრინჯაოს ხატი წმ. გიორგისა (ხელოვნება ი.ი.




ანდრეოლეტისა), ტაძარში შესავალ კარე-ბის თავზე რომ არის მოთავსებული;

11. გივი ივანეს ძე და ანნა გრიგოლის ასულ-მა ამილახვრებმა — კანკელი.

„დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი - 170“ წიგნი ეძღვნება დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის (1848-1911) დაბადებიდან 170 წლისთავის იუბილეს.

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 14 აპრილის №431 განკარგულებით¹ ცნობილი მეწარმისა და საზოგადო მოღვაწის, დიდი ქველმოქმედისა და მეცენატის დ. სარაჯიშვილის სახელის უკვდავსაყოფად დაწესდა — **„დავით სარაჯიშვილის დღე“**, რომელიც ყოველი წლის 10-11 ნოემბერს აღინიშნება.

წიგნი — **„დავით სარაჯიშვილი - 170“**



მოიცავს ბავშვობას, სწავლა-განათლებას, სამეწარმეო საქმიანობას, მეცენატ-ქველმოქმედებას, გარდაცვალებას. დავითმა თავისი ცხოვრების 63 წლის მანძილზე 32 წელი მთავრობა სწავლა-განათლებას, ხოლო 31 წელი სამეწარმეო საქმიანობას.

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორისა და ფილოსოფიის მაგისტრისადმი მიძღვნილ წიგნში შედის: დავითისა და მისი მეუღლის ეკატერინეს ბიოგრაფიები; ჩვენს მიერ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა წიგნში, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციები; დავითის მეუღლის, ცნობილი ქველმოქმედისა და რუსეთის იმპერიაში პირვე-

ლი მეწარმე ქალის ეკატერინე ივანეს ასულის ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისას (1862-1916) სამეწარმეო-საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ.

წიგნში ადგილი ეთმობა: დ. სარაჯიშვილის პირველ ბიოგრაფს, ცნობილ საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის (1854-1931) 54 გვერდიან ნაშრომს, დავითის სიცოცხლეშივე დაწერილ ცნობებს, დავითის მამისა და დედის შესახებ, თუ ვინ იყვნენ, რას საქმიანობდნენ, პირადად დავითის და ეკატერინეს მოღვაწეობის შესახებ მასალებს. განხილულია საარქივო მასალებზე დაყრდნობით სარაჯიშვილების გვარის წარმოშობის ისტორია, ნათესაური კავშირები დავითის წინაპრის შთამომავლებთან. პირველად არის ახსნილი თუ ვინ იყო, რუსეთის იმპერიაში პირველი სოფდაგარი - **დავით გიორგის ძე სარაჯიშვილი**, რომლის სახელსაც ატარებდა მისი სეხნია, მეწარმე, **„ჩამომავლობით თბილისის საპატიო მოქალაქე“**.

წიგნში შესულია პუბლიკაცია ნათესაურ კავშირებზე ბიძაშვილთან, დავითის სტიპენდიანტთან - მსოფლიოში ცნობილ მომღერალ ივანე (ვანო) სარაჯიშვილთან (1879-1924), ვისზეც დავითი 31 წლით უფროსი იყო.

დავითის უამრავ სტიპენდიანტთა შორის, ადგილი ეთმობათ მათ ფოტოპორტრეტებს, რომლებმაც განსაკუთრებული როლი ითამაშეს XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიაში: კომპოზიტორები — დიმიტრი არაყიშვილი, მედიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, კოტე ფოცხიშვილი; მოქანდაკე — იაკობ ნიკოლაძე; მხატვრები — გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, გრიგოლ მესხი; მომღერლები: ვალერიან ქაშაკაშვილი, ვანო სარაჯიშვილი; საქართველოს კათალიკოს პატრიარქი — კალისტრატე ცინცაძე; მეცნიერები — სოლომონ ჩოლოყაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მიხეილ შალამბერიძე, სარგის კაკაბაძე და სხვ.

ადგილი აქვთ დათმობილი დავითის თანამედროვეთა საარქივო მასალებს, ვინც გამოთქვა მოსაზრებები დავითის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ. აღნიშვნის ღირსია პუბლიკაცია თუ რატომ დაედო ტაბუ „მსხვილი კაპიტალისტის“ ხსენებას. მეწარმის ხსენების აკრძალ-

¹ პრეზიდენტ ვლადიმერ ა. მეგრანძის განკარგულებით, სავალდებულო იყო შესრულებულიყო შემდეგი პუნქტები: 1. კონიაკის ქარხნის ტერიტორიაზე გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე — 0,25 ჰექტარზე, აშენდეს მუზეუმი. 2. მწერალთა კავშირის შენობაზე დაიკიდოს ბარელიეფი. 3. უმაღლეს სასწავლებელში დაწესდეს დ. სარაჯიშვილის სახ. სტიპენდია..

ვას საფუძვლად ედო ნოე ჟორდანიას ნეკროლოგი დაბეჭდილი, ქუთაისში გამომავალ ჟურნალ „კოლოპერაციაში“. ბოლშევიკების ლიდერი ლავრენტი პავლეს ძე ბერია თავის წიგნში მიწასთან ასწორებს მენშევიკ ნოე ჟორდანიას „მსხვილ კაპიტალისტთან“ ერთად და ამით კრძალავს მეწარმის ხსენებას კომუნისტური მმართველობის განმავლობაში.

მკითხველი გაეცნობა: საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავთან, 1901 წელს მუშტაეთში მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო მიღწევების გამოფენაზე — **„დავით სარაჯიშვილი და ამხანაგობის“** ფირმის მონაწილეობაში მოძიებულ ფოტო და წერილობით მასალებს; რუსეთის და საზღვარგარეთის რესპუბლიკის ქალაქებში სარაჯიშვილის საწყობების, მაღაზიების ადგილმდებარეობის შესახებ დავითის სიცოცხლეშივე შედგენილ რუკას (რუკა მოძიებულ იქნა **„დავით ზ. სარაჯიშვილი - 170“** წიგნის რედაქტორის ქ-ნ ლელა თვარაძის მიერ), სადაც ადგილობრივი ქარხებიდან იგზავნებოდა 60 დასახელების სასმელი. მკითხველი გაეცნობა სარაჯიშვილის **„საოჯახო ბიბლიოთეკის კატალოგს“**, რომელიც შეადგინა საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ და დაბეჭდა 1912 წელს ბაქოში.

წიგნში საუბარია დავითის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვანო სარაჯიშვილის უფროსი ძმის — ალექსანდრეს მიერ, რომელიც დავითის „მარჯვენა ხელი“ იყო, ეკატერინეს დავალებით შედგენილ, ფულის ქაღალდზე დაბეჭდილ წიგნზე — **„დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სახსოვრად“** (1911); მკითხველი გაეცნობა რუსულიდან ქართულ ენაზე პირველად თარგმნილ დავითისა (1910) და ეკატერინეს (1916) სრულსულიერ ანდერძებს, რომლებითაც მოსიყვარულე ცოლ-ქმარმა საქართველოს დაუტოვა 6 მილიონი მანეთი (ოქროთი და ქაღალდით), უძრავი ქონების გარდა.

წიგნში მოტანილია, ჩემს მიერ, გერმანიაში ყოფნის დროს, სპეციალურად

მოძიებული მასალები (14 გვერდი) განათლების მიღების პერიოდის შესახებ და სადოქტორო დისერტაციის ფოტოასლი. წიგნის სარჩევში მოცემულია პუბლიკაციების სათაურები, რის მიხედვითაც დაინტერესებული მკითხველი მიიღებს მისთვის საინტერესო ცნობებს და არ დატოვებს ყულაბაში მოტანილ ცნობებს წაკითხვის გარეშე. უღრმეს მადლობას მოვახსენებ ორგანიზაციებს და მათ ხელმძღვანელებს: გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზეუმის დირექციას, პირადად ბ-ნ **ლაშა ბაქრაძეს**; ხელოვნების ეროვნული მუზეუმის დირექციას, პირადად ბ-ნ **დავით ლორთქიფანიძეს**; ეროვნული არქივის, საქართველოს სასიტორიო ცენტრალური არქივის დირექციას, პირადად ქალბატონ **ქეთევან კობიაშვილს**; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექციას, პირადად ბ-ნ **ზაზა აბაშიძეს**; ილ. ჭავჭავაძის სახ. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექციას, პირადად ბ-ნ **გიორგი კეკელიძეს**; თბილისის ისტორიის მუზეუმის საკურატორს, ქალბატონებს **ნანა მახათაძეს, ლიკა მამაცაშვილს**; გერმანიაში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის რექტორს და ბიბლიოთეკის გამგეს მასალების მოწოდებისათვის დ. სარაჯიშვილის სწავლების პერიოდის შესახებ (ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე, მათი გვარების არ ცოდნის გამო).

მადლობა ჩემს მეუღლეს ქალბატონ **ცისოს**, ჩემს შვილებს — **მანანას, ნანას, ირინეს, ზაალს, გურამს**, რომლებმაც შემავალიანეს წიგნად დამეწერა დავით სარაჯიშვილის შესახებ, დაბადებიდან 170 წლისთავთან დაკავშირებით.

მადლობა, წიგნის „დ.სარაჯიშვილი — 170“ სარედაქციო ჯგუფის წევრებს გაწეული მეგობრული შრომისათვის. მადლობა ჩემს მეექვსე შვილობილს ქალბატონ ლელა თვარაძეს წინამდებარე წიგნის რედაქტორს, მის მეუღლეს ბატონ ნიკოლოზ ბურჯანაძეს და მის კოლექტივს, რომლებმაც დიდი დახმარება გამიწია წიგნის გამოცემაში.

პეტრე უმიკაშვილი – სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელი

საქართველოში ევროპის ქვეყნებისა და რუსეთისაგან განსხვავებით, მოგვიანებით დაიწყო სახალხო წიგნების ბეჭდვა და ხალხში გავრცელება. ამის ერთი მიზეზთაგანი იყო სტამბის უქონლობა, იაფფასიანი სახალხო წიგნების გამოცემა - გავრცელების საჭიროებაზე წერდნენ და იღვწოდნენ : ზ. ჭიჭინაძე, პ. უმიკაშვილი, ს. მესხი, კ. გვარამაძე, გ. წერეთელი, ვ. აღნიაშვილი, ი. როსტომ-აშვილი, პ. იოსელიანი და სხვები. მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან ამ მხრივ საგრძნობი მოძრაობა შეიმჩნევა. კერძო პირთა მიერ სტამბების გახსნამ და საერთო ლიტერატურის გამოცემამ საგრძნობლად აამაღლა მოსახლეობის დაბალი ფენების მოთხოვნილება იაფფასიან წიგნებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია პ. იოსელიანის ნაყოფიერი მოღვაწეობა. მან მოკლე დროის განმავლობაში დაბეჭდა „აბდულმესიანი“, „თამარიანი“, „დიდმოურავიანი“ და სხვა პოპულარული გამოცემები. ამავე პერიოდში დაიბეჭდა ქართული კომედიები : გ.ერისთავის „გაყრა“, „უჩინმაჩინის ქუდი“.



პეტრე უმიკაშვილი

დიდი ადგილი ბეჭდურ პერიოდიკაში ეთმობოდა სხვადასხვა პირთა მიერ შედგენილ ანბანსა და საკითხავ წიგნებს. მათ შორის პ. უმიკაშვილისა და ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს. სახალხო წიგნების გამოცემა-გავრცელებაში დიდი გარდაქმნა შეიმჩნევა მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, წიგნი შეიქმნა საყოველთაო ზრუნვის საგანი; ქართულ წიგნს გაუჩნდა ახალი მკითხველი. ქართულმა წიგნმა ბინა დაიღო გლეხის, ხელოსნის, მუშის ოჯახში. წიგნის გამომცემელი ბეჭდავდნენ ისეთი შინაარსის იაფფასიან წიგნებს, რომლებიც შინაარსით ახლოს იქნებოდა მშრომელი ხალხის სულიერ მოთხოვნილებებთან. ქართულ სახალხო წიგნების შედგენა-გამოცემა-გავრცელების კეთილშობილურ საქმეს თავისი კვალი დააჩნია

პეტრე უმიკაშვილმა. იგი სრულიად ახალგაზრდა დაუკავშირდა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციას. აქ იგი აქვეყნებდა ლეგენდებსა და თარგმანებს რუსული მხატვრული ლიტერატურიდან. 1864 წელს პ. უმიკაშვილი ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს მან დაბეჭდა წიგნი „ძველი ხალხების ცხოვრება : ინდიელები და ეგვიპტელები“. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დაინიშნა ქართულ გიმნაზიაში მშობლიური ენის მასწავლებლად.

1870-იანი წლებიდან იგი სისტემატურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში : „დროება“, „კრებული“, „ივერია“. 1874-1880 წწ. რედაქტორობდა „სასოფლო გაზეთს“. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მთავარ მიზანს შეადგენდა დახმარებოდა მკითხველს აზროვნების განვითარებაში, აღეძრა მასში ჭეშმარიტი სიყვარული მამულისა და სამშობლოს მიმართ. პეტრე უმიკაშვილის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი ღვაწლი და ამაგი ქართულ ზეპირ-

სიტყვიერების მასალების შეკრებისა და გამოქვეყნების საქმეში. ქართული ზეპირსიტყვიერების პირველი კრებული გამოქვეყნდა 1874 წელს. პ. უმიკაშვილი მჭიდროდ თანამშრომლობდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებასთან. ამ პერიოდში მან „დროებაში“ დაბეჭდა რამდენიმე სტატია სახალხო სიმღერებისა და სახალხო ლექსების შეკრებისა და გამოცემის შესახებ. 1872 წელს ჟურნალ „კრებულში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „არსენა“. ერთი დიდი სურვილი და წადილი პ. უმიკაშვილის შემოქმედებაში იყო სახალხო იაფფასიანი წიგნების გამოცემა და ხალხში გავრცელება. ამ საკითხებზე იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა ი. კერესელიძესთან, გრ. დადიანთან, დიმიტრი ორბელიანთან და სხვა ცნობილ პირებთან. პეტერბურგიდან

დაბრუნებისთანავე, პ. უმიკაშვილმა ხელმეორედ დაბეჭდა „სიბრძნე-სიცრუისა“, „დასტურდამალი“, „ვისრამიანი“. ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის და სხვა ავტორთა თხზულებანი. კლასიკური ლიტერატურის გამოცემის პარალელურად იგი ფაქტიურად შეუდგა ქართული სახალხო წიგნების შედგენა-გამოცემისა და გავრცელების საქმეს. ამ საქმეში იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. წიგნების გამოცემა-გავრცელების საქმეში აუცილებელი იყო ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა აქტიური მხარდაჭერა. პ. უმიკაშვილი ნათლად გრძნობდა სახალხო წიგნების, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ „შაურიანი“ წიგნების გამოცემის აუცილებლობას. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს პ. უმიკაშვილმა შეადგინა „ანბანი“ და, როგორც იგი თავის დღიურში წერდა „ეს იყო პირველი „შაურიანი წიგნი“ ქართულ ენაზე გამოცემული. პ. უმიკაშვილი ცდილობდა შეედგინა პოპულარული სახელმძღვანელოები საქართველოს ისტორიაში, მის პირად არქივში დაცულია ამ სახელმძღვანელოს ხელნაწერი, სადაც ჩართულია ხალხური პოეზიის ნიმუშები : „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“ და სხვა ფოლკლორული შინაარსის მასალები. სახალხო წიგნების შედგენა-გამოცემის მიზნით პ. უმიკაშვილი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, ოჯახებში დაეძებდა ხელნაწერ წიგნებს. გ. თუმანიშვილი ამის შესახებ წერდა : „ პ. უმიკაშვილი ქართული სიძველეების ცოცხალი არქივი იყო, თბილისის სახლებში ქექავდა მტვრიან არქივებს, გამოჰქონდა ხელნაწერები და ამზადებდა გამოსაცემად.“ ხელნაწერებს, რომლებსაც ვერ გამოსცემდა პ. უმიკაშვილი გადასცემდა ქ.მ.წ.კ საზოგადოების ბიბლიოთეკას. იაფფასიანი წიგნების ხელნაწერების სხვადასხვა ვარიანტებს აჯერებდა, გადასინჯავდა, უდარებდა ერთი მეორეს და მხოლოდ ამის შემდეგ ბეჭდავდა ხალხში გასავრცელებლად. ასე შეადგინა მან „არსენას ლექსი“, „ქალვაჟიანი“, „ბეჟანიანი“, „ალექსიანი“ და სხვა სახალხო წიგნები. „ალექსიანის“ სწრაფად გავრცელების შესახებ კმაყოფილებით წერდა პ. უმიკაშვილი „გამოვიდა თუ არა ძალიან მაღე გავრცელდა ხალხში და დღევანდლამდე იბეჭდება, მე მის-

აროდა რომ დაიძრა სურვილი წიგნების გამოცემისა და ხალხში გავრცელებისა, ე.ი. გაჩნდა კითხვის ხალისი“. „არსენას ლექსის“ პირველი გამოცემა გავრცელდა 50 ათასზე მეტი ტირაჟით. სახალხო წიგნების გამოცემა-გავრცელების ნაკლოვანებაზე წერდნენ ქართულ პრესაში. ამის საპასუხოდ პ. უმიკაშვილი მიუთითებდა : „პირველ ნაკადულს თუ ჭუჭყი მოჰყვა, დრო მას წაიდებს და ნაკადულიც მაშინ დაიძრება“ - წერდა იგი ავტობიოგრაფიაში. „არსენას ლექსის“ პირველ შემდგენელ-გამომცემელი იყო ნ. ყიფიანი, პროფესიით ვეჟილი; მან 1872 წელს ზეპირად გავრცელებული „არსენას ლექსის“ საფუძველზე ცალკე წიგნად დაბეჭდა ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის „ ნაწყვეტთან ერთად. „არსენას ლექსის“ ვარიანტები ადრევე ჰქონდა შეკრებილი პ. უმიკაშვილს. „არსენას ლექსის“ პირველ გამოცემას რეცენზიები უძღვნეს ს. მესხმა, პ. უმიკაშვილმა და სხვებმა. პ. უმიკაშვილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ ნ. ყიფიანს არ გამოუყენებია მის ხელთ არსებული ლექსის ყველა ვარიანტი. „არსენას ლექსი“ ხელმეორედ გამოიცა იმავე 1872 წელს. მომდევნო 1874 წელს პ. უმიკაშვილმა გამოსცა ლექსის სრული ვარიანტი, რომელიც შემდგომში დამკვიდრდა ხალხში. „არსენას ლექსი“ მე-20 საუკუნეში კიდევ არა ერთჯერ გამოიცა „ქართული წიგნის“ ბიბლიოგრაფიის პირველ ტომში (1941) სამართლიანად მიუთითებდნენ რომ „თუ ი. გოგებაშვილის „დედა ენამ“ ქართველ ხალხს წერა-კითხვა ასწავლა, არსენას ლექსმა ხალხს წიგნის კითხვა შეაყვარა“. „არსენას ლექსის“ პოპულარობის შესახებ მოგვიანებით პ. უმიკაშვილი წერდა : „რა არის მიზეზი, რომ ეს ლექსი ყველგან არის გავრცელებული, მას მღერიან, რა სოფელი იყოს, რომ ეს „არსენას ლექსი“ არ იცოდეს“. პ. უმიკაშვილი მიიჩნევს, რომ ლექსში არის რაიმე ისეთი, რაც ხალხის გონებასა და გულს ეუბნება გასაგონ საგანს, ჩანს ერი მასში პოულობს თავის მოძმე აზრს“. „არსენას ლექსის“ გამოცემა-გავრცელების შედეგ პ. უმიკაშვილმა ხელი მოჰკიდა ადრეული ფეოდალიზმის ხანის სამიჯნურო-რომანტიკული ეპოსის ბრწყინვალე ნიმუშის „ეთერიანის“ შესწავლა-გამოცემის საქმეს. „ეთერიანის“ ვარიანტები ხალხში გავრცელე-

ბული იყო პროზაულ თუ ლექსნარევი სახით, ნაწილი გალექსილი. პ. უმიკაშვილის შესწავლით სხვადასხვა ვარიანტები გავრცელებული იყო ქართლში, კახეთში, იმერეთში, ახალციხის მაზრაში, ხევსურეთში და ქალაქ მოზდოკში. „ეთერიანის“ რამდენიმე ვარიანტი გამოქვეყნდა ქ. ოზურგეთში 1905 წელს. უფრო ადრე „ეთერიანის“ ვარიანტები გამოსცა ი. ელიოზიშვილმა 1869 წელს. „ეთერიანის“ პ. უმიკაშვილისეული ვარიანტი გამოქვეყნდა მის ნაშრომში „ხალხური სიტყვიერება“. ტ. 1. 1937 წ. უფრო ადრე, 1879 წელს პ. უმიკაშვილმა ცალკე წიგნად დაბეჭდა „ეთერიანი“. სახალხო წიგნების შედგენა-გავრცელების საქმეში პ. უმიკაშვილს რომ ბევრი დაბრკოლების გადალახვა უხდებოდა, იგი თავის დღიურში 1890 წელს გულისტკივილით წერდა : „ ერთი კიდევ საჭირო იყო ამ საგანს დაგვრუნებოდი, ერთ ათი-თხუთმეტი, ბროშურა გამომეცა, შემედგინა, ან მეთრავმნა ხალხის საკითხავად. იქნება საქმე წინ წასულიყო, თანამშრომლებს ვეძებდი, მაგრამ აბა თუ გამოჩნდნენ, მარტო უფრო ბევრს აკეთებს კაცი ჩვენში, ვიდრე სხვებთან ერთად“. ამ პერიოდიდან პ. უმიკაშვილი მართლაც ვეღარ აგრძელებს სახალხო წიგნების გამოსცემის ეროვნულ საქმეს, როგორც იგი წერს „ჯერ ზესტაფონში და შემდეგ

ბათუმში სამუშაოდ გადასვლის გამო“. პ. უმიკაშვილის მოღვაწეობა ქართული სახალხო წიგნების შედგენა-გამოსცემის საქმეში ერთი ნათელი მაგალითია იმ ეროვნული საქმისა, იმ საგანმანათლებლო პროგრამისა, რომლის შესახებ შემდგომში წერდნენ და საქმით ეხმაურებოდნენ დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი : ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვები. სახალხო წიგნების გამოსცემა იმითაც იყო განპირობებული, რომ ამით სალიტერატურო ენა უახლოვდებოდა ხალხურ ენას, ხალხურ მეტყველებას, რომლის აუცილებლობას ნათლად ხედავდა პ. უმიკაშვილი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და დიდი განმანათლებელი.

ლიტერატურა

1. მაცაბერიძე, ვ. ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ-გამავრცელებელნი - თბ., 1977 . - 104 გვ.
2. „ივერია“, 1904 . - №123.
3. მეზერიშვილი, ზ. პ. უმიკაშვილი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი . - თბ., 1967 . - 112 გვ.
4. გვარამაძე, პ. უმიკაშვილი, რედაქტორ-გამომცემელი // მაცნე . - 1971 . - №2, გვ.45-60.
5. მესხი, ს. წიგნების გავრცელება ჩვენში // დროება; 1871 . - №21.
6. ნიკოლაძე, ნ. ჩვენი მწერლობა : გრ. ორბელიანი // კრებული, 1873 . - №3.

ლია ბიბაიჩი

მოუხელთებელი თავისუფლება

აპაპაი ბაქრაძე - 90

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მწერლობისა და, გნებავთ, საზოგადო მოღვაწეთა უკვდავებას ხშირ შემთხვევაში მათი ნაწერების ზოგადსაკაცობრიო და ზოგადეროვნული ხასიათი განაპირობებს და, იმის მიუხედავად, ვინ სად გაამწესებს მათ, რომელ ბანაკში, ან რომელ პოლიტიკურ დასში, მათი იდეები მარადიულობასა და უკვდავებას ინარჩუნებს. ასე მოხდა აკაკი ბაქრაძის შემთხვევაშიც, - მწერლის პიროვნება და მისი მრავალფეროვანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ეროვნული ერთიანობის იდეით იყო გამსჭვალული. რა სურდა? - ლიტერატურაშიც, ისტორიაშიც, თეატრშიც და კინოშიც, ანუ ჩვენი კულტურულ-

ლი ცხოვრების მრავალფეროვნებასა და მრავალმხრივობაში თავისთავადობისა და მარადიული უკვდავეოფის ნიშნებს ეძებდა; მუდამ იმის ცდაში იყო, ეპოვა და თავისი ხალხისათვის ესწავლებინა საკუთარი თავის ფასი, დაენახებინა საკუთარი ძლიერების ფენომენი, ე. ი. ის, რითაც უნდა ეამაყა ერს, გაძლიერებულიყო და განსხვავებულიყო მეზობელ და შორეულ ხალხთაგან, რათა, ერთი ქართული ხალხური სიმღერისა არ იყოს, „ნუმც გაიხაროს მტერმა ჩვენზედა“. აკაკი ბაქრაძის ნაღვაწს რომ გადავხედავთ, არა მარტო ჩვენ, არამედ ლიტერატურის წამკითხველ არცერთ თაობას აღარ უნდა გაუჩნდეს კითხვები იმის

თაობაზე, თუ რატომ უნდა ვიკითხოთ და ვიცოდეთ კარგად ქართული ლიტერატურული ნაწარმოებები და საისტორიო წყაროები. არ უნდა დაგვავიწყდეს ის, თუ რამდენ გამოსწვევას უპასუხა აკაკი ბაქრაძემ მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის დრმა ცოდნით და როგორი ცხოვრებისეული ფილოსოფია შეიმუშავა ქართველი ხალხისათვის საკუთარ ძირებზე დაყრდნობით. იგი თავისი პროგრამული დებულებებით, მართლაც, ძლიერ ჩამოჰკავდა თავის იდეურ წინაპარს – ილია მართალს. თუმცა თვითონაც უკვირდა, – ერის წინამძღოლის ფუნქციას თავისუფალ ქვეყანაში ისინი ასრულებენ, ვისაც ეს უშუალოდ ევალება და არა მწერლები. გაჭირვებას რა ვუთხრათ, თორემ პოლიტიკოსის ფუნქცია მწერალმა რატომ უნდა იკისროს? გვიჭირს და სხვა გზა, სხვა ხსნა არა გვაქვსო. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი ქვეყანა ისეთივე უპატრონო და გზადაბნეული იყო, როგორც ილიას დროს; თითქოს, არაფერი შეცვლილა, ამიტომ კიდევ უფრო მეტად გაკვირვებული ვერდა მწერალი: „რა გვიჭირს ისეთი, რომ ჩვენს თვისებაში არაფერი შეიცვალა? რატომ დარჩა ჩვენი ცხოვრება ერთ ადგილზე გაყინული?“ და, როგორც ილიას, ხმა ჩაესმოდა, ღაღადი ერისა... ამიტომ იკისრა მწერლის, პუბლიცისტის, კრიტიკოსის, მასწავლებლის მძიმე უღელი და უხვი შემოქმედებითი დანატოვარი გვისახსოვრა, გვიანდერძა, გვისაგძღა.

მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში აკაკი ბაქრაძის იდეურ ნაწარმოებებს – დაბეჭდილებასა და დასაბეჭდებს – შესაფერისი დრო-ჟამი დაუდგა გამოსამხეურებლად და პრაქტიკაში გამოსაყენებლად, ხალხის გამოსადვიებლად და ახალგაზრდობის დასამოძღვრავად. აკაკი ბაქრაძემ ერის სამსახურისთვის მზადება და წერა ჯერ კიდევ 50-60 – იან წლებში დაიწყო. 1966 წელს ერთმანეთის მიყოლებით დაიბეჭდა მისი „კინოკრიტიკული ეტიუდები“ და „კრიტიკული წერილები“. ეს ნაბიჯი, თითქოს, ბუნებრივიც უნდა ყოფილიყო, რადგან 1955-1968 წლებში აკაკი ბაქრაძე კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო – სარედაქციო კოლეგიის მთავარ რედაქტორად მუშაობდა. თუმცა ამ წიგნებში არ იყო მხოლოდ მაშინდელი კონიუნქტურისათვის დამახასიათებელი ტრაფარეტული, ვიდაცის მათე-

ბელი მიმოხილვა-რეცენზიები. აქ იყო გამოკვეთილი პრინციპი: „ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?!“ შემდეგ, 1969 წელს, გამოიცა „მითოლოგიური ენგადი“ (არსებობს ამ წიგნის მეორე შეესებული გამოცემაც), სადაც მწერალი მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის მითოსურ ქარგას, კერძოდ, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს დიმილის“, „მოვარის მატაცების“, „ხოგაის მინდიას“, „ტაბუს“ და დემნა შენგელაიას „სანავარდოს“, „გურამ ბარამანდიას“, „ბათა ქექიას“ მიხედვით. აქ მწერალმა დაწვრილებით აგვიწერა მითოლოგიის რაობა და დანიშნულება ქართულ ლიტერატურაში, გვიჩვენა, „თუ როგორ იყენებს დღევანდელი ქართული პროზა მითოლოგიას“; დაგვიხატა „ეპოქის სიკვდილის მსხვერპლთა“ ხატოვანი სურათი ქართული მითოლოგიური ენგადის – სამოთხის მოშველიებით. რადგან ენგადი ვახსენეთ, აქვე რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ აკაკი ბაქრაძის წიგნზე – „კარდუ ან გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი.“ მითოსად ქცეული ამ კარდუელი (გრიგოლ რობაქიძე თავს კარდუდან, ქალდეადან (ქართველთა უძველესი საცხოვრისი) მოვლენილად თვლიდა, აქედან მომდინარეობდა მისი ფსევდონიმიც) კაცის მთელი ცხოვრება ქართული დიდების გახსენება-შეხსენებას მოხმარდა, ქართული სულის აღორძინებას, ემიგრანტისაგან მონატრებული სამშობლოს გაძლიერების იდეას. მწერალი მითოსს მიმართავდა, როგორც ჩვენი გადარჩენის მთავარ წყაროს და მასში ხედავდა ჩვენი ეროვნული ერთადერთობის საიდუმლოს. გრიგოლ რობაქიძე თავის საუკეთესო „ენგადში“ წერდა: „გულის ფრიალით გზნებ ცოცხალს მძლეოსან მითოსს“. ამ მითოსურ ქსოვილში გახვეულებს ვერ უნდა მოგვწვდენოდა ავი თვალი, რწმენა-წარმოდგენებით გულმოცემულ საქართველოს ვერ უნდა მორეოდა მომხვედური.

„გრიგოლისათვის მითოლოგია დედა თემაა...იგი თავს აღიქვამდა, როგორც გრაალის მცველი რაინდი (აქ მოცემულია გრაალისა და მის მცველთა მითური ახსნა-განმარტება), რაც სამშობლოს მცველ რაინდთან ასოცირდება“, – წერს აკაკი ბაქრაძე. ქართულ მითოლოგიურ სამყაროს, როგორც ჩვენი განსხვავებულობისა და კულტურული სიძველის სიმბოლოს, და მის ასახვას ლიტერატურაში ეძღვნე-

ბა აკაკი ბაქრაძის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წერილი „ვაჟა და მითოსი“, სადაც ავტორი მიმოიხილავს „გველისმჭამელისა“ და „ბახტრიონის“ პერსონაჟთა მრავალსახოვან სამოქმედო არეალს, ტრადიციებით დახუნძლული მთის სიმბოლიკას. აღნიშნული სტატია შესულია აკაკი ბაქრაძის წიგნში „ფიქრი და განსჯა“ (1972). აქვე არის მისი მეორე სტატიაც „მითი თუ ისტორია?“, სადაც მწერალი ლ. გოთუას რომან „მითრიდატეს“ მითოლოგიურ-ისტორიული ძირების ანალიზს გვთავაზობს. წიგნი „ფიქრი და განსჯა“ სხვა შემოხსენებულ წერილებთან ერთად მოიცავს უახლესი ქართული ლიტერატურის კიდევ რამდენიმე საინტერესო ნაწარმოების კრიტიკულ მიმოხილვას, კერძოდ, „გმირობის აპოლოგია“ კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობების კრებულს („სიკვდილი ცოტას მოიცდის“) – შეეხება, ხოლო „აკვარიუმის ბინადარი“ არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზის“ განხილვას ეთმობა. ჩვენი დაკვირვებით, აკაკი ბაქრაძისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა მწერალი, იგი ყველა ავტორს ერთნაირი სახომით სინჯავდა მშობლიურ თუ უცხოურ ლიტერატურაში და არცერთ მათგანს არ უკარგავდა საკუთარი ერისა თუ კაცობრიობის წინაშე დამსახურებას. იგი პირუთენელი კრიტიკოსი იყო და არა ბორცვიცინიზმით გამსჭვალული კაცთმოძულე, მართალი, გულითადი და კეთილის მისურნე თავისი ერისა და ქვეყნისათვის. 1977 წელს გამოიცა აკაკი ბაქრაძის წიგნი „კრიტიკული გულანი“, რომელშიც შევიდა უპირველესად „რა არის თათქარიძეობა“ და ილიას „განდევილი“ (ანალიზი), იოანე – ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ – ს დედააზრის, შინაარსისა და სიმბოლიკის საკითხები, „ჩუმი ნეტარება“ (კოლაუ ნადირაძის პოეზიაზე), „ტარიგი ღმრთისაი“, „განადრამატურგია ლიტერატურის გერია?“, „ზნეობრივი გმირისათვის ქართულ ლიტერატურაში“ და სხვა სტატიები. თითქმის ასეთივე შინაარსისაა (ოღონდაც უფრო გაფართოებული მასშტაბის) წიგნი, სახელწოდებით, „რწმენა“ (1990), რომელშიც კიდევ უფრო მეტი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილია თავმოყრილი, მათ შორის: „უღირსებო კაცი“, „სევდა ისტორიისა“, „ვაჟას მრწამსი“, „ტრაგიკული ოპტიმიზმი“ (ლევან

გოთუას შემოქმედებაზე), „პატიოსნება“ (მოცემულია ქართველი ხალხის ზნეობრივი პრობლემების ანალიზი), „რწმენა“ (ასახულია რელიგიური რწმენის საკითხები სხვადასხვა ლიტერატურულ ნაწარმოებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონზე). შემოთავს ვთქვი და აქაც გავიმეორებ, რომ ჩვენი თაობა აკაკი ბაქრაძეს მეორე ილიას უწოდებდა. საინტერესოა მისი და დიდი ილიას პიროვნული თანხვედრა და ემპათიის უნარი. ორივე – მწერალიცა და კრიტიკოსიც – ლიტერატურისა და ხელოვნების დანიშნულებას ერის სამსახურში ხედავდა. განჯგონებულთაგან (ამ სიტყვას აკაკი ბაქრაძე ხშირად იყენებდა) განსხვავებით, ავკარგიანობა იყო მათი საერთო ნიშანი, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ აკაკი ბაქრაძის მწერლობასა და პუბლიცისტიკაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ილიას შემოქმედებას. როცა ილია ოცნებობდა, – წერს აკაკი ბაქრაძე, – „ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედებს კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდე ერთს ჰფიქრობს და ეგ ფიქრია მთელის კავკასიის თავისუფლება“, ამ დროს გიორგი მუხრან-ბატონი ქადაგებდა, რომ მცირერიცხოვანი ერების ენებს საგანმანათლებლო მნიშვნელობა არა აქვთ, მათ მარადიული ჩამორჩენილობა ელით, რომ ქართული კულტურა სპარსული კულტურის ოდენ ჩრდილი და ანარეკლია, რომ ქართველ ხალხს არ შეუქმნია არაფერი ორიგინალური... ა. ბაქრაძის სიტყვით, მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ქართული აზროვნების ორი ნაკადი ებრძოდა ერთმანეთს – იმედი და ნიჰილიზმი.

ბიბლიოგრაფია

1. აკაკი ბაქრაძე, მითოლოგიური ენგადი, თბ., 1969
2. აკაკი ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1984
3. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ.4, თბ., 1987
4. ქართული მწერლობა, ტ.1, თბ., 1987
5. აკაკი ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1990
6. აკაკი ბაქრაძე, რწმენა, თბ., 1990
7. აკაკი ბაქრაძე, დაწუნებული გზა, თბ., 1995
8. აკაკი ბაქრაძე, კარდუ, ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბ., 1999
9. აკაკი ბაქრაძე, თხზ. ტ.8, თბ., 2006

გაითხველთა მომსახურება

მარცი კოენი (MARCI COHEN)

ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან (თარგმანი ინგლისურიდან) *

(დასაწყისი იხ. წინა ნომრებში)

თავი 5- გაგრძელება

მულტიმედიაური განყოფილების ბიბლიოთეკარი

მე ვარ შტატ ილინოისის ერთ-ერთი ქალაქის გარეუბანში მდებარე საჯარო ბიბლიოთეკის მულტიმედიაური განყოფილების ბიბლიოთეკარი. ჩვენს განყოფილებაში ვემსახურებით მუსიკალური ჩანაწერებით, კინოფილმებით, სი-დი-რომებითა და აუდიოწიგნებით. ჩვენ ასევე ვმართავთ მუსიკალურ და კინოლონისძიებებს მოზრდილებისთვის. მე ვარჩევ სიახლეების სტენდისთვის როკ-და პოპმუსიკის კომპაქტდისკებს. გარდა განყოფილებაში დაკისრებული მოვალეობებისა, ვასწავრებ თანამშრომელთა საინფორმაციო ბიულეტენს.

ტიპური სამუშაო დღე

დღის უმეტეს ნაწილს ვატარებ სამკითხველ დარბაზში და ვცემ პასუხებს შეკითხვებზე. მათი უმეტესობა დაახლოებით ამგვარი სახისაა: „სად შემიძლია ვიპოვო მასალა, რომლის სახელიც საერთოდ არ ვიცი?“ მე ვუხსნი, როგორ არის განლაგებული თაროებზე ჩვენი ფონდი, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენ ვიყენებთ „ანსერს“ (ANSCR) – ხმოვანი ჩანაწერების კლასიფიკაციის საგანგებო სქემას. ის არ ჰგავს დიუს ან კონგრესის ბიბლიოთეკის სისტემებს და უცნობია ახალი მომხმარებლებისათვის. ზოგჯერ საკმარისია იმის თქმა, რომ ყველა სამუსიკო ჩანაწერი განლაგებულია ანბანურად შენახვის შიფრის მიხედვით, სხვა დროს კი საჭიროა მეტი განმარტება. მაგალითად, სჭირდებათ იმის ახსნა, რომ შენახვის შიფრის დასაწყისი უმეტეს შემთხვევაში აღნიშნავს მუსიკის ტიპს, მაგალითად, ჯაზს ან კლასიკურ კამერულ მუსიკას, ან იმის, რომ კლასიკური მუსიკა დანომრილია კომპოზიტორის, ხოლო პოპმუსიკა – შემსრულებლის მიხედვით.

კლასიკური მუსიკის ჩანაწერების პოვნა განსაკუთრებით ძნელია, რადგან საბიბლიოთეკო კატალოგები უფრო გათვლილია წიგნების, ვიდრე მუსიკის მოსაძებნად, და კონსორციუმის მიერ მომზადებული ჩანაწერებიც შესაძლოა სრულად ვერ მოერგოს ჩვენს საჭიროებებს. ერთი და იგივე ნაწარმოები შეიძლება ცნობილი იყოს უამრავი სხვადასხვა სახელით: სათაურით ინგლისურ ენაზე, სათაურით კომპოზიტორის მშობლიურ ენაზე, ნაწარმოების ტიპით (მაგალითად, კონცერტი ან მასურკა), თხზულების ნომრით, გამომცემლის მიერ მინიჭებული სხვა საკლასიფიკაციო ნომრით ანდა, უბრალოდ, კომპოზიტორის ამ ტიპის ნაწარმოებების რიგითი ნომრით, მაგალითად, მეხუთე სიმფონია ან სიმფონია № 5. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ჩანაწერი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ცალკეულ ნაწილებს და არა მთლიან ნაწარმოებს. ამგვარი შეუთავსებლობებისა და ვარიაციების დაძლევა მოითხოვს სხვადასხვა მიდგომას. მნიშვნელოვანია ფონდისა და თაროებზე მისი განლაგების სქემის ცოდნა, რადგან ზოგჯერ თაროზე შეიძლება უფრო მალე მოძებნო, ვიდრე კატალოგში. ასევე ვიყენებ საინფორმაციო წყაროებს, როგორცაა „შვან ოპუსი“ (Schwann Opus) ან allmusic.com. დიდხანს ვეძებ ონლაინკატალოგში, შევდივარ შინაარსის ვებში და ვიმედოვნებ, რომ მომხმარებელი მომთმენი აღმოჩნდება. მანუგეშებს ის ფაქტი, რომ ჩემზე მეტი მუსიკალური განათლების ან გამოცდილების მქონე კოლეგებიც მსგავს სიძნელეებს აწყდებიან.

პოპმუსიკა ჩემს ძლიერ მხარეს წარმოადგენს და ის გაცილებით სახალისოა. ვამაყობ ჩვენი მრავალფეროვანი ფონდით; ჩვენ გვაქვს პრაქტიკულად უცნობი სიმღერებიც, რომელთაც მომხმარებლები ეძებენ. მე ვეხმარები მათ ამა თუ იმ სიმღერის შემსრულებლის დადგენაში ან ვასწავლი მის მოძებნას

კომპილაციებში. მე განვსაზღვრავ, რა იქნება საკმარისი მომხმარებლისათვის, ვთქვათ, მხოლოდ სიმღერა „მოვარის მდინარე“ (Moon River) თუ ფილმის „საუზმე ტიფანისთან“ მთელი საუნდტრეკი. ასევე ვცდილობ გავერკვე დამაბნეველ მართლწერაში, მაგალითად, როგორ შეიძლება იწერებოდეს მანფრედ მენის სიმღერის სახელწოდება Do Wah Diddy Diddy. ზოგჯერ მომხმარებლებს მხოლოდ რამდენიმე ტაქტის წამღერება შეუძლიათ ან იციან ტექსტის მხოლოდ მოკლე ნაწყვეტი, ამიტომ როცა ბოლოს ვპოულობთ, რაც სურდათ, ორივე კმაყოფილებას განვიცდით. მე ვეყრდნობი ჩვენს კატალოგს, allmusic.com-ს, ინტერნეტში უფრო ფართო ძიების შედეგებსა და საკუთარ მეხსიერებას, რომელიც გამიუმჯობესდა ბიბლიოთეკარად მრავალწლიანი მუშაობის შედეგად. მანამდე კი გახლდით მუსიკალური მაღაზიის თანამშრომელი, მუსიკის ჟურნალისტი და, უბრალოდ, მუსიკის მოყვარული.

ვიდეოებისა და დი-ვი-დის თაროებზე განლაგების სქემა უფრო ადვილი სასწავლია, ვიდრე მუსიკალური ჩანაწერების სქემა. თუმცა ბევრ მომხმარებელს უკვირს, რომ გვაქვს 30000-ზე მეტი ვიდეოს და დი-ვი-დის მუდმივად ცვალებადი ფონდის ონლაინკატალოგი, და არა ქაღალდზე დაბეჭდილი სია. ზოგი მომხმარებელი ეძებს ნებისმიერ ვიდეოს მისთვის საინტერესო საკითხზე, უმრავლესობა კი – კონკრეტულ ფილმს. მათ ყოველთვის არ იციან სრული სათაური ან სწორად არ ახსოვთ დეტალები. ჩვენს კატალოგებში შესაძლებელია მოძიებნოს ვიდეო კინოვარსკვლავის, რეჟისორის ან სიუჟეტის მიხედვით. „კინოფილმების ინტერნეტმონაცემთა ბაზა“ (Internet Movie Database) გვეხმარება არასრული ან არაზუსტი სათაურების გასწორებაში და იმის გასარკვევად, ფილმი გამოსულია ვიდეოს თუ დი-ვი-დის ფორმით. ხანდახან სიუჟეტის აღწერილობის დახმარებით ვპოულობთ ისეთ ფილმს, რომლის არც მსახიობი და არც სათაური მომხმარებელმა არ იცის. მონაცემთა ბაზა VideoHound's Golden Movie Retriever შეიცავს მოკლე ანოტაციებს, ფილმში მონაწილე მსახიობების სიებსა და რეჟისორების ფილმოგრაფიებს, ასევე სახალისო თემატურ საძიებელს, რომელშიც შეხვდებით როგორც პრაქტიკულ (ფილმები, რომელთა მოქმედება

ხდება ლას-ვეგასში), ისე იუმორისტულ კატეგორიებს (ფილმები, რომლებიც ეხება სხეულის ნაწილების ამბოხებას; იქვე მოყვანილია „იხ. ასევე“ სია ფილმებისა მკვლელი ტვინების შესახებ).

მომხმარებლების დახმარება აუდიოფილებისა და სი-დი-რომების მოძებნაში უფრო მარტივია, რადგან ისინი განლაგებულია მათთვის ნაცნობი სქემებით: დიუის კოდის ან – მხატვრული ნაწარმოების შემთხვევაში – ავტორის მიხედვით. გარდა კონკრეტული ერთეულებისა, მომხმარებლები მუდმივად მოხოვენ მასალებს საგადასახადო საქმის შესახებ, ტესტირებისთვის მოსამზადებლად, ბეჭდვის უნარებისა და უცხო ენების სასწავლო მასალებს. უკანასკნელი ბესტსელერების ცოდნა მეხმარება ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემაში, როგორცაა „რა ჰქვია იმ წიგნს ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენისა და სერიული მკვლელის შესახებ?“

ზოგიერთი საქმე საკმაოდ მოსაწყენია, მაგალითად, ერთეულთა გაცემის წესების ახსნა ან კალათების შემოწმება, სადაც ასობით დაბრუნებული კომპაქტდისკი აწყვია და მომხმარებელს უნდა უპოვო ის ცალი, რომელიც, კატალოგის თანახმად, თაროზე დევს. ჩვეულებრივ სამუშაო დღეს დაახლოებით ნახევარ საათს ვანდომებ დაბრუნებული კომპაქტდისკების, დი-ვი-დების და სი-დი-რომების დაწმენდასა და დათვალიერებას, რათა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი ადვილზეა, კარგ მდგომარეობაში და მზადაა თაროზე დასაწყობად. მიუხედავად იმისა, რომ დისკებს ძირითადად წმენდს ჩვენი განყოფილების დამხმარე პერსონალი, თავს ვანებებ სხვა საქმეს, რათა დავეხმარო, როცა ბევრი გროვდება და ვერ ასწრებენ.

ვეცნობი ჟურნალ „ბილბორდს“ (Billboard), „როლინგ სტონს“ (Rolling Stone), „სპინს“ (Spin), ასევე allmusic.com-ის სიახლეებს ბიბლიოთეკისთვის შესაძენი კომპაქტდისკების შესარჩევად. ვეძებ პოპმუსიკის სიახლეებსა და საერთოდ ყველაფერს, რაც მასმედიის ურადლებას იპყრობს. ვათვალიერებ „გრემის“ ნომინანტების სიას, წლის ბოლოს კრიტიკოსების მიერ შედგენილ „საუკეთესოთა“ სიებს, ვკითხულობთ კონცერტების მიმოხილვებსა და ანშლაგებით ჩავლილი წარმოდგენების სიებს – ეს ყველაფერი იმისთვის, რომ გან-

ვსაზღვრო, რა მუსიკით შეიძლება დაინტერესდნენ ჩვენი მომხმარებლები. „ენტერტინემენტ უიკლის“ კითხვის დროს ვინიშნავ ფილმების ყველა გაგრძელებასა და რიმეიკს, რომელიც ჯერ არ გამოსულა ეკრანზე, ვამოწმებ, გვაქვს თუ არა ორიგინალი დი-ვი-დიზე, შემდეგ კი ვაფრთხილებ დი-ვი-დეების შერჩევაზე პასუხისმგებელ პირს, სანამ მოთხოვნა პიკს მიაღწევდეს.

ასევე, მიწევს მოულოდნელი პრობლემების მოგვარება, უმეტესად დაკარგული ერთეულების მოძებნა. დროთა განმავლობაში განმითარდა უნარი მივმხვდარიყავი, რატომ შეიძლება დაეწყო ერთეულები არასწორად პერსონალს ან სად შეიძლება დაეტოვებინა ისინი რომელიმე თანამშრომელს. მართალია, არ ვარ იმდენად პედანტიური, რომ კატალოგისტად ვიმუშაო, ისე კარგად ვპოულობ ორთოგრაფიულ შეცდომებს კატალოგში, რომ კატალოგისტები ხუმრობენ კიდევაც ჩემს არწივის თვალზე. ჩვენ მათ ერთობლივი ძალისხმევით ვასწორებთ, რათა მომხმარებლებს არ გაუჭირდეთ პოვნა. ამიტომ კატალოგისტებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია.

თვეში რამდენჯერმე ვუჩვენებთ კინოს. რადგანაც გვყავს ხნიერი მომხმარებლები და აუდიტორიაში ცუდი განათებაა, ფარნით ხელში მივაცილებ სტუმრებს კინოდარბაზში. მე ვნახე ბევრი შესანიშნავი ფილმი, კლასიკაცა და უახლესიც, რომლებიც ადარ გადის კინოთეატრებში, მაგრამ ვიდუოჩანაწერის სახით ჯერ არ გავრცელებულა. ეს ფილმები ჩვენთან პირდაპირ კინოფირიდან დიდ ეკრანზე პროეცირდებოდა. დასანანი, რომ, როგორც წესი, ყოველი კინოს პირველი 10 წუთის გამოტოვება მიწევს, რადგან ამ დროს დაგვიანებით მოსულებს ვსვამ ადგილებზე. აგრეთვე მიწევს გამოვტოვო ფილმის შემდეგი ნაწყვეტებიც, რადგან მიმყავს მომხმარებლები საპირფარეშოში ან გასასვლელისკენ, თუ, ვთქვათ, რომელიმე სკანდალურმა ფილმმა აღაშფოთათ.

მე ასევე ვამზადებ და სისტემატურად განვაახლებ აქტუალური მასალების თემატურ ბროშურებს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ რამდენიმე მოთხოვნამ მიბიძგა შემდეგინა პატრიოტული მუსიკის სია და მომეწყო შესაბამისი

თემატიკის სტენდი. ზოგიერთი სტენდი მოითხოვს ჩვენი ფონდის შედარებას უკვე არსებულ სიებთან, მაგალითად, როცა ვაწყობთ ყოველწლიურ სტენდს სახელად „საუკეთესო კინოსურათისთვის კინოაკადემიის ჯილდოს გამარჯვებული ფილმები“. ზოგჯერ სიახლეების სტენდისთვის თემის არჩევა ან შესაბამისი მასალის მოძიება განსაკუთრებულ შემოქმედებით მიდგომას მოითხოვს: მაგალითად, სეზონური სტენდები არჩევნების თემაზე გადაღებული ფილმებით ან წმ. ვალენტინის დღისადმი მიძღვნილი რომანტიკული მუსიკით. ყოველთვიურად ვამზადებ ახალი მასალების ბეჭდურ და ონლაინსიებს და ვცდილობ, ჩემი კომპიუტერული უნარ-ჩვევები მაქსიმალურად გამოვიყენო, რათა მოუხერხებელი ელექტრონული ცხრილები მომხმარებელთათვის გამოსაღებ და მიმზიდველ პროდუქტად ვაქციო.

კვირაში ერთხელ ვასწორებ, ვბეჭდავ და ვარიგებ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა საინფორმაციო ბიულეტენს. ეს საქმე ჩემგან მოითხოვს ბიბლიოთეკაში მიმდინარე ამბების შესახებ უახლესი ინფორმაციის ფლობას. ვცდილობ, შემოქმედებითად ვწერო, რათა თანამშრომლები დავაინტერესო და მოუნდეთ, რომ წაიკითხონ მნიშვნელოვანი განცხადებები, ანდა სიახლეებით დარბ კვირებში საბიბლიოთეკო საქმესთან დაკავშირებული საინტერესო საკითხავით მაინც უზრუნველყო.

გარდა განყოფილებაში საქმიანობისა, მონაწილეობას ვიღებ კომპიუტერის საბაზისო მეცადინეობების ჩატარებაში. რადგან წინათ მიმუშავია კომპიუტერული წიგნიერების სფეროში, კარგად მახსოვს ახალბედა მომხმარებლების დაბნეულობა, გაუგებრობები და იმედგაცრუება. ბევრი რამ ვისწავლე ამ მეცადინეობების დროს და ახლა უკეთ შემიძლია ჩვენი მომხმარებლებისთვის იმის ახსნა, თუ როგორ გამოიყენონ ონლაინ-კატალოგები; ყოველ ჯერზე ვითვალისწინებ, რომ ყველამ არ იცის ვებგვერდზე ზევით-ქვევით მოძრაობის ფუნქცია ან ბმულების გამოყენება.

დადებითი და უარყოფითი მხარეები

ბიბლიოთეკაში მუსიკის სფეროში მუშაობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, მაგრამ მე მიყვარს ჩემი საქმე. ჩემი კარიერის გან-

მავლობაში ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ კარგი მუსიკის მიტანას საზოგადოებამდე. მე გადასახადების გადამხდელთა ფულს ვხარჯავ კომპაქტ-დისკების შექმნაში, რომელთაც შემდეგ თვითონვე უსმენენ. მიუხედავად იმისა, რომ ვახერხებ უკანასკნელი ჰიტების დროულად მოძიებას, ყოველთვის სასიამოვნოდ ვღელავ, როდესაც ვხედავ, რომ ჩემი საყვარელი, თუმცა არცთუ ცნობილი მომღერლის კომპაქტდისკზე ბიბლიოთეკაში მოთხოვნაა. როდესაც ახალ ალბომს ვყიდულობ ისედაც საკმაოდ სრული ფონდის შესავსებად და მომხმარებლები მაშინვე ჯავშნიან მას, ვგრძნობ, რომ სასარგებლო საქმეს ვაკეთებ. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი აფასებენ ჩემს მონდომებას, რომ მრავალფეროვანი ფონდი შევქმნა. ყოველთვის მსიამოვნებს იმ მოზარდების დანახვა, რომლებსაც გაუხარდათ, რომ ჩვენ უკვე გვაქვს რომელიმე პოპულარული დამწვები ჯგუფის კომპაქტდისკი ან ვგეგმავთ მის შექმნას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ითხოვენ. იმ პირობებში, როცა რადიოსადგურები სულ უფრო და უფრო სპეციალიზებული ხდება, ძალიან მიხარია, რომ ჩვენს მომხმარებლებს შეუძლიათ უფასოდ გაეცნონ მთელ ჩვენს მუსიკალურ მემკვიდრეობას – რახმანი-ნოვიდან ჯგუფ „რამონუნზამდე“.

ჩემი ინტერესი საბიბლიოთეკო საქმის მიმართ მომდინარეობს ბიბლიოთეკარებისადმი ღრმა პატივისცემიდან. ფილადელფიის „თავისუფალ ბიბლიოთეკაში“ მქონდა მათთან რამდენიმე არაჩვეულებრივი შეხვედრა, სადაც ბუნდოვან კითხვებს ვუსვამდი. ზოგჯერ მათ არ იცოდნენ ზუსტი პასუხი, მაგრამ ის კი მართლა იცოდნენ, სად და როგორ მოეძებნათ, და მალევე მცემდნენ პასუხს. მეც ამ სფეროში ვარ და ვცდილობ იგივე გაგაკეთო: დავტკბე ბიბლიოთეკარად მუშაობის ამ ჯადოსნური მომენტებით. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა ვიცი, რომ ფონდში არის მომხმარებლისთვის სასურველი ერთეული. ამ შემთხვევაში ვეყრდნობი ჩემს ფოტოგრაფიულ მეხსიერებას, რათა მყისიერად დავინახო იგი ჯერ კიდევ დაუხარისხებელი და თაროებზე დაუწყობელი კომპაქტდისკების გროვაში. ასევე სასიამოვნოა, როცა პოულობ პასუხს ბუნდოვან შეკითხვაზე ჩვენი ონლაინკატალოგისა და საძიებო ინსტრუმენტების დახმარებით. ამ დროს

ხშირად მე თვითონაც ბევრ ახალ ინფორმაციას ვიგებ. ამის კარგი მაგალითია ის შემთხვევა, როდესაც ვცდილობდი გამეგო, თუ რომელი სიმღერა იყო გამოყენებული Lincoln Navigator-ის ბოლოდროინდელ სარეკლამო რგოლებში. Google-ში სწორად ვეძებდი, რადგან ნანახი მქონდა ეს რეკლამა, და მუსიკაში ამოვიცანი „მუნდოგის“ (Moondog), ავანგარდული მუსიკოსის, ნამუშევარი, რომლის კომპაქტდისკებიც მაქვს. (ეს იყო მისტერ სკრაფის სიმღერა Get a Move On.)

გარდა ამისა, ჩემი სამსახურის საუკეთესო და, ამავედროულად, ყველაზე უარესი მხარე გახლავთ ის, რომ საზოგადოებასთან მაქვს პირდაპირი შეხება. ზოგი ადამიანი სასიამოვნო და თავაზიანია ურთიერთობაში, მოდის რთული შეკითხვებით და, როდესაც ვუპოვი მასალებს, გულწრფელად უხარია. მისთვის სასურველი კონკრეტული სიმღერის პოვნის შემდეგ ერთ-ერთი მომხმარებელი ჩამეხუტა კიდევაც. მიყვარს, როდესაც სკოლის ორკესტრის წევრები მოხოვენ თავიანთი მუსიკის ჩანაწერებს, რადგან მე თავად არასდროს ვყოფილვარ ასე მოტივირებული, როცა ანსამბლში ვუკრავდი. მინახავს ისეთი მომხმარებლებიც, ახალგაზრდებიც და ხნიერებიც, ვინც თანდათან იუმჯობესებენ ონლაინკატალოგში ძიების უნარ-ჩვევებს, თანაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სისტემა წიგნების მოსაძებნად უფრო არის გათვლილი, ვიდრე მუსიკის ან კინოფილმების. ისინი აღტაცებას ვერ მალავენ, როცა თაროსთან მივჭრივარ და მათთვის სასურველ მასალას ერთ წამში ვპოულობ.

სამწუხაროდ, ყველა ადამიანი არ არის ასეთი სასიამოვნო და თავაზიანი. ზოგი პიროვნულად არის ძალიან მომთხოვნი, უხასიათო ან არაკეთილგონიერი, ზოგი კი, უბრალოდ, იმ დღეს მარცხენა ფეხზე ადგა. ისინი ღიზიანდებიან, როდესაც მათთვის სასურველი მასალა იმ წუთას არაა ხელმისაწვდომი, როცა აღმოაჩენენ, რომ ჩვენ არ გვაქვს ყველა ფილმი, რაც კი ოდესმე გადაუღიათ, ან როდესაც ვთხოვთ, რომ პატივისცემა გამოიჩინონ ბიბლიოთეკის სხვა მომხმარებლების მიმართ. ზოგჯერ დიდი დაძაბულობის ფასად ვცდილობ თავი ავარიდო უსიამოვნო ურთიერთობებს და მოგვიანებით ვუზიარებ ასეთ შემთხვევებს თანამშ-

რომლებს ან თავად ვაანალიზებ, როგორ შეიძლება თავიდან ამერიდები-ნა მომხმარებლის რისხვა. ამის შემდეგ ძალ-ღონეს არ ვიშურებ, რომ შემდგომ მომხმარებლებთან ჩვეული მეგობრული და კეთილი განწყობა გამოვიჩინო.

როგორ ვიშოვო ასეთი სამსახური?

მიიღეთ საბიბლიოთეკო განათლება და დახელოვნდით ამ დარგში. ჩემი კარიერა აგებულია მუსიკაზე, რომელიც თითქმის ყველა წინა სამსახურის განუყოფელი ნაწილი იყო. მაშფოთებდა იმაზე ფიქრი, რომ სამუსიკო განყოფილებაში მომუშავე ბიბლიოთეკარს მუსიკალური განათლება უნდა ჰქონოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურ მუსიკალურ ბიბლიოთეკებში ბევრ ბიბლიოთეკარს მუსიკის დარგში ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი აქვს, საჯარო ბიბლიოთეკაში პოპმუსიკის ცოდნაც არანაკლებ მადგება. შეიძლება, ვერ დავიმახსოვრო, როგორ იწერება Tchaikovsky, სამაგიეროდ, პრობლემა არ მაქვს Ludacris-თან. გარდა სავალდებულო განათლებისა და საკითხის ცოდნისა, ამ თანამდებობაზე ბიბლიოთეკარს უნდა ჰქონდეს შემდეგი პიროვნული თვისებებიც: კომუნიკაბელურობა, დე-

ტალებისადმი ყურადღება, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, კეთილსინდისიერება და დიდი ცნობისმოყვარეობა.

სასარგებლო წყაროები:

„ოლმიუზიკი“. ალმუსიცი.კომ (ნანახია 2006 წლის 13 სექტემბერს).

„კინოფილმების ინტერნეტმონაცემთა ბაზა“ (The Internet Movie Database) www.imdb.com (ნანახია 2006 წლის 13 სექტემბერს).


მუსიკალური ბიბლიოთეკების ასოციაცია მუსიციკლიბრარეასსოც.ორგ (ნანახია 2006 წლის 23 თებერვალს).

ამონარიდი წიგნიდან „ერთი დღე ბიბლიოთეკის ცხოვრებიდან: კარიერული წარმატება საბიბლიოთეკო საქმესა და საინფორმაციო მეცნიერებაში“ (პრისცილა კ. შონტზისა და რიჩარდ ა. მარის რედაქტორობით; Shontz, Priscilla K. and Richard A. Murray, editors. *A Day in the Life: Career Options in Library and Information Science*. Libraries Unlimited, 2007)

ინგლისურიდან თარგმნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომელმა ნათია ხოტენაშვილმა.

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელას ბიბლიოთეკარის რეცეპტი



მომზადების დრო:	3 თვე
სირთულე:	
ყველაზე მეტად უხდება:	საქმისადმი სიყვარული, ერთგულება და თბილი, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის.

ინგრედიენტები :

- მაღალკომპიუტერული ტექნიკა
- სწრაფი, ულიმიტო ინტერნეტი
- კომპიუტერული უნარ-ჩვევების ცოდნა
- თანამშრომლობა სკოლასთან
- ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა
- თბილი და კეთილგანწყობილი გარემო
- ბიბლიოთეკის 5 გვერდი
- მომხმარებლის მოთხოვნების შესწავლა და შესაბამისი რეაგირების მოხდენა

რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი ჭელას ბიბლიოთეკაში?

ჩვენს სოფელში ბიბლიოთეკა საბჭოთა საქართველოს შემდგომ აღარ ყოფილა. ჩვენი მიზანი საბიბლიოთეკო კულტურის ახალად დანერგვა გახლდათ. ამიტომ ჩვენი ბიბლიოთეკა აუცილებლად უნდა ყოფილიყო მრავალფეროვანი, ფუნქციურად დატვირთული და მოდერნიზებული, რათა ყველა კატეგორიის მკითხველისათვის საინტერესო ყოფილიყო.

სოფელში სკოლების გარდა არსად არ არის ინტერნეტის მისაწვდომობა. პროექტმა „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, საშუალება მოგვცა მრავალფეროვანი მომხმარებელი გვყავდეს და ბიბლიოთეკა ერთგვარ საზოგადოებრივ ცენტრად ჩამოყალიბდა. მაღალკომპიუტერულმა ტექნიკამ და უფასო ულიმიტო ინტერნეტმა მოსახლეობას გაუმარტივა და გაუმრავალფეროვნა ცოდნის მიღების საშუალება.

სოციალური ქსელის მეშვეობით ვეკონტაქტებით ჩვენს კოლეგებს საქართველოს მასშტაბით, ვეცნობით ერთმანეთის აქტივობებს, ხდება ინფორმაციების გაცვლა და მისაღები სიახლეების დანერგვა. აქტიურად ვთანამშრომლობთ სკოლასთან, უფროსი კლასების მოსწავლეები ჩვენი ყველაზე ხშირი მომხმარებლები არიან და მათი აქტიური თანამონაწილეობით ძალიან ბევრ სოციალურ პროექტებს ვახორციელებთ. მათი ასეთი ჩართულობა ერთგვარი რეკლამაა ჩვენი ბიბლიოთეკისათვის, რაც ხელს უწყობს მომხმარებლის გაზრდას.



კომპიუტერული ტექნიკა განთავსებულია წიგნებთან ერთად, რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს ნებისმიერი სახის დისკუსია თუ ღონისძიება

ჩვენს ბიბლიოთეკას ჰყავს მრავალფეროვანი მომხმარებელი. აქ იკრიბება სხვადასხვა ეთნოსის, რელიგიის და ასაკის ადამიანი. შეკრებები სოფლის სამეურნეო თუ საგანმანათლებლო თემებთან დაკავშირებით საუბრობენ. აქ არის ფილმის ჩვენება და განხილვა-დისკუსია, წიგნის კითხვის კვირეულები და გვაქვს “წიგნის დღე” თვეში ერთხელ. რომელსაც ფართო აუდიტორია ყავს. ამ და სხვა აქტივობებმა გაამრავლა მომხმარებელთა რაოდენობა.

აღნიშნული აქტივობები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს გვერდზე და კეთილი ადამიანების დახმარებით ჩვენი წიგნის ფონდიც ივსება და მდიდრდება. ☺

მზარეული : ნათია მარკოიძე, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელას ბიბლიოთეკარი

რა უნდა გააკეთოთ თქვენ:



- იყავით ღიმილიანი
- იყავით პასუხისმგებლიანი საკუთარი საქმისადმი
- შექმენით მყუდრო და თბილი გარემო.
- გაიღრმავეთ კომპიუტერული უნარ-ჩვევები.
- დაიწყეთ პატარა ნაბიჯებით და აუცილებლად გამოვა დიდი საქმე.

„შეგ-მზარეულის“ რჩევები:

ძვირფასო კოლეგებო, იყავით ღიმილიანი, ხალისიანი, გულლია, მეგობრული და საუკეთესო მსმენელი. ეს ყველაფერი აუცილებელია იმისთვის, რომ ნებისმიერი კატეგორიის ადამიანისათვის სასურველი გარემო იყოს. აუცილებელი პირობაა, მუდმივად მუშაობდე საკუთარ თავზე. ეძებდე ახალს და რაც მთავარია ძალიან კარგად უნდა ერკვეოდეთ სოციალურ მედიაში და კარგად უნდა გქონდეს კომპიუტერული უნარ-ჩვევები განვითარებული.

და ბოლოს, აუცილებელია მიღებული ცოდნის და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ვიყოთ ერთად გავუზიაროთ ერთმანეთს ცოდნა და ბიბლიოთეკა იქნება ნამდვილი საზოგადოებრივი ცენტრი, “სიხარულის სახლი“

ესეების ჟონალური

სოსო ჯოსოხიძე

ესე-ამბავი

გაუმხელელი სიყვარულით ვატარებდი თითქმის ერთი თვე ბაბუცას დროშის ამბავს. ბაბუცა და მისი დროშა ივლისის დასაწყისში გამაცნო ბეჟან კოდუაშვილმა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიას ბიბლიოთეკარმა და ერთი ნახვა-წაკითხვით შემაყვარა. მოვალეობას და პირადი სიმპათიების გაუთქმელობის პირობას რა ვუთხრა, თორემ ვინ დამიშლიდა სახალხოდ ბაბუცაზე „გადარევის“ თქმას, მაგრამ ესეების კონკურსის - რეგიონალური ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკარებისა და ბიბლიოთეკების მკითხველებისთვის - კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობა, ესეების მიღებითა და ჟიურისთვის გადაგზავნით შემოიფარგლებოდა მსოფლოდ.

ესეების კონკურსი საქართველოს პრეზიდენტის ახალი კამპანიის - „დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისკენ - რესპუბლიკის 100 წელი“ - ფარგლებში საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ 26 ივნისიდან გამოაცხადა რეგიონალური ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკარებისა და მკითხველებისთვის, რათა მსურველებს საშუალება მისცემოდათ წარმოეჩინათ საკუთარი ხედვა საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე.

კონკურსში ქვეყნის მასშტაბით მოქმედი 100-მდე რეგიონალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა და მკითხველმა მიიღო მონაწილეობა და მათი ესეების შეფასება საბიბლიოთეკო ასოციაციამ კომპტენტურ ჟიურის მიანდო: ოთარ ჯანელიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; როზეტა

გუჯეჯიანი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი; დავით ტურაშვილი - მწერალი; კოტე ჯანდიერი - მწერალი.

23 ივლისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოყენო დარბაზში გამართულ კონკურსის გამარჯვებულთა გამოსავლენ სადამოხე გამოჩნდა, რომ „ბაბუცას დროშას“ თავისუფლების წყურვილით ისე უფრიალია, ჟიურის ოთხივე წევრმა ბეჟან კოდუაშვილის ესე უპირობო გამარჯვებულად გამოაცხადა.

კონკურსის პირობების თანახმად, პირველი სამეული -ბეჟან კოდუაშვილი, ლენტეხისა და ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკების მკითხველები მამუკა ლიპარტელიანი და მარიამ მარჯანიშვილი ფულადი პრიზებით, ხოლო გამარჯვებული ბიბლიოთეკები კომპიუტერული ტექნიკით დაჯილდოვდნენ.

ჟიურიმ 20 საუკეთესო ესეც გამოარჩია, რომლებიც სპეციალურად ამ დღისადმი მიძღვნილ კრებულში დაიბეჭდება.

საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტთან და ესეების კონკურსის ორგანიზატორთან, რუსუდან ასათიანთან შეთანხმებით, კონკურსის მსველობისას, გადავწყვიტეთ კიდევ ორი პრიზი დაგვეწესებოდა - ესე-მახარობელი: ასე მოვნათლეთ პირველი საკონკურსო ესე, რომელიც ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორისგან, ინგა გოგიბერიძისგან მივიღეთ და რომელიც "პირველობისთვის" სახელბითი საჩუქრით დაჯილდოვდა, ისევე როგორც სიდნაღელი მარიამ გურაშვილი, სოფლიდან თბილისში ორჯერ რომ ჩავიდა ესეეს გამოსაგზავნად.

საქიანო სვანიძე
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

მიღწეულია, რასაც ითხოვდა

როგორც კი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საბიბლიოთეკო ასოციაციის ერთობლივი პროექტი ამოქმედდა - „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“, თავდაყირა დააყენა ბიბლიოთეკის დამაკნინებელი შეხედულებები ჩვენს ქვეყანაში.

ხოტბას არ ვასხამ, თითქოს ვინმეს აღფრთოვანება მინდა, მაგრამ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ესეების კონკურსიდან აშკარად - ბიბლიოთეკარი არა მარტო კითხულობს, არამედ ქმნის.

იყო დრო ბიბლიოთეკარები საჯარო გამოსვლებს ერიდებოდნენ, შემოქმედებითი ნიჭიც ჰქონდათ, მაგრამ თუ რამეს დაწერდნენ, ორიოდვე ნაბიჯით უკან იხევდნენ და წიგნებს აფარებდნენ თავს.

ხომ იყო, იყო!... ახლა ამას მოგონებებში ვუყურებთ, ისევე, როგორც საყვარელი ადამიანის მავნე ჩვევებს, ბიბლიოთეკარების ორატორული თავისუფლება და მათი შემოქმედებითი კვანძის გახსნა ერთ-ერთი შედეგია იმ პროექტებისა და კონკურსებისა, რასაც ეროვნული ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო ასოციაცია ახორციელებს. მათ შექმნეს ახალი ბიბლიოთეკა და ახალი ბიბლიოთეკარი, რომლებიც თუ წინათ შედგებოდნენ წიგნებიდან და ჩუმი სივრციდან, დღეს ორივემ მიიღო რიტმი და გზნება. ამაზე, არაფერი თქმულა...

უმბერტო ეკო წერს „მინდოდა ბიბლიოთეკის გუშაგი უსინათლო ყოფილიყო“- და მოსწონს ეს იდეა.

მეც თუ მაქვს უფლება რაიმე მომწონდეს, ვარჩევ მომავლის ბიბლიოთეკაში სწავლული ბიბლიოთეკარი იყოს. თუმცა ეს „მთაში ლაშქრობას ჰგავს“.

თემა გამეჭვად და ისევ დავუბრუნდები კონკურსს: როცა ესე კონკურსის პირველი ადგილის მფლობელი გახდა წყალტუბოს საბიბლიოთეკო გაერთიანებიდან სოფელ საყუდიის ბიბლიოთეკარი ბეჟან კოლუაშვილი, რა თქმა უნდა, დიდი სიხარული მომანიჭა, მაგრამ ჩემთვის არანაკლებ გრძნობადი იყო სხვა ბიბლიოთეკარებისა და მკითხველების გამარჯვებებიც. თითოეულს, ვფიქრობ,

პირველმა კონკურსმა დაგვიტოვა ზოგადი შთაბეჭდილება: დამარცხებული არავინაა, გამარჯვებული - ყველა. მაგრამ უკეთესი წარმატების მოსაპოვებლად ხვალ, კონკურსსანტმა აუცილებელია ნაშრომი ასეთ საძირკველზე დააშენოს: პირველ რიგში სამყარო შექმნას და რაც შეიძლება კარგად მოაწყოს, მერე კი სიტყვებით გარდაქმნას ის, რისი მონახაზიც გააკეთა.

ეს ნამდვილად მიღწეულია გამარჯვებულთა შედეგებში: მოწონება დაიმსახურა მან, ვინც მისცა წამკითხველს ის, რასაც ითხოვდა. „ანუ შექმნეს მკითხველი, რომელიც მოცემულ თემაზე მის ტექსტს წაიკითხავდა“.

კვლავაც დაბადებულიყოს ლიტერატურული მარგალიტები საქართველოს საბიბლიოთეკო ნიჟარაში.

ეს ასე იყო:

ბეჟან კოლუაშვილს დღემ რამდენმა და ღამემ რამდენმა გადაუარა, მაგრამ წარსული კი ვერ გარიყა. არც ის უფიქრია დაენგრია ჯებირები და ნამდვილი გადამდებტიკვილიანი ამბავი გაეტექსტებია. როცა, საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ ესე კონკურსი გამოაცხადა, სურვილი ააღადა, მაგრამ სამოქმედო საზღვრები ვერ გაუთავისუფლა რაღაც მიდმიურს და 4 საათით ადრე, ვიდრე ესე წარდგენის ვადა იხურებოდა, მეგობრების დაჟინებული თხოვნით გამოკვერა დოკუმენტური მოთხრობა წარუვალზე, რომელმაც პირველი ადგილი მოიპოვა. ბეჟან კოლუაშვილი დაჯილდოებულია კომპიუტერული კომპლექტით და ფულადი პრემიით.

ტექსტი და ავტორი არ მიელტვის ტაშისცემას, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს პროზა უფასადო და თვითნაბადია, გულის ჰეგემონია იგრძნობა და ხედავ სულხადგმულ გრძნობას თავისუფლებისას... დაახლოებით ასე შეაფასეს ესე და მისი ავტორი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ კონკურსის

გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიაზე, სადაც წყალტუბოდან საპატიო სტუმრის სტატუსით იყვნენ მიწვეული აიპ წყალტუბოს კულტურის ცენტრის მმართველის მოადგილე ლილი გელენიძე, საბიბლიოთეკო გაერთიანების მენეჯერი სულიკო სვანიძე, ოფურჩხეთისა და გუბისწყლის ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები

კახა ქორიძე და ნანა ჩაბრაძე. საბიბლიოთეკო გაერთიანების ბიბლიოთეკარები ვულოცავთ კონკურსში გამარჯვებულ თითოეულ ბიბლიოთეკარს და მკითხველს წარმატებას და მადლობას გამოვხატავთ საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ბეჟან კოდუაშვილის მეგობრების მიმართ - რომ არა ისინი, ბეჟანი კონკურსის მონაწილე არ იქნებოდა და პატიმარი ამბავიც ჩაივლიდა მგრძნობელობის გარეშე

მახინა მახჯანოვიჩი
ფილოლოგიის მოსწოდნი,
ქათანის სახელმწიფო ინსტიტუტი მუხამის მასნიჩ-თანამშრომელი

... და ფურცლავდა წარსულს

- ეჭვი, ჩემო იანიჩარ, შენ უნდა გაუძღვე სამშობლოს გამანთავისუფლებელთა ახალ ჯარს, - ღიმილით შეეხმინებოდა ხოლმე კართან მორცხვად მდგარ ბიჭუნას თავადი გიორგი მაჩაბელი.

- აპა, არა... უფრო მეტიც. ჯერ კავკასიონზე დაფრენასა და მიჯაჭვული ამირანის განთავისუფლებას გირჩევ, დანარჩენი კი შენს ვაჟკაცობაზეა, - მოუწოდებდა პირველ სტუმარს ფეხდაფეხ მომყოფი თავადი მიხაკო წერეთელი.

- იცის, ბიჭმა, თავის საქმე, - მთავარი, შენს სახელოვან პაპასავით სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი გამოსვიდე, - შეახსენებდა პატარა მათეს პეტრე სურგულაძე.

მერე სტუმარ-მასპინძლები ერთ დარბაზში ჩაიკეტებოდნენ, საიდანაც ცნობისმოყვარე ბიჭს კანტიკუნტად ესმოდა უცნაური სიტყვები: „საერთაშორისო ხელშეკრულების ძალით 1783 წლის ტრაქტატის გაუქმება“... „1907 წლის ქართველი ერის პეტიცია ჰაავის კონფერენციისადმი“... „სეპარატისტთა წრე“... „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“... ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“...

დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებთან პეტრე სურგულაძესთან, ლეო და გიორგი კერესელიძეებთან თანამშრომლობისათვის შეხვედრაში ხან ლონდონიდან და ხან ჰაიდელბერგიდან ჩამოდი-

ოდა მიხაკო წერეთელი, ხოლო გიორგი მაჩაბელი კი ბერლინიდან...

მათი საუბრები სულს უფორიაქებდა მათეს და იგი მოხდგავებულ კითხვებზე პასუხს მოითხოვდა: „რატომ არ ჰქონდა სამშობლო?... ვინა ვართ?... რატომ დაგვემართა ასე?... საქართველოს ბედისთვის ქანაობდა რაღაც უცნაურ საბედისწერო „საქანელაზე“!...“

დედა კი ამშვიდებდა, რომ ოდესმე უთუოდ წავიდოდნენ მათ საარაკო ქვეყანაში. ბიჭიც ყველაზე მეტად იმას ნატრობდა, რომ ისეთი ძალა მისცემოდა ცხრათავიან დევებს შებრძოლებოდა და თავისი ქვეყანა გაენთავისუფლებია.

ცხოვრება დუღდა, ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მეორეს ცვლიდა, ერები იბრძოდნენ, იკაფავდნენ გზას... ამ ორომტრიალში, თამაშების სამყაროში უცხოეთში გადახვეწილი ქართველობაც ამხედრებულიყვნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა თავდადება, სამშობლოს სიყვარულით აღტკინებასა და მისი განთავისუფლებისათვის რწმენას უნერგავდა მათე კერესელიძეს, რომლის გონებაში იღექებოდა ყველა ის მოვლენები, რომელიც ქართულ აზრს მომავალ დიდი საქმეთა გასაგებად ამზადებდა.

შემდეგი ამბები უკვე ცნობილია: დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების

ჩარევითა და გერმანიის მთავრობის დახმარებით წყალქვეშა ნავებით საქართველოში შემოვიდა იარაღი, დამხმარე ძალა, ფული და საქართველოზე კალიბრით შემოსეულ ნახევარ მილიონ რუსის ჯართა განდევნა, თურქების შემოტევის გასაჩერებლად თბილისში გერმანელთა ჯარების ჩაყენებაც.

ექვს გარეშეა, რომ ეს ჯგუფი, წინამორბედი გახლდათ იმ პოლიტიკურ მკვდრეთით აღდგომისა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს განხორციელდა.

დამოუკიდებლობის კომიტეტის დეაწლი ერთი მშვენიერი ეპოპეა იყო იმითაც, რომ საქართველომ მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე პირველად მიიღო ევროპის რეალური დახმარება მის დათრგუნვილ უფლებათა აღსადგენად.

ამასობაში მათე კერესელიძე უკვე დავაუკაცდა. წარმატებით დაამთავრა ქენევისა და გერმანიაში უმაღლესი სასწავლებლები. თავისუფლად ფლობდა გერმანულ და ფრანგულ ენებს, რომელთა მხატვრულ ნაწარმოებებსაც კი თარგმნიდა.

„ვენაში ჯარისკაცთა სახლში“ ვნახე უადრესად სასიამოვნო, განათლებული ქართველი, ბატონი მათე კერესელიძე, პარიზელი ემიგრანტი.“

მამისა და ბიძის ჩრდილში მდგარი და მათი იდეალებით ნასაზრდოები მათე კერესელიძე, თვალდახეღშუა უკვე პოლიტიკურადაც მომწიფდა.

ოცნება უფრო ადვილია, ვიდრე მისი განხორციელება. სამწუხაროთ, ცხოვრება თავისი გზით წავიდა. ბავშვობის ოცნება მათესთვის სამშობლოში დაბრუნებაზე სიცოცხლის მხოლოდ უმნიშვნელოვანეს ეპოქად დარჩა. ვინაიდან საქართველოს ცის ცარგვალზე ქარბორბალა დატრიალდა.

1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ და მისმა რჩეულმა შვილებმა ბოლშევიკურ ტირანიას უცხოეთში წასვლა და საერთაშორისო სამართლის გზით დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისათვის ბრძოლა არჩია.

და, აქედან მოყოლებული, ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ თავი მთელი ოცი წელიწადი საქართველოს რესპუბლიკის დამსხვრევის მთავარი მიზეზების დადგენის დავასა და კამათს შეაღია. ერთნის აზრით: საქართველოს შინაური მდგომარეობა თითქმის ნორმალური

იყო. საშიშროება მხოლოდ ის გახლდათ, რომ ქვეყნის თავდაცვის საქმე სრულიად მოუწყობელი აღმოჩნდა. რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქვეყანას ორგვარი ჯარი ჰყავდა: ჩვეულებრივი და სახალხო გვარდია. იგივე ახლად წოდებული წითელი გვარდია...

მეორენი ამბობდნენ: საქართველოს ორ სამტრო ბანაკად გაყოფამ გადაუტეხა ხერხემალი თერგდალეულთა მოღვაწეობით მიღწეულ ეროვნულ აღორძინებას, მაშინ, როცა მესამე დასმა ქართულ თავადაზნაურობასთან ბრძოლა დაისახა თავის უპირველეს მიზნად. რითაც, პრაქტიკულად, მაშინდელ ქართულ ინტელიგენციას ხალხი ჩამოაშორა. ის საბედისწერო შეცდომა მენშევიკებმა თავისუფალ საქართველოშიც დაამკვიდრეს.

ეროვნულ-დემოკრატიები კი იმთავითვე აცხადებდნენ, რომ სოციალ-დემოკრატები ქართველ ერს ვერ მოუვლიან! მათ არ იციან რა არის ერი! დაღუპავენ ამ დამოუკიდებლობას, რადგან არა აქვთ ეროვნული შეგნება.

სხვათადასხვათა შეხედულებით საქართველო იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის ერთადერთი ქვეყანა, რომლის დამოუკიდებლობა ერთბაშად ოცმა სახელმწიფომ აღიარა და მათ შორის ბოლშევიკურმა რუსეთმაც. ამასთან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, კაპიტულაციის გამოცხადებლად დატოვა სამშობლო. და, ეს ორი შესაძლებლობა აძლეოდა მას უფლებას დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისა. რაც ნებისთ თუ უნებლიეთ გათვალა ნოე ქორდანიამ.

ასეა, ქვეყნად იმდენი აზრი და სურვილია, რამდენიც ადამიანია...

სამშობლოსადმი სიყვარულით აღსავსე დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ თავიანთი ენერგია ემიგრანტულ ინტრიგებსა და ჩხუბში არ დაეხარჯათ. ისინი საქართველოს თავისუფლებისათვის ახლად გამოჭედვის საქმეს ჩვეული ენერგიით შეუდგნენ. 1924 წლის 24 ოქტომბერს პარიზში დაარსდა ახალგაზრდა ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, რაც იყო დიდი ახალი ქართული ეროვნული მოძრაობის დასაწყისი. ლეო და გიორგი კერესელიძეები პირველნი მივიდნენ ახალგაზრდობასთან. „ლეო კერესელიძე ჩაუდგა სათავეში მოძრაობას, გაზარდა,

გააფართოვა და გაადრმავე იგი, შეუქმნა იდეოლოგია. ამ მოძრაობამ თავისი ტალღა საქართველოშიც გადაისროლა.“ მათ შორის იყო მათე კერესელიძეც. ორგანიზაციის გაზეთს მიხაკო წერეთელი რედაქტორობდა. გიორგი მაჩაბელი კი 1922 წლიდან ამერიკაში გადასახლდა, სადაც ფირმა „პრინცი მაჩაბელი“ შექმნა. მას მთელი თავისი კაპიტალი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ჰქონდა გამიზნული: „მთელ ჩემ ენერჯიას დაეხარჯავ, რომ ამერიკაში სიმდიდრე შევიძინო და ეს ბოლოს გამოსვადგება დამოუკიდებელი საქმიანობისათვის...“

ქართული ემიგრაცია ჯერ კიდევ თავის ოცნებებსა თუ დავა-კამათში იყო, როცა გერმანიის ჯარებმა რუსეთის იმპერიის საზღვრები გადმოლახეს. სწორედ, აქ გადაიკვეთა გერმანია-საქართველოს ინტერესები. ემიგრანტების დიდმა ნაწილმა თავისი დაუოკებელი ჟინით ორი საქართველოს გასამთლიანებლად და საკაცობრიო ცხოვრებაში ქართული სახელმწიფოებრიობის ხელახლა დასამკვიდრებლად დიდ სახელმწიფოთა შორის რუსეთის იმპერიის დამშლელად გერმანია მიიჩნია და ამიტომაც მეორე მსოფლიო ომის დროს მათი მხარე დაიჭირა.

გერმანელებსაც თავის მხრივ კავკასიაში გადასასროლად ემიგრანტებისა და ტყვედჩაგარდნილთა ჯგუფი სჭირდებოდა.

მათე კერესელიძე კარგად ხედავდა, რომ საქართველოში 20-იანი წლების დრამატული სპექტაკლები საბედისწეროდ იყო გათამაშებული და არ სურდა მისი ქვეყანა კვლავაც დიდ თეატრად დარჩენილიყო.

„თამარ I“-ში გაერთიანებისაკენ მათე კერესელიძეს ბავშვობის მოგონებებმაც უბიძგა, როცა მას გიორგი მაჩაბელი იანიჩარად, ხოლო მიხაკო წერეთელი - კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის მხსნელ-მფრინავად მიიჩნევდა.

„იანიჩარი“ მშვენივრად ეგუებოდა ქართველების მონაწილეობას მეორე მსოფლიო ომში, სადაც ანტისაბჭოთა დაჯგუფებაში გერმანელთა მხარეს ფორმალურად - სხვისი ინტერესებისათვის, ხოლო გულში ყველა საქართველოს აღდგენისათვის ფიქრით იბრძოდა.

„1942 წლის ზაფხულში, მთელი კავკასიის მასშტაბით დაიწყო „დივერ-

სანტ-პარაშუტისტთა გადაგზავნა. პატარა ჯგუფები თვითმფრინავებით გადასროლილ იქნენ საქართველოშიც. „ერთ უკუნეთ დამეში ყველანი პლანერებით გადაგვისროლეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. არადა, არც ერთი ქართველი ადრე პარაშუტით არ გადაფრენილა. მათ ამისათვის მხოლოდ თეორიული მომზადება ჰქონდათ გავლელი,“ - იგონებდა მათე კერესელიძე.

„თამარ I“-ის ჯგუფიდან საქართველოში დაფრენისას ბევრი შეიპყრეს. ზოგი იქვე ადგილზე დახვრიტეს, მათე კერესელიძე ტყვედ ჩავარდა...

„ჩემო ძვირფასო ელენე!

პარიზში ჩამოსვლის მეორე დღეს ციხეში ამომყოფინეს თავი! თურმე აქაც მქონია ათი წლის კატორღის განაჩენი. ამ მოკლე ხანში ჩემი საქმე წარედგინება სასამართლოს.

... გულს მიკლავს, რომ მამამ უკანასკნელად ვედარ მნახა, როგორც დაკარგული და ისევ მონახული შვილი. ვიცი, რომ ძალიან ვუყვარდი და ძალიან დარდობდა ჩემს ახლანდელ ბედზე. 16 წლის შემდეგ მაინც მნახა. დედის გვერდით ჩავასვენეთ შორეულ ქვეყანაში, უცხო მიწაში. სამშობლოდან შორს, რომელიც ასე უყვარდა.

ალბათ, ჩვენც უცხო მიწაში უნდა გადავიკარგოთ, ჩვენი შვილები და შვილისშვილები ნელ-ნელა გადაგვარდებიან და უცხოეთი მათთვის უცხოეთი აღარ იქნება.“

... „მათე კერესელიძეს ისევ შევხვდი 50-60-იან წლებში დიუსელდორფში. ის, რაც მან და მისმა თანამებრძოლებმა ნამდვილი მეორე მსოფლიო ომის დროს მოიმოქმედეს, ქართველთა ეროვნული ინტერესების დასაცავად იყო გამიზნული, ისინი თავსაც წირავდნენ ამისათვის, თუმცა მათი ეს ღვაწლი შეუფასებელი დარჩა.“

ასეა, უკუღმართმა ცხოვრებამ ბევრ სხვა ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთან ერთად მათე კერესელიძეც ბედმა სად არ ატარა. იგი ყოველთვის ჩხრეკდა და ფურცლავდა წარსულს, სადაც ვერ პოულობდა პასუხს ერთადერთ კითხვაზე: „თუ კი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ქართველი ერი არ უნდა მართავდეს თავის თავს და არ ქონდეს თავისი სახელმწიფო?!“

მამუა ციხაძე

ცენტრის საბიბლიოთეკო ბაზისთვის ბიბლიოთეკის მართვა

ჩემი სიტყვას საქმედ ვაქცევ

ამასწინათ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა ესეების კონკურსი სახელწოდებით --- დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ - რესპუბლიკის 100 წელი, რომელშიც თქვენმა მონა-მორჩილმაც მიიღო მონაწილეობა. და რაოდენ დიდი იყო ჩემი გაკვირება, როცა კონკურსის მშვენიერმა წამყვანებმა და ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ მე ამ კონკურსში მეორე ადგილი დავიკავე. დიდი მადლობა ყველას, ვინც ასე გადაწყვიტა. დიდი მადლობა ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორს, ქ-ნ ეთერ მეშველიანს, რომელმაც მაცნობა ამ კონკურსის შესახებ. და რატომ უნდა დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კონკურსის ყველა მონაწილეს და ბოდიშიც მოვიხადო მათ წინაშე. კონკურსი, მოგესხენებათ, სტიმულის მიმცემია, მაგრამ ამავედროულად უხერხულ მდგომარეობასაც ქმნის, რადგან ვიღაცის გამარჯვება ვიღაცის დამარცხებას და ამასთან დაკავშირებულ უხერხულობასაც ნიშნავს თვისთავად.

კონკურსის გამარჯვებულებს ფულად პრიზებთან ერთად გადაეცათ აგრეთვე საჩუქრები თავიანთი ბიბლიოთეკებისთვის,

რაც აგრეთვე ორგანიზატორების მიერ დიდებულად მოფიქრებული საქმიანობა. ამ ტექნიკური საშუალებებით ბევრი სასიკეთო და სასიამოვნო საქმის გაკეთება შესაძლებელი წიგნის და სამშობლოს მოყვარული ადამიანებისთვის. დიდი მადლობა ამისთვის.

ისე კარგი იქნებოდა მსგავსი კონკურსი საქართველოს გალამაზება-გამშვენიერებაში ტარდებოდა, მისი ადათ-წესების და ზნე-ჩვეულებების შენარჩუნება-განვითარებაში, ზრდილობა-კეთილგონიერებაში, მოხვეჭილის კეთილი საქმისათვის გაცემა-ქველმოქმედებაში, იმაში რასაც რუსთველი, სულხან-საბა, ილია გვიქადაგებდნენ... ასეთ კონკურსში მონაწილეობის სურვილიც უკვე გამარჯვების ტოლფასი ამბავი იქნებოდა, მაგრამ...

კარგი ადამიანების მიერ მოფიქრებული და განხორციელებული კონკურსიც, რომელშიც მე მივიღე მონაწილეობა, სიტყვა იყო... რამდენად ვაქცევ მე ჩემს სიტყვას საქმედ, არ ვიცი, ყოველშემთხვევაში მე მცდელობას არ ვაკლებ. და იქნებ ყველას ერთად გვეზრუნა საამსაქმოდ, საჩვენსაქმოდ, საჩვენსაქმოდ, საჩვენსწინსვლოდ... რავიცი აბა, მემგონი ესეა რა, თქვენ რას იტყვიან ?

XOPESKONLENSIBI

MAIA SIMONISHVILI

EROVNULI BIBLIOTEKA IUNESKOS DA IFLAS FORUMI



12-14 ნოემბერს, პარიზში, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციაში (UNESCO), ამავე ორგანიზაციის, ბიბლიოთეკებისა და ინსტიტუტების გაერთიანებათა საერთაშორისო ფედერაციის (IFLA), ინფორმაციის თავისუფალი წვდომის საერთაშორისო გაერთიანების (აშშ) ხელშეწყობითა და მიწვევით, ინტერნეტ მმართველობის საერთაშორისო ფორუმზე (იუნესკო), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტების პრეზენტაცია გაიმართა.

იუნესკოს მეცამეტე ფორუმი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა გახსნა, რომელმაც ინფორმაციისა და ინტერნეტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ფორუმის ფარგლებში, საბიბლიოთეკო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ კონფერენციაზე, საუბარი შეეხო როგორც ჩვენი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ, მიმდინარე პროექტებსა და საქართველოს ბიბლიოთეკების აუცილებლობებს, ისე ეროვნული ბიბლიოთეკის პერსპექტივებს საერთაშორისო თანამშრომლობის მხრივ. ეროვნული ბიბლიოთეკის მრავალწლიანი საქმიანობა მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორმა, მაია სიმონიშვილმა წარადგინა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდა საბიბლიოთეკო საზოგადოების შეხვედრისა, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, დასწრებოდნენ იუნესკოს ფორუმის სხვადასხვა კონფერენციებს განსხვავებულ თემებზე, როგორებიც არის: ადამიანთა უფლებები, ბავშვთა დაცულობა ინტერნეტის ეპოქაში, ქალთა უფლებები და ინტერნეტი, მედიის განვითარება თანამედროვე ეპოქაში, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მედიის განვითარებაში და ასე შემდეგ. საინტერესოა, რომ იუნესკოს შეხვედრები მკვეთრად



განსხვავდება იმ სხდომებისგან, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან გვახსოვს. სხვადასხვა ქვეყნის ყველა წარმომადგენელი სრულუფლებიანად მონაწილეობს და საკუთარი ქვეყნის საჭიროებებს აღნიშნავს. მონაწილეთა საუბარი მიკროფონიდან ეკრანზე ტექსტურად ამოდის, რის შემდეგაც იუნესკოსა და გაერთიანებული ერების არქივში ინახება, ხოლო რეკომენდაციების მომზადებისას ყველა ქვეყნის საჭიროება გათვალისწინებულია. ეს დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და დასამახსოვრებელი მაგალითი იყო. მიუხედავად დიდი ორგანიზაციისა, ყველას რჩება შთაბეჭდილება, რომ მათი განვითარებაზე ორიენტირებული მოსაზრებები არ იკარგება და საბოლოოდ მუშაობის პროცესში აისახება.

ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის პრეზენტაცია გაიმართა პარიზის



ამერიკულ ბიბლიოთეკაშიც. შეხვედრის მონაწილეებს საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, საფრანგეთის დირსების კავალერი, ლორან ანგელი მიესალმა. პარიზის ამერიკული ბიბლიოთეკა ევროპის კონტინენტზე უდიდესი ინგლისურენოვანი ბიბლიოთეკა არის. ეს ისტორიული ბიბლიოთეკა პირველი მსოფლიო ომის დროს, კონგრესის ბიბლიოთეკამ და ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციამ დაარსეს, როგორც ჯარისკაცთა განათლებისა და მშვიდობიანი შეხვედრის ცენტრი, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კიდევ უფრო განვითარდა, ხოლო მოგვიანებით ამერიკელ მწერალთა შეხვედრისა და მუშაობის ადგილად იქცა. პარიზის ამერიკულ ბიბლიოთეკას არაერთი ხელგანის არქივი აქვს, მას მსახიობმა მარლენ დიტრიხმა პირადი, დიდი ბიბლიოთეკა უსახსოვრა. ბიბლიოთეკის დირექტორის, ოდრი შაპოს თქმით, დღეს ეს ორგანიზაცია მკითხველებს 60 ქვეყნიდან აერთიანებს.

იუნესკოს კონფერენციის ფარგლებში, ბიბლიოთეკებისა და ინსტიტუტების საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობით, ჩატარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც ქვეყნების ბიბლიოთეკების განვითარებისთვის ახალ რეკომენდაციები მომზადდა. ფორუმზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა საბიბლიოთეკო ორგანიზაციები და მედია ცენტრები, რომლებიც აღნიშნულ საკითხებზე მუშაობენ. ეროვნული ბიბლიოთეკისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეს პირველი დიდი წარდგენა იყო და უცხოელი კოლეგების დადებითი ინტერესიც გამოიწვია.

რაც შეეხება მონაწილე ორგანიზაციებს, საბიბლიოთეკო გაერთიანებებისა და ინსტიტუტების საერთაშორისო ფედერაცია (IFLA) წამყვანი

საერთაშორისო ორგანიზაცია არის, რომელიც ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო მომსახურების ინტერესებს წარმოადგენს და იცავს. ეს კავშირი 1927 წელს, ედინბურგში შეიქმნა და უკვე 90 წელია, მოელს მსოფლიოში მოქმედებს. ამჟამად, ორგანიზაციის სათაო ოფისი ჰააგაში, ჰოლანდიის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია, რომელმაც გულუხვად დაუთმო სამუშაო სივრცე და ტექნიკური შესაძლებლობები.

- ორგანიზაცია „ინფორმაციის თავისუფალი წვდომა“ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს. მისი მიზანია საზოგადოების ჩართულობა ტექნოლოგიასთან წვდომის, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და განვითარების ხელშეწყობის მეშვეობით. ორგანიზაციას 3 მთავარი მიმართულება აქვს: საჯარო წვდომის უზრუნველყოფა



ოფა ბიბლიოთეკებში, საზოგადოების ქსელისა და კავშირების შექმნა სხვადასხვა სექტორის გათვალისწინებით, ეკონომიკისა და ტექნოლოგიების შერწყმით, ოფლაინ ინტერნეტის ხელშეწყობა იმ რეგიონების მოსახლეობისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან ჩართული ინტერნეტქსელში და საყოველთაო ინტერნეტიზაციის დაჩქარება.

ინტერნეტ მმართველობის საერთაშორისო ფორუმი, ის ყოველ წელს სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქში ტარდება. წელს, ფორუმი იუნესკოში, პარიზის ოფისში ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტ მმართველობის ფორუმს წელს პირველად საქართველომაც უმასპინძლა და შეხვედრაზე ინტერნეტ საზოგადოების წარმომადგენლები, აგრეთვე, მსოფლიო





ქვეყნიდან 300-ზე მეტი წარმომადგენელი დაესწრო. ინტერნეტ მმართველობის ფორუმი 2006 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და იუნესკოს ეგიდით დაარსდა. მისი მიზანია მსოფლიოში არსებული საინფორმაციო ქსელისა და მედიის წარმომადგენელთა დაკავშირება არსებული პრობლემებისა და გამოწვევების ერთობლივი ძალისხმევით გააზრება და მოგვარება. იუნესკოს ფარგლებში გამართული შეხვედრების მთავარი თემებია: ინფორმაციის გამჭვირვალობა, საყოველთაო განათლების ხელშეწყობა ინტერნეტის მეშვეობით, უსაფრთხოება, მრავალფეროვნება, საზოგადოების ჩართულობა განვითარებისთვის და ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.

აგრეთვე, ინტერნეტი და განვითარება, უახლესი გამოწვევები, პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა, ინფორმაციის გავრცელებისა და საყოველთაო ინტერნეტიზაციისთვის საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება, კრიმინალის დაძლევა, ინტერნეტი და ადამიანთა უფლებები და სხვა.

ფორუმის შესვენებისას, ევროპის პიესების კავშირის წარმომადგენლებსაც გავეცანით, რისი მიზანიც ქართველი სცენარისტების ევროპელი კოლეგებისთვის გაცნობის შესაძლებლობების შესწავლა იყო.

ბოლოს დავძენთ, რომ ფორუმის მთელი მსვლელობის განმავლობაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, იუნესკოს სხვადასხვა კონფერენციის მუშაობა თვალსაჩინო, სასიამოვნო მაგალითი იყო, თუ როგორ შეიძლება არსებულ ვითარებაში, სხვადასხვა ქვეყნისა, თუ ორგანიზაციის წარმომადგენლები და მრავალფეროვანი, ერთმანეთისგან განსხვავებული საზოგადოება ერთად, თანაწორად მუშაობდნენ არსებული პრობლემების დასაძლევად და საყოველთაო განვითარების ხელშეწყობისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკულ სამკითხველო დარბაზში.

მარიკა ელიჯანიძე

იანვ „საშუალო საბიბლიოთეკო ბაზრების“ დირექტორი

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დელეგატი ხაშურიდან

„ანბანით მოთხრობილი ამბავი - 33 ასო“, სწორედ ასე ერქვა პროექტს, რომელიც უცხოელ სტუმრებს საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას და კულტურას აცნობდა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, სადაც საქართველო საპატიო ქვეყნის სტატუსით იყო წარმოდგენილი. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მსოფლიოში უდიდესია, რომელსაც ყოველწლიურად უამრავი დამთვალიერებელი

სტუმრობს.. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მიწვეული სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი მაკა დიდებულიძე, რომელიც უშუალოდ მონაწილე იყო ფესტივალის, შინ საოცარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა და მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური წიგნის ფორუმზე საინტერესოდ გვესაუბრა. მაკა დიდებულიძე: ფრანკფურტის

წიგნის ბაზრობაზე, მიწვეული ქვეყნის სტატუსი, ჩვენი ქვეყნისთვის, უდიდესი მნიშვნელობისაა. დარწმუნებული ვარ, ამ მასშტაბურ და ისტორიულ მოვლენას მთელი ერი სიხარულით შეხვდა. ფაქტობრივად, მთელმა ევროპამ და, არამარტო გერმანიამ, გაიცნო საქართველო, როგორც უძველესი კულტურის, ენის და დამწერლობის მქონე ქვეყანა. მართალია, ყოველწლიურად უამრავი ტურისტი ჩამოდის ჩვენს ქვეყანაში და იხიბლება ჩვენი წარმტაცი ბუნებით და შესანიშნავი ადგილებით, თუმცა, ამჯერად, სულ სხვა კუთხით გაგვიცნეს - ეს კი უნიკალური და საამაყო ფაქტია. როგორც ფესტივალის შემდგომ ექსპერტებმა აღნიშნეს და, რა თქმა უნდა, მეც ვეთანხმები, რომ ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მერე, ძალიან ბევრი რამ, სასიკეთოდ შეიცვლება საქართველოსთვის.

საბიბლიოთეკო გაერთიანებას. აქვე აღვნიშნავ, რომ არაჩვეულებრივი გარემო იყო შექმნილი დამოვალიერებლებისათვის. ჩვენთვის რამდენიმე წელია ცნობილია, რომ საპატიო სტუმრის სტატუსით ვიქნებოდით ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, ამიტომ, ქართულმა მხარემ ძალიან დიდი შრომა გასწია, ამ დღეების სრულყოფილად ორგანიზებისთვის. შენობაში შესვლისთანავე აღმოჩნდებოდით ცენტრალური პავილიონში, რომელიც ყოველთვის სტუმარ ქვეყანას ეთმობა და ამჯერად, მთლიანი დარბაზი მორთული იყო ქართული დამწერლობით - ანბანით. ქართულ კულტურას რამდენიმე პავილიონი ჰქონდა დათმობილი. მე, რა თქმა უნდა, ყოველდღე ვსტუმრობდი წიგნის ბაზრობას და ვხედავდი უცხოელი ვიზიტორები როგორი დიდი ინტერესით ათვალიერებდ-



ხაშურის ბიბლიოთეკა აქტიურად თანამშრომლობს წიგნის ეროვნულ ცენტრთან, საბიბლიოთეკო ასოციაციასთან და წიგნის გამომცემელ და გამავრცელებელ (?) ასოციაციასთან. სწორედ მათ შემომთავაზეს, რომ გამეფლო რეგისტრაცია, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მოსახვედრად. დავრეგისტრირდი შესაბამის საიტზე და მომივიდა მოწვევა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორისგან. ფაქტმა, ცხადია, გამახარა და 9-დან - 14 ოქტომბრის ჩათვლით თვალს ვადევნებდი და აქტიურად გახლდით ჩაბმული ფესტივალის მიმდინარეობაში. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკიდან იყვნენ წარმომადგენლები, ბატონი გიორგი კეკელიძე და ლევან თაქთაქიშვილი, თუმცა, რეგიონალური ბიბლიოთეკებიდან - მხოლოდ მე გხლდით და წარმომადგენდი ხაშურის

ნენ ჩვენს პავილიონებს, ეცნობოდნენ ქართულ კულტურას და ეძებდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც აუხსნიდნენ და გადაუთარგმნიდნენ ჩვენი გამოფენის უმცირეს დეტალებსაც კი. ფესტივალზე იმყოფებოდნენ თანამედროვე და ცნობილი, ქართველი მწერლები, რომლებიც აწყობდნენ საკუთარი წიგნების პრეზენტაციას. უამრავი მათგანი გერმანულ ენაზე გახლდათ ნათარგმნი. საერთო ჯამში, დაახლოებით, 70-მდე მწერლის ნამუშევარი. ცალკე-ცალკე დარბაზებში იყვნენ წარმოდგენილნი განათლების და კულტურის სამინისტრო, ინოვაციების სააგენტო, ეროვნული ბიბლიოთეკა და, აგრეთვე, „ქართული ფილმი“. ჩვენთვის გასახარი იყო, რომ გერმანიაში იმართებოდა ქართული დღეები. თითქმის, ყველა დიდ ქალაქში ტარდებოდა სხვადასხვა ქართული ანსამბლების კონცერტები,




მათ შორის სუხიშვილებისაც. ფრანკ-ფურტის ქუჩები და მეტროსადგურები მორთული იყო პლაკატებით, რომლებზეც ქართული ანბანი იყო დატანილი.

ჩემდა საბედნიეროდ, მოვხვდი პრემია „საბა“-ს დაჯილდოებაზეც, რომელიც გაიმათა ფრანკფურტის მერიის უძველეს და ისტორიულ შენობაში. დაჯილდოების ცერემონიალი ფრანკფურტის მერმა გახსნა, რომელმაც მისასალმებელ სიტყვაში საინტერესო რამ აღნიშნა: „ჩვენთვის საქართველო ამ დრომდე უცნობი ქვეყანა იყო, მაგრამ, ამიერიდან ვიცით, რომ სწორედ ამ ქვეყანაში გამოიგონეს ღვინო, ბორბალი და ოქრომჭედლობა, თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი და გასაცარი ქართული, უნიკალური დამწერლობაა“. ქართველმა მწერლებმა, ცხადია, „საბა“-ს დაჯილდოებაზეც გადმონაცვლეს, რომელთა შორისაც იყვნენ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, აკა მორჩილაძე, გურამ დოჩინაშვილი, ელა გოჩიაშვილი, გამომცემლობა „არტანუჯი“-ს დირექტორი ზვიად კვარაცხელია, ჩვენი საამაყო თანამემამულეები - გიორგი ლობჯანიძე და ირმა მაღაციციძე. ყველაზე მნიშვნელოვანი მინდა გითხრათ, რომ გაიმართა, აგრეთვე „პენ-მარათონი“, სადაც პირველი პრემია მიიღო, სწორედ, ირმა მაღაციციძემ, როგორც საბავშვო მწერალმა. ქალბატონი ირმა ხაშურის ბიბლიოთეკის დიდი მეგობარი და გულშემატკივარია. ხშირად მართავს ღონისძიებებს ბავშვებისათვის და საბავშვო ბიბლიოთეკაში, სადაც პედაგოგ ნონა ტეფნაძის ხელმძღვანელობით დგავენ სპექტაკლებს მისი ავტორობით. ლიტერატურულ პრემიაზე, სულ, 12 ნომინაცია დასახელდა.

ფესტივალზე იყიდებოდა წიგნები. საბაზრო ფასი ყველასათვის მისაღები იყო, გამომდინარე იქიდან, რომ არავისზე შემინიშნავს, ფასის გამო, უარი

ეთქვით წიგნის შეძენაზე. მაგალითად, 4 ევრო ღირდა გამომცემლობა „წიგნიერი“-ს ქართული ზღაპრების წიგნი, რომელიც ძალიან მოთხოვნადი იყო, ისევე როგორც, მთლიანად საბავშვო ლიტერატურა და, აგრეთვე, „დედა ენა“. მინდა გითხრათ, რომ გარკვეული წვლილი შევიტანე წიგნების გაყიდვაშიც. კვირა დღეს, როდესაც შესაძლებელი იყო წიგნების შეძენა, ერთი ქართველი გოგონა მოვიდა გამომცემლობა „წიგნიერი“-ს სტენდთან, ორი ბავშვით, რომელიც 18 წელია ცხოვრობს გერმანიაში და სურდა „დედა ენის“ შეძენა, სამწუხაროდ, აღნიშნული წიგნი არ მოეპოვებოდა გამომცემლობას, თუმცა, უამრავი სხვა ქართული საბავშვო ლიტერატურა შეიძინა, ჩემი რჩევით კი, ვაჟა-ფშაველას ორენოვანი კრებული, რუსუდან ფეტვიაშვილის ილუსტრაციებით. აქვე აღვნიშნავ, რომ გერმანულად ნათარგმნი ლიტერატურა არ იყიდებოდა, ფესტივალზე ისინი მხოლოდ საჩვენებლად იყო გამოფენილი.

დაგეგმილი მქონდა ფრანკფურტის ბიბლიოთეკაში მისვლა, სამწუხაროდ ვერ მოვახერხე, თუმცა, სურვილი დიდი იყო. როდესაც მივიღე მოწვევა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე, ამავე ქა-



ლაქის ბიბლიოთეკას წერილი გავუგზავნე, სადაც ვატყობინებდი ჩემს ვინაობას, რომ ვიყავი საქართველოს ერთ-ერთი ქალაქის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და ვაპირებდი ჩასვლას აღნიშნულ ფესტივალზე. მათაც დიდი სიხარულით მიიღეს ჩვენი სამომავლოდ დამეგობრების და თანამშრომლობის ამბავი. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ შემომთავაზა გარკვეული ლიტერატურით ჩვენი წიგნადი ფონდის შევსება. ეს შემოთავაზება, ცხადია, სიხარულით მივიღე. გასულ პერიოდში, ბიბლიოთეკაში

გავმართეთ ორდღიანი ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მშობლებთან. თემა, ძირიადად, შეეხებოდა ბავშვთა უფლებებს. აღმოჩნდა, რომ ამ მშობლებისთვის შესაბამისი ლიტერატურა, ფაქტობრივად, არ არსებობს. ამ ეტაპზე, უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით და სამომავლოდ ფრანკფურტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, ჩვენ გავუზიარებთ იმ წიგნების ჩამონათვალს, რომლებსაც ვსაჭიროებთ, უმეტესწილად, მეთოდოლოგიურ ლიტერატურას. იმედია, ქართული გამომცემლობებიც დიდი ენთუზიაზმით გადათარგმნიან. ჩვენ, გაერთიანებაში საკმაოდ დიდი წიგნადი ფონდი გვაქვს დაახლოებით 95 000 წიგნი, მაგრამ ის მუდმივად განახლებას საჭიროებს ასე, რომ ამგვარი ლიტერატურა დროულია. აქვე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო თქვენს მკითხველს და ვუთხრა, რომ ბიბლიოთეკა ფლობს აუდიო-წიგნებს, ასე, რომ, ამ მხრივ, საშუალება გვაქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების მსგავსი სერვისი შევთავაზოთ.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ



საინფორმაციო სტენდებთან თანამშრომლები ინიშნავდნენ მომხმარებელთა მოთხოვნებს და შენიშვნებს. ერთ-ერთი ასეთი დაინტერესება გახლდათ წიგნი „გერმანული არქიტექტურა და გერმანული დასახლებები საქართველოში“. უნდა აღინიშნოს, რომ შენობა, სადაც ამჟამად ბიბლიოთეკაა განთავსებული, გერმანელების აშენებულია. დანამდვილებით ვიცი, რომ სოფელ ტაშისკარში ასევე გერმანელების აშენებულია ერთი შენობა და ხაშურშიც რამდენიმე სახლი. როგორც კი გერმანიიდან დავბრუნდი, ჩემი იდეა ისტორიის პედაგოგს, ვიკიკლუბის ხელმძღვანელს, ჯაბა ლაბაძეს გავანდე, ვთხოვე, ამის შესახებ ცნობები მოეძებნა და ვიკიპედიაში აეტვირთა. თვითონაც საკმაოდ ინტერესით მიიღო ეს ამბავი და აღნიშნა, რომ იმუშავებდა ამ საკითხზე. თავადაც დაამატა, რომ ასურეთია ასეთი სოფელი საქართველოში, რომელშიც მთლიანად გერმანული დასახლება იყო.

დასასრულს დავძენ, რომ ნებისმიერი კუთხით განვითარება აუცილებელია. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ ახალი პროექტები განვახორციელოთ და მკითხველისთვის საუკეთესო გარემო შევქმნათ. სამწუხაროა, რომ ვერ მოვინახულე ფრანკფურტის ბიბლიოთეკა, მაგრამ გარკვეულწილად, ამ მოგზაურობის გამოცდილებიდან მსურს ჩვენი ბიბლიოთეკაც თანამედროვე გახდეს და ახალგაზრდებს მოუხაროდეთ ჩვენთან მოსვლა. შეიძლება არ წაიკითხონ, მაგრამ თავისუფალი დრო კომფორტულ და მოსახერხებელ გარემოში გაატარონ - დაისვენონ, მუსკას მოუსმინონ, მეგობრებთან ერთად გაატარონ თავისუფალი დრო. მართალია, ჩვენი ბიბლიოთეკის შენობა დიდია, მაგრამ ბოლომდე ადაპტირებული არ არის, რაც მისი სრულყოფილად გამოყენების საშუალებას არ გვაძლევს. სურვილი დიდი გვაქვს, რომ ახალი ბიბლიოთეკა აშენდეს, თანამედროვე და ყველასათვის ხელ-მისაწვდომი, რაშიც მხარდაჭერა ქალაქის ხელმძღვანელებისაგანაც მივიღეთ. ასევე თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას, გერმანიაში გამგზავების დაფინანსებისათვის.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა გასული საუკუნის შუა წლებიდან იღებს სათავეს. ქართველი გამომცემლობები

ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაში 90-იანი წლების მიწურულ-დან მონაწილეობენ, თუმცა მასშტაბური ეროვნული სტენდით საქართველო ფრანკფურტის ბაზრობაზე 2008 წლიდანაა წარმოდგენილი. 2018 წელს კი, უკვე საპატიო ქვეყნის სტატუსი მიენიჭა, რაც საქართველოსთვის უდიდესი კულტურული მნიშვნელობის გახლავთ. ქართული დელეგაცია გერმანიას თანამედროვე და კლასიკოსი მწერლების 300-მდე წიგნით სტუმრობდა. გამოსცემე-

ბი 30 ენაზე იყო ნათარგმნი. პავლიონში საქართველოს შესახებ დაწერილი 600-მდე უცხოენოვანი წიგნი იყო წარმოდგენილი.

ასეთი მასშტაბური ღონისძიების მონაწილეობა საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას, ფართო ასპარეზზე გაიტანოს უძველესი კულტურა-დამწერლობა, ლიტერატურა და ისტორია. ეს კი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ევროპულ ოჯახში შესვლას.

თაჰაი ბენიჰშილი

ახხორაჰის ბენიჰშილის თაჰაი ბიბლიოთეკის დირექტორი

წიგნიერი მომავალი რაჭას და ქვეყანას.

ტრდიციულად, ყოველი წლის ოქტომბრის თვეს, მდელვარებით, ემთხვევა ველდებით ამბროლაურის ბიბლიოთეკის მკითხველები. წელს ლიტერატურულ კონკურსში „მწიგნობარი 2018“ რაიონის 182-მა მონაწილემ მიიღო მონაწილეობა, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლიდან ამ კონკურსს ბაჩანა ბრეგვაძის სახელი მიენიჭა. რაც დრო გადის უფრო და უფრო ვრცელდება ახალგაზრდა თაობების ინტელექტსა და ნიჭიერებაში. მეორე წელია რაც გ. ფანჯიკიძის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა ეროვნული ბიბლიოთეკის პარტნიორია, კერძოდ, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მოამზადეს ტესტები ლიტერატურული კონკურსისათვის და ჟიურის წევრებიც თვითონვე იყვნენ. ჟიურის თავმჯდომარე უცვლელია 2004 წლიდან ქალბატონი ნინო ენუქიძე ამ კონკურსის სული და გულია, გიორგი საბანაძე, ირაკლი ვეშაგურიძე, უნიჭიერესი პოეტი, ქალბატონი ნანა ცინცაძე, ირანისტი და მთარგმნელი ბატონი ალექსანდრე ელარდაშივილი, ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები ბრძანდებიან. ჟიურის წევრი გახლდათ ბატონი ბადრი სულაძეც. ისინი საკმაოდ კარგ შეფასებას აძლევენ ამ კონკურსს, ერთ-ერთ კონკურსსანტს ნომინაცია ისტორიულ რომანში გამარჯვებულ –ჯანო კუბლაშივილს ეროვნულმა

ბიბლიოთეკამ საჩუქრად გადასცა პლანშეტური კომპიუტერი.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მსმენელზე ბატონი ალექსანდრე ელარდაშივილის მიერ კონკურსის ფარგლებში ჩატარებულმა ლექციამ „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიის შესახებ.

ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურულ კონკურსს „მწიგნობარი – 2018“ -ის ფარგლებში ამბროლაურის საბავშვო ბიბლიოთეკას ზურაბ ჯაფარიძის სახელი მიენიჭა. ღონისძიებას პოეტის მეუღლე – ქეთევან დოლიძე და ბაჩანა ბრეგვაძის ქალიშვილი ოჯახთან ერთად ესწრებოდნენ. კონკურსის მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და პროექტის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი ზვიად მხეიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი.

გვინდა მადლობა გადავუხადოთ ბუგეულის ღვინის ქარხნის მესვეურებს დავით მაცაბერიძეს, რომელმაც ცხრავე ნომინაციაში პირველ ადგილზე გამარჯვებულისათვის ერთწლიანი სტიპენდია დააწესა 50 ლარის ოდენობით, ხოლო მე-9-ე ნომინაციაში „ბაჩანა ბრეგვაძე

და მისი თარგმანები” გამარჯვებულს ბატონმა სულხან გონაძემ დაუწესა 1 წლიანი სტიპენდია 100 ლარის ოდენობით. ამბროლაურის მუნიციპალიტეტმა ყველა ნომინაციაში გამარჯვებულს ერთჯერადად გადასცა 500ლარი.

როგორც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა აღნიშნა საქართველოში აღნიშნულ პროექტს ანალოგი არ გააჩნია, რაც პროექტის ავტორის ბატონ გურამ გორდეზიანის დამსახურებაა.

გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალს თავისებური ხიზლი შემატა აჭარიდან მოწვეული ხულოს ქორეოგრაფიული ანსამბლების „არგილეთისა“ და „ბერმუხას მონაწილეობამ, პოეზიის ერთ-ერთი წარმომადგენლის გენრი დოლიძის გამოსვლამ, ემციური იყო ზურაბ ჯაფარიძის მეუღლის პოეტის ქალბატონ ქეთევან დოლიძის, ხულოს კულტურის ცენტრის დირექტორის ჯუმბერ აბაშიძის და სხვა მონაწილე სტუმრების გამოსვლები.

როგორც რაჭველებისათვის უსაყვარლესი პოეტი ბადრი სულაძე აღნიშნავს „უკან დარჩა დეღვა, ემციია,

უნიჭიერესი ბავშვებისადმი გულშემატკივრობა, მათი ინტელექტით, ზრდილობით და მონდომებით აღფრთოვანებული ჟიურის თითოეული წევრის თვალეზე მომდგარი სიხარულის ცრემლი... გამოვლინდნენ გამარჯვებულები 9 ნომინაციაში, თუმცა ამ კონკურსის ყველა მონაწილე გამარჯვებულია, რადგან მათ ცოდნასა და ინტელექტზე უნდა დაშენდეს რაჭისა და სრულიად საქართველოს მომავალი... ამიტომ ვუჭერ მხარს „მწიგნობარს“ მკითხველებზე ორიენტირებულ წიგნიერების დონის ამაღლებისაკენ მიმართულ მომავლის პროექტს“.

ჩვენ ახალგაზრდა მკითხველები დიდ მადლობას ვუხდით, პროექტის ავტორს ბატონ გურამ გორდეზიანს, პროექტის სულის ჩამდგმელებს და განმახორციელებლებს ამდენი წლების მანძილზე მთავარ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ყველას დიდ ვუხდით მადლობას ვინც მცირე თუ დიდი წვლილი შეიტანა ამ საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში.

ჩვენ სულმოუთქმელად ველოდებით მომავალ წელს.

მზინა ხოსიტაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ქუთაისის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაზე

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში უკვე 10 წელია შემოდგომის მიწურულს ტარდება საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც საპატიო სტუმრის სტატუსით იწვევენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. კონფერენციის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები. კონფერენციის თემატიკა შეზღუდული არ ყოფილა და მასზე საბიბლიოთეკო სექციას ყოველთვის ეთმობოდა ადგილი.

უკანასკნელი 2 წლის მანძილზე კონფერენცია თემატური გახდა, 2017 წელს იგი ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ეთნოგრაფსა და პუბლიცისტს, ეგნატე გაბლიანს მიეძღვნა და თემატიკაც

სვანეთით განისაზღვრა, წლევეანდელი X საიუბილეო კი - ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დამაარსებელს ანტონ ლორთქიფანიძეს.

საიუბილეო კონფერენციაზე ქუთაისთან დაკავშირებულ მოხსენებებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 4 თანამშრომელი წარმოვადგენდით:

საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი თემით: „ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღისათვის“;

მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი კილაძე



თემით : „ქალაქი ქუთაისი გრენსტონე 3.08 კოლექციაში“;

სამკითხველ დარბაზებით მომსახურების განყოფილება ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ეთერ ინჭკირველი: „ქუთაისელი ებრაელების ფოტოლორი“;

სამოქალაქო განათლების განყოფილების თანამშრომელი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი მზია ხოსიტაშვილი თემით: „ქუთაისის გიმნა-

ზიებიდან საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებამდე“.

კონფერენციის გახსნაზე ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასთან ათწლიანი ერთგული თანამშრომლობისთვის სამადლობელი სიგელები და სამსახსოვრო საჩუქრები გადმოგვცა. კონფერენციის მასალები დაიბეჭდება ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწადეულში.

ინფორმაცია - რეცენზიები

ჩოხაბა ბაჩაჩინი

ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის ანონიმური უნივერსიტეტი

„აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“

7 დეკემბერს ქალაქ სტამბოლში, ნახიმ ჰიქმეთის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა ნატო მარშანიას ორენოვანი (ქართული და თურქული) წიგნის "აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში" წარდგენა. წიგნის სამეცნიერო რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საფრანგეთის სოციალური კვლევის უმაღლესი სკოლის დოქტორი გიორგი მამულია. წიგნი თურქულად თარგმნა ეკა ირემადე-მელაშვილმა (ჰაჯერ ოზკანი). წიგნი გამოიცა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით.


წიგნი მრავალმხრივია მნიშვნელოვანი. მასში დოკუმენტურ მასალაზე - საისტორიო წყაროებზე - დაყრდნობით წარმოდგენილია რუსეთისაგან 1921 წელს ოკუპირებული საქართველოდან დევნილი, ევროპაში ემიგრირებული აფხაზი არისტოკრატების ბიოგრაფიები; ნახვენებია აფხაზ არისტოკრატთა და სწავლულთა სოციალური და კულტურული როლი საქართველოსა და მისი ერთ-ერთი მხარის - აფხაზეთის - ყოფაში. ვიმედოვნებ, რომ ფრიად საყურადღებო შედეგის მომტანი იქნება ქართველი, აფხაზი და თურქულენოვნი მკითხველისათვის მთელი ამ დოკუმენტური ქრონიკის მიწოდება. ასევე, განსაკუთრებით ძვირფასია მკითხველისათვის წიგნში აღწერილი ისტორიები, რომლებიც წარმოაჩენს ევროპაში ემიგრაციაში მყოფი აფხაზი არისტოკრატების დიდი ნაწილის ერთიან ეროვნულ - ქართულ - ცნობიერებას, მათ მცდელობას - ქართველ ემიგრანტებთან ერთად - წვლილი შეეტანათ საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციისაგან გათავისუფლებაში. მოვიყვან ერთ ციტატას ვლადიმერ ემუხვარის წერილიდან: "როგორც ქართველი ინტელიგენტი, მე ერთგულად და პატიოსნად ვემსახურე-

ბოდი საქართველოს ინტერესებს აფხაზეთში. მაგრამ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს ისიც უნდა ესმოდეთ, რომ როგორც აფხაზი ინტელიგენტი, მოვალე ვარ დაუღალავად ვემსახურო აფხაზეთის ინტერესებს საქართველოში, რათა ქართველმა ინტელიგენტებმა საქართველოსი და, მასთან ერთად, აფხაზეთის ბედიც არ წააგონ".

ღონისძიების ორგანიზატორი იყო სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრი, ხელმძღვანელი ფეჰმი უზალი (უსტიაშვილი).

ღონისძიებას ესწრებოდნენ სტამბოლში მცხოვრები ქართული და აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები, სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებლები (იბერია ოზკანი-მელაშვილი, გიორგი ირემადე), მთარგმნელი ჰაჯერ ოზკანი (ეკა ირემადე-მელაშვილი),

ამ დღისათვის ბურსიდან საგანგებოდ წარმოგზავნილი დელეგაცია - ბურსის ქართული საზოგადოების ხელმძღვანელები, ბატონი ეშრეფ შენთურქი (კირკიტაძე) და დოდან ილმაზი (მახარაძე). თურქეთელ ქართველთა განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია შეხვედრამ საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებთან. თბილისიდან ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, ეთნოლოგიის დოქტორი მირიან ხოსიტაშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, წიგნის ავტორი ნატო მარშანია და სხვები. ღონისძიებას უძღვებოდნენ ონურ სარიქაია და ნატო დვალი. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ღონისძიების ორგანიზატორმა ფეჰმი უზალმა. სიტყვით გამოვიდნენ ბატონი ვახტანგ ყოლბაია, ბატონი ჯემალ



რის მოადგილე, ეთნოლოგიის დოქტორი მირიან ხოსიტაშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, წიგნის ავტორი ნატო მარშანია და სხვები. ღონისძიებას უძღვებოდნენ ონურ სარიქაია და ნატო დვალი. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ღონისძიების ორგანიზატორმა ფეჰმი უზალმა. სიტყვით გამოვიდნენ ბატონი ვახტანგ ყოლბაია, ბატონი ჯემალ


გამახარია, ბატონი მირიან ხოსიტაშვილი, ქალბატონი ნატო მარშანია. ნაჩვენებები იქნა ნაწყვეტები ფილმიდან. სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის ანსამბლმა „კაფადამა“ შეასრულა ქართული და აფხაზური სიმღერები და ცე-

კვები. დონისძიების მონაწილენი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ახალი წიგნის გამოსვლას და ხაზგასმით აღნიშნეს ამ წიგნის მნიშვნელობა ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობების გაღრმავების საქმეში.

აქაქანახეა ცოქია

ნაშრომი ეთნოლოგის საკითხებზე

გამომცემლობა „უნივერსალმა“ მიმდინარე წელს გამოაქვეყნა როლანდ თოფჩიშვილის მონოგრაფია „ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან“ (146 გვ). ნაშრომის გამომცემის მოთავეები არიან ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ნაშრომი ეძღვნება საქართველოში პირველი უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს. რედაქტორები არიან: სალომე ბახია-ოქრუაშვილი და თეიმურაზ გვიმრაძე.



ება, რომელმაც პირველი სამეცნიერო ეთნოლოგიური უჯრედები შექმნა საქართველოში, ბოლო ნაწილი კი-ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ისეთ შესანიშნავ წარმომადგენლებს, როგორებიც აღექსი რობაქიძე და მიხეილ გეგეშიძე იყვნენ“

წიგნი გათვალისწინებულია ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო.

შესავალ გვერდზე მოთავსებულია უნივერსიტეტის ფასადის ილუსტრაცია, აგრეთვე უნივერსიტეტის ფონზე გადაღებული კოლექტიური ფოტო-გეორგი ჩიტაია მოწაფეებთან ერთად.

როგორც ანოტაცია გვატყობინებს : „წიგნი ერთგვარი ცდაა თვალი გავადევნოთ ქართული ეთნოლოგიის სათავეებს და ამ სათავეებთან მდგომი მოღვაწეების-ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე ჯავახიშვილის-შემოქმედებას. წიგნის ერთი თავი აკადემიკოს გეორგი ჩიტაიას ეს-

ნაშრომს წინ უძღვის სტატია „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი-ქართული განათლების, მეცნიერებისა და სულიერების ბურჯი“. მასალა დაყოფილია ცალკეულ თავებად. დართული აქვს რეზიუმე ინგლისურ ენაზე.

აქაქანახეა ცოქია

წიგნი დიდ სასულიერო და საერო მოღვაწეზე

მაია ახლედიანი. პედაგოგი და მკვლევარი-დეკანოზი მელიტონ კელენჯერაძე.-ქუთაისი, {აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა}, 2018.-188გ, ილუსტრაციებით.

მელიტონ კელენჯერაძის პიროვნების დახასიათებისა და შეფასებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის

მოკლე წერილი, რომელიც დასახელებულ წიგნს უძღვის წინ. მთლიანად გამოკვლევაში დაწვრილებითაა განხილული ჭეშმარიტად ქართველი მამულიშვილის, პედაგოგის, მკვლევარისა და მწერლის დეკანოზ კელენჯერაძის რთული და საინტერესო ცხოვრება და მოღვაწეობა.

წიგნის ავტორი მაია ახლედიანი, აკაკი


წერეთლის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორია. არის განათლების აკადემიის წევრი, ეწევა უაღრესად აქტიურ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

აღნიშნული წიგნი გამოირჩევა საქმის ღრმა ცოდნით, იხილავს მელიტონ კელენჯერიძის ცხოვრების ამსახველ ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას, თვალნათლივ გვისურათებს ამ ღირსეული ადამიანის პიროვნულ თავისებურებებს, საფუძვლიანად აშუქებს მის ღვაწლს და ეწევა მისი შრომითი საქმიანობის ანალიზს.

მონოგრაფიის რედაქტორია: პედ მეც, დოქტორი, პროფ., რამდენიმე დარგობრივი აკადემიის წევრი: ჯემალ ჯინჯიხაძე. წიგნს წინასიტყვაობის შემდეგ მოს-

დევს რეზიუმე ინგლისურ ენაზე, ტექსტი დაყოფილია თავებად და ერთვის „კელენჯერიძის ნაშრომების საძიებელი“, გამოყენებული ლიტერატურა, გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა, მელიტონ კელენჯერიძის შესახებ, შენიშვნები. მხატვრული ფორმით გრაფიკულად მოცემულია „მელიტონ კელენჯერიძის გენელოგიის ხე“. ბოლოს უხვადაა თავმოყრილი მელიტონ კელენჯერიძის ცხოვრებასთან დაკავშირებული ფოტო მასალა.

მელიტონ კელენჯერიძე წარმოადგენს ქვეყნისათვის თავდადებულ გამორჩეულ მოღვაწეს, რომლის ცხოვრების ამგვარი დაწვრილებითი განხილვა უდავოდ დიდ ინტერესს იწვევს მკითხველთა შორის.



აქუსანსიხა ცოხიძე

საინტერესო არქეოლოგიური ნაშრომი

თბილისის არქეოლოგიის სერიით მიმდინარე წელს გამოქვეყნდა მერაბ ძნელაძის მონოგრაფიული ნაშრომი „ტფილისელი მკურნალის სახელი დედაციხიდან“, რომელიც მე-6-7 საუკუნეთა ეპოქის მასალის განხილვას წარმოადგენს. მთავარი რედაქტორია პროფ. ვაჟა სადრაძე, რედაქტორი ისტ. მეც. კანდ. აკადემიური დოქტორი ჯუანშერ ამირანაშვილი. წიგნი გამოაქვეყნა გამომცემლობა „მწიგნობარმა“ შეიცავს 172 გვერდს. უხვად აქვს დართული ფოტო მასალა-ნახაზებისა თუ ნატურალური გამოსახულებათა სახით. ბოლო გვერდზე მოცემულია ცნობები ავტორის შესახებ.

როგორც ანოტაცია გვამცნობს, „ნაშრომი დედაციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე მდებარე ორპირის ქუჩის 20 სახლის ქვაბულშია აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლის გათხრასა და მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს“.

გამოცემაში ქართულ ტექსტთან პარალელურად რეზიუმის სახით მოცემულია ტექსტები რუსულ და ინგლისურ ენებზე. წიგნისადმი ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ ვიდრე გაშუქდება ძირითადი განსახილველი საკითხი „ახალი აღმო-

ჩენა თბილისის დედაციხეზე „მკურნალის სახლი“ შესავლის შემდეგ, ავტორი იძლევა განმაზოგადებელ მასალას ცალკეული თავების მიხედვით: „თბილისი“, „აბრეშუმის დიდი გზა“, „თბილისი-საქართველოს დედაქალაქი“, „ტფილისი, მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი“, დასარულ მოცემულია „დოკუმენტაცია“, რაც გამოყენებულია მონოგრაფიის შედგენის დროს. ამის შემდეგ დაწვრილებითაა გადმოცემული ძირითადი განსახილველი საკითხები, რომლებიც ილუსტრაციების დართვითაა გაშუქებული. ნაშრომი თავდება „დასკვნით“, რასაც მოსდევს ზოგადი ანოტაციები ინგლისურ და რუსულ ენებზე. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი ნუსხა. სახულისხმოა ისიც, რომ ნაშრომი იძლევა არქეოლოგიური არტეფაქტების აღწერას (კატალოგი), რომელიც შედგენილია არქეოლოგ, ისტორიის დოქტორის ვერა ჩიხლაძის მიერ.

წიგნი უდავოდ დააინტერესებს არა მარტო სპეციალისტებს, არამედ ჩვენი დედაქალაქის წარსულის გაცნობის მსურველებს-ექსკურსანტებს, სტუდენტებს, მკითხველთა ფართო საზოგადოებას.

ლავით ბიბლიოთეკი

ბაროკოს ფესტივალი კვლავ ჩვენთანაა

2018 წლის თბილისის ბაროკო ფესტივალი (tbf.ge), ტრადიციულად, შემოდგომაზე, ნოემბრის თვეში დაიწყო. წელს მუსიკალური სპექტაკლების რაოდენობა, წინა ფესტივალებთან შედარებით, ნაკლები იყო, მაგრამ ორგანიზატორებმა სიურპრიზი მოგვიწვეს - ეს იყო ფესტივალის ძირითადი კოლექტივის და მასპინძლის - 'საქართველოს სინფონიეტას' 10 წლისადმი მიძღვნილი დოკუმენტალური ფილმი და მოცარტის 'რეკვიემის' ავთენტური შესრულება. ამ უკანასკნელზე კი მოგვიანებით მოგახსენებთ.

შეასრულეს, სადაც ახლად შექმნილი ორდანი პოზიტივი აქდერდა და მერე ჰაიდნის სახელგანთქმული დო-მაჟორული კონცერტი კლავიშოანი ინსტრუმენტისათვის HobXVIII:11. ჰაიდნის კონცერტი თავისებურად შესრულდა - პირველი და მესამე (უნგრული რონდო) ნაწილები კლავესინზე და შუა ნაწილი - ორდანიზე. ორდანი ჟღერდა დიდებულად - მთელი პალიტრით გაანათა ჰენდელის კონცერტში და დაჩაგრა კლავესინი, რომელიც ისედაც, სამწუხაროდ, ცუდი ჟღერადობით გამოირჩეოდა. ამ საქმეს არც შემსრულებლის ჩანაცვლე-



უცხოეთში სამეცნიერო მივლინების გამო პირველი სპექტაკლი გავაცდინე და შესაბამისად ვერაფერს მოგახსენებთ. მეორე სპექტაკლი ქართული ძალებით გაიმართა, რადგან დანაპირების მიუხედავად, ავადმყოფობის გამო გერმანელი დირიჟორი - ქალბატონი კორნელია ფონ კერსენბროკი წელს ვერ ჩამოვიდა თბილისში. მაგრამ პროგრამა ნაკლებად საინტერესო არ გამხდარა. ქართველმა შემსრულებლებმა ჯერ ჰენდელის ულამაზესი სოლ-მინორული სარდლანო კონცერტი №1 ოპ. 4, HWV289

ბამ უშველა - ჰენდელი შეასრულა ანა ქურდოვანიძემ და ჰაიდნის კონცერტი კი - ალექსანდრე ვასაძემ. კონცერტის მეორე ნაწილი ბახის საეკლესიო მუსიკას მიეძღვნა - შესრულდა ლაიფციგის პერიოდის კანტატა BWV 42 'Am Abend aber desselbiden Sabbats' და ნაწყვეტები კანტატიდან BWV 12. კანტატა BWV 42-ის შესავალში ულამაზესი სიმფონიაა, სადაც ჰობოის წამყვანი როლი ენიჭება. ასევე ჰობოი ჟღერს მეცო-სოპრანოს არიაშიც (Wo zwei und drei versammelt). გიორგი ქობულაშვილმა ჩინებულად და-

ძლია ჰობოი ობლიგატოს პარტია. ძალზე მომეწონა ჩვენი მეცო-სოპრანო, ნონა კიკალიშვილი, რომელსაც ხავერდოვანი, მკვრივი და ძლიერი ალტი ჰქონდა, მან ძველი გერმანელი მეცო-სოპრანოები მომაგონა, რომლებიც კარლ რისტერის ხელმძღვანელობით ბახის მუსიკას ასრულებდნენ 50-60 წლებში. ბახის არია შეასრულა საოპერო მომღერალმა - გივი გივინეიშვილმა. ჩვენი ბახის ჩართვა კამერული კანტატის შესრულებაში ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ ბახის პარტიას უფრო ბას-ბარიტონალური ტემბრი სჭირდება. დარბაზში მოსმენისას დარწმუნებული და ამაყი ვიყავი რადგან მიმაჩნდა რომ კანტატა BWV42 შესრულდა სრულად. უკვე, შინ მისულმა, ლიტერატურას და ჩანაწერებს რომ გადავხედე, აღმოვაჩინე რომ კანტატა დიდი კუპიურებით შესრულდა, რამაც შესრულებიდან მიღებული აღ-

თავად იტალიელები: ვენეციელები ტომაზო ალბინონი და ანტონიო ვივალდი; ნეაპოლელი ფრანჩესკო დურანტე და მილანელი ჯოვანი ბატისტა სამარტინი. გერმანელ დირიჟორს ერთი თავისებურება ახასიათებს - ყოველი ახალი ნომრის წინ იგი აუდიტორიას გარკვეული მოკლე ინფორმაციას აწვდის ამ ნაწარმების მუსიკალური დირეზიონების ირგვლივ. არც ახლა უდალატა მან თავის ტრადიციას. კონცერტისათვის შერჩეული ნაწარმობების ნაწილი, კერძოდ იტალიელი კომპოზიტორების სიმფონიები სიმებიანებისათვის მათ შემოქმედების მწვერვალს არ წარმოადგენდა. მაგრამ კონცერტი საინტერესო გამოვიდა, ბისზე დირიჟორმა შეასრულა ჰენდელის ოპუს 6-ის მეშვიდე სი-ბემოლ მაჟორული კონჩერტო გროსოს ნაწილი (Hornpipe), რომელსაც ისეთი აქცენტები მისცა, რომ ჰენდელის მოყვარული არც



ფრთხილანება შემინელა (გამოდის, რომ ბახის კანტატა სრულ ვერსიაში მაინც ვერადა ვერ შევასრულეთ!). ვფიქრობ, პროგრამაში ეს ფაქტი მკაფიოდ მინიშნებული უნდა ყოფილიყო.

19 ნოემბერს, ჩვენ ორკესტრს ხელმძღვანელობდა გერმანელი დირიჟორი კრისტოფ მაიერი. ჩვენი მსმენელისათვის ძალზე უცნობი ბაროკო მუსიკა იყო წარმოდგენილი: ინგლისში მოღვაწე ჩარლზ ეივისონი, უილიამ ბოისი და ფრანჩესკო ბარსანტი, რომელთა მუსიკაში უდავოა იტალიური გავლენა და

ისე იოლად გამოიცნობდა მელოდიას.

ფესტივალის მეორე ნაწილი უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენდა, რადგან თბილისს ეწვია ცნობილი იტალიური, ძველებური მუსიკის ორკესტრი 'Zefiro' (www.ensemblezefiro.it), დაარსებული 1989 წელს იტალიელი ჰობოისტის ალფრედო ბერნარდინის (Alfredo Bernardini) მიერ. ორკესტრი ასრულებს ბაროკო მუსიკის დიდ სპექტრს, მაგრამ მეტი ყურადღება ექცევა ჩასაბერ ინსტრუმენტებს და ნაწარმობებს, დაწერილს მხოლოდ ან უმეტესად ამ ინსტრუ-



მენტებისათვის (პარტიტები, ოქტეტები და სონატები, მუსიკა წყალზე, მუსიკა ფეიერვერკისათვის). თბილისში ამ ორკესტრის ზუსტად ჩასაბერი ინსტრუმენტების შემსრულებლები ჩამოვიდნენ ალფრედო ბერნარდინის ხელმძღვანელობით. 22 ნოემბერს ანსამბლმა სამი ოქტეტი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ სამივე ნაწარმოები ვენაში დაწერილია: ფრანც კრომერმა შექმნა იგი 1806 წელს, მოცარტმა 1782-1783 და ბეთჰოვენმა - 1792. XVIII საუკუნის ბოლოს მუსიკამ მხოლოდ ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის (Harmoniemusik) დიდ პოპულარობას მიაღწია როგორც იმპერატორის კარზე ასევე არისტოკრატიულ წრეებში. აქამდე მხოლოდ სამხედრო პარადებში მონაწილე ინსტრუმენტებმა უკვე სალონებში და სასახლეებში გადაინაცვლა და ცნობილმა კომპოზიტორებმა გვერდი არ აუარეს დროის ამ მოთხოვნას. ფრანც კრომერმა (Franz Krommer, 1759-1831), წარმოშობით მორავიელმა (ჩეხეთის რესპუბლიკა) კარიერის ბოლოს ავსტრიის იმპერატორის კარზე დიდი აღიარება

მოიპოვა და იმპერატორის კარის კომპოზიტორის რანგს მიაღწია. იმ დროისათვის იგი ბეთჰოვენის კონკურენტად მიიჩნეოდა. მაგრამ, დრომ მისი სახელი დაჩრდილა, მაშინ როდესაც ბეთჰოვენმა უკვდავება მოიპოვა. ოთხნაწილიან პარტიტა ოპუსი 57 მი მაჟორში (Octet-Partita 'Harmonie') გამოვეყოფდი ლამაზ მეოთხე ნაწილებს, სადაც მუსიკას ვენური მხიარულება, სილაღე და სიმსუბუქე ეტყობოდა. მოცარტის სერენადა დო მინორში (Serenade KV388) საკმაოდ ვირტუოზული ნაწარმოები, რომელიც მან 26 წლის ასაკში შექმნა, მაშინ, როდესაც საბოლოოდ მოცილდა ზაღცბურგს და დიდი იმედებით გაეშურა ვენაში. მაგრამ ეს მისი ყველაზე განთქმული და დიდებული ოქტეტი არ არის. ბეთჰოვენის ოქტეტი (Parthia op.103), დაწერილი კომპოზიტორის ბონიდან ვენაში ჰაიდნთან სასწავლებლად გამგზავრების შემდეგ, მისი ახალგაზრდული ნაწარმოებია. მაგრამ, ამის მიუხედავად, მსმენელებთან ერთად, მან მეც მომხიბლა თავისი სილამაზით, სილაღით და სიცოცხლით. ბეთჰოვენის ოქტეტში მეტი ჰაერი, სივრცე და ინსტრუმენტების თავისუფლება იყო. სადამო დასრულდა მოცარტის ოპერიდან 'ფიგაროს ქორწინება' (Le Nozze di Figaro) არიებისა და უვერტიურის შესრულებით, გადაკეთებული ჩასაბერი ინსტრუმენტებისათვის. აქ იტალიელებმა მისცეს თავს უფლება და თამაშის ელემენტები შემოიტანეს შესრულებაში. ბერნარდინი კონტესას არიის (Porgi amor qualche ristoro) დროს



ჩამოვიდა დარბაზში და პირველ რიგში მჯდომ დარბაისელ ქალბატონს მოეაღერსა. ბისზე შესრულდა არანჟირება მოცარტის ოპერა 'დონ ჟოვანიდან' (დონ ჟოვანისა და ცერლინას ცნობილი დუეტი), სადაც შემსრულებლები არა მხოლოდ უკრავდნენ, არამედ თამაშობდნენ ამ დუეტს. მუსიკოსების ამ სილაღემ დარბაზი გაართო და განაწყო შესრულებული მუსიკის მიმართ, რასაც დიდი ოვაციები მოჰყვა.

აქ არ შემიძლია არ ვახსენო რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის აკუსტიკა. იგი არ არის სრულყოფილი - ახდენს მკაფიო (უარყოფით) გავლენას როგორც ბგერის სიხშირეებზე (მაღლებზე), ასევე ინსტრუმენტთა ბალანსზე. მრავალი ექსპერიმენტის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ საუკეთესო ჟღერადება არის დარბაზის შუა რიგების შუა ადგილზე. მაგრამ ამის მიუხედავად ოქტეტში ვალტორნები (ჰორნი) ჩავარდნილი ჟღერდა და ტონი ცურავდა, რაც აიძულებდა მუსიკოსებს ხშირად ეცვალათ ძველებური ვალტორნების ნაწილები. მოგვიანებით ჩემი შთაბეჭდილება გადავამოწმე ჩანაწერით (Zefiro - Beethoven Harmoniemusik, Deutsche HM/Sony), სადაც ბალანსი იდეალურია და ვალტორნების ტონალობა არ ცურავს. აღსანიშნავია, რომ ოქტეტში წყვილ-წყვილად იყო წარმოდგენილი ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი და ვალტორნა-ჰორნი.

ფესტივალმა კულმინაციას 25 ნოემბერს მიაღწია. ქართული ორკესტრი (რომელშიც შარშანდელიდან ცვლილება მოხდა სოლისტების ბუნებრივი დინების გამო), 'საქართველოს სიმფონიეტა', როგორც აქამდე არასოდეს ახლა ჟღერდა - შეკრული, მოქნილი, სწრაფი და თავდაჯერებული. პირველ ნაწილში შესრულდა ჰაიდნის ორი სიმფონია, რომელშიც ექვსი ჩასაბერი ინსტრუმენტი დაემატა ანსამბლ Zefiro-საგან: ორი ჰობოი, ფაგოტი და ორი ვალტორნა. განსაკუთრებულად გამოვყოფდი ფა-მინორულ სიმფონიას №49, რომელიც ჰაიდნის ცნობილ 'შტორმისა და შეტევის' სიმფონიათა ციკლს მიეკუთვნება. სიმფონიის ზოგადი მოწყენილი ტონი ირღვევა მესამე ნაწილში, სადაც მოკლე ტრიო დაწერილია ფა-მაჟორში. რადგან სიმფონიას ჰქვია 'ენება/La passione', ვარაუდობენ რომ იგი არა საერო, არამედ საეკლესიო შესრულებისათვის იყო განკუთვნი-

ლი და კერძოდ, დიდი პარასკევისათვის, რითაც არის განპირობებული მუსიკის მკაცრი, მძიმე და ტრაგიკული ფონი.

მოცარტის რეკვიემის (Requiem რე მინორი, K626) ავთენტური შესრულება წარმოადგენს ყველა ჭეშმარიტი მუსიკის მოყვარულის ნატვრას. ამ შესრულებისათვის სპეციალური მზადება უკვე შარშან ზაფხულში დაიწყო, რადგან პარტიტურის თანახმად სიმებიანების გარდა, შესრულებას უნდა ახლდეს 2 ბასეტ ჰორნი, 2 ფაგოტი, 2 საყვირი (ტრომპეტი), 3 ტრომბონი, დაფდაფი და ორდანი პოზიტივი. ახლახანს შექმნილმა ორდანი პოზიტივმა დროულად მოუსწრო შესრულებას, დანარჩენი ინსტრუმენტები კი ანსამბლ 'Zefiro'-ს სპეციალურად მოწვეული შემსრულებლებით შეივსო, მკითხველისათვის ნათელია რამდენი ჯაფა გაწიეს ორგანიზატორებმა ამ ერთადერთი შესრულების განხორციელებისათვის. დარბაზის სრულად იყო შევსებული, მეტიც, გვერდითა გასასვლელებში მსმენელები ფეხზეც კი იდგნენ. დაპატიჟებული მუსიკის მოყვარულთა თუ სპეციალისტებისათვის ორი დამატებითი რიგის მოწყობაც დასჭირდათ. ჩვენ ორკესტრთან ერთად შესრულებაში მონაწილეობდა თბილისის გუნდი 'ბაროკო' (ხელმძღვანელი გიორგი მარგველაშვილი) და ჩვენი ოთხი ვოკალისტი: მარია კუბლაშვილი (სოპრანო), ნუცა ზაქაიძე (მეცო სოპრანო), გიორგი დავითაძე (ტენორი) და გივი გიგინეიშვილი (ბანი). ორკესტრი გიორგი კერელიშვილის (პირველი ვიოლინო) ხელმძღვანელობით ისევე შთამბეჭდავი, შეკრული და ვერცხლისწყალივით მოქნილი იყო, რაშიც ღომის წილი, ცხადია პირველ რიგში გიორგის და შემდგომ ყველა სხვა შემსრულებელს ეკუთვნოდა. გუნდი ძალიან მოსაწონი იყო, რადგან



ნაწარმოების მასშტაბურობა, მისი სიდრმეები და უნიკალური მუსიკალობა არ დაიხრდილა. იმ სადამოს მისულ მსმენელს რეკვიემის უკვდავების უეჭველი განცდა დარჩებოდა. სოლისტების კვარტეტი ასევე კარგი იყო - გამოფოფდი სოპრანოს, რომლის ლამაზი კამერული ხმა კარგად მიესადაგა რეკვიემს და მტკიცე ჟღერად ბანს.

რაც შეეხება გუნდს - იგი ორ ნაწილად გაიყო - ვაჟები მარჯვნივ განლაგდნენ და ქალები მარცხნივ. მაგრამ რაოდენობრივად ქალები ჭარბობდნენ და ეს სიმღერაში ზოგჯერ ბალანსს არღვევდა. პასაჟებში კი, სადაც გუნდის სოპრანოები იყოფოდა რამდენიმე ნაწილად, ერთი-ორჯერ შესრულება არ იყო მკაფიო და ზუსტი. ზოგადად გუნდის ხმა ძლიერდებოდა დარბაზის აკუსტიკის გამო და შესრულება კამერულობას კარგავდა. თუმცა ეს მცირე ხარვეზებია და პრემიერა შედგა და კიდევ დიდხანს იქნება მუსიკის მოყვარულთა სჯა-ბაასის საგანი.

2 დეკემბერს უკვე სამეფო უბნის თეატრში შედგა ფესტივალის დახურვა -

‘საქართველოს სიმფონიეტა,’ გიორგი ალექსიძის სახელობის ‘თბილისის თანამედროვე ბალეტის’ (ხელმძღვანელი - მარიამ ალექსიძე) და კონტრეტენორი მიხეილ აბრამიშვილის- ‘ფოლიას’ სხვადასხვა ვარიანტები, ანტონიო ვივალდის საეკლესიო მუსიკა აჟღერდა ამ სადამოს თეატრში. მუსიკისა და თანამედროვე პლასტიკის სინთეზი ნამდვილად იყო ნოვატორული და საინტერესო, თუმცა ამ ეტაპზე მეტად ექსპერიმენტული. ჩვენმა ოკრესტრმა დამატებითი ფერი შეიძინა - სიმებიანებმა მეტი სიფაქიზე და ზედა სიხშირეები, კლავესინი და თეორბა გამოიკვეთა და ხორცი შეისხა, კონტრეტენორი მკაფიო და დაბალანსებული იყო - რასაც დარბაზის უკეთესმა აკუსტიკამაც შეუწყო ხელი.

თბილისის ბაროკოს ფესტივალი დასრულდა, მას ასევე არ აკლდა ლექციები და სპექტაკლების წინ უკვე ტრადიციად ჩამოყალიბებული წინასიტყვაობები. დარწმუნებული ვარ მსმენელმა სიამოვნება მიიღო და ამდენი პრემიერით განებივრებული მოუთმენლად ელის უკვე ახალ მომავალ ფესტივალს.

ქრონია

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება მოვლენები, ფაქტები

» **1 ნოემბერს** ეროვნული ბიბლიოთეკის „ლიბერთი დარბაზში“ (Liberty Digital Hall) ლიბერთი ბანკისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი სო-



ციალური პროექტი დაიწყო. პროექტის ფარგლებში 60 წელს გადაცილებული 338 მოქალაქეები კომპიუტერისა და ინტერნეტის შემსწავლელ ერთოვიანი უფასო კურსს გაივილიან. პროექტი უფროს თაობას შესაძლებლობას მისცემს, შეისწავლონ კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენება და იყვნენ უფრო მეტად ინტეგრირებულნი თანამედროვე ცხოვრებაში. პროექტი წლის ბოლომდე გაგრძელდება. შეხვედრები ეროვნული ბიბლიოთეკის მე-3 კორპუსში (გუდიაშვილის 7), ლიბერთის მიერ სპეციალურად შექმნილ დარბაზში - Liberty Digital Hall - გაიმართა.

» **5 ნოემბერს** ეროვნული ბიბლიოთეკის პირველ კორპუსში პოლონელი მხატვრის, ჰენრის ჰრინევისკის (1869-1938),



სახელობის ხელოვნებისა და პოლონური ლიტერატურის დარბაზი გაიხსნა. დარბაზი თავის დროზე ჰენრის ჰრინევისკიმ მოხატა და ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სივრცეა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დონისძიებას დაესწრნენ: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი, პოლონეთის პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარე მარეკ კუხცინსკი, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შიმონ შინკოვსკი ველსენკი, პოლონეთის ელჩი საქართველოში მარიუს მაშკიევიჩი, უცხოეთში პოლონური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ ინსტიტუტ „პოლონიკას“ დირექტორი დოროტა იანიშევსკა-იაკუბიაკი. დარბაზის ჭერისა და კედლების უნიკალური მოხატულობა საქართველოში პოლონეთის საელჩოსა და პოლონეთის ხელისუფლების მხარდაჭერით აღდგა, დარბაზი მთლიანად განახლდა და მასში ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული ხელოვნების შესახებ ლიტერატურა, ასევე პოლონურენოვანი გამოცემები განლაგდება მოეწყობა სამკითხველო, სადაც ნებისმიერ ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს ექნება მუშაობის შესაძლებლობა.

» **8 ნოემბერს** ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორ-





მა, გიორგი კეკელიძემ და დიდი ბრიტანეთის ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექციების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ევროპის სამეცნიერო ბიბლიოთეკების კონსორციუმის დირექტორმა, კრისტიან იენსენმა ხელი მოაწერეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს. შეხვედრა საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს ხელშეწყობით, ჭარდროპ შტრატეგიც ცილოვან 2018 ფარგლებში განხორციელდა. ბატონმა კრისტიან იენსენმა ეროვნულ ბიბლიოთეკას ძვირფასი გამოცემები უსახსოვრა.

» **13 ნოემბერს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს განათლების, მეცნიერ-



ების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა, რომელსაც ხელი მოაწერეს მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა და ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ. მხარეებს შორის თანამშრომლობა მოიცავს რ-

გორც სამინისტროსა და ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთანამშრომლობის კოორდინაცია-ხელშეწყობას, ასევე ერთიანი ეროვნული ციფრული ბიბლიოთეკის შექმნისთვის საჭირო ინფორმაციის გაცვლასა და გამოცდილების გაზიარებას.

» **20 ნოემბერს** ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით ესტონეთის



დედაქალაქ ტალინში იმყოფებოდნენ 19 ნოემბერს ეროვნული ბიბლიოთეკისა და ესტონეთში საქართველოს საელჩოს ინიციატივით ესტონეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქართული ფონდი შეიქმნა. ფონდი დიდწილად საქართველოს შესახებ ინგლისურენოვანი ლიტერატურისგან შედგება.

» **30 ნოემბერს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ბელგიელ მწერალ ერიკ-ემანუელ შმიტთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი.



შესვედრის მოდერატორი იყო მერაბ ფიფია, ხოლო თარჯიმანი - მებო ნუცუბიძე.

- » **30 ნოემბერს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე სპეციალური მიწვევით,



საქართველოდან შერჩეულ ათ პიროვნებასთან ერთად, ბრიუსელში იმყოფებოდა. ევროკავშირისა და თ -ს მთავარ ოფისებში გაიმართა დისკუსიები აქტუალურ თემებზე, საქართველოს ამ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პერსპექტივებზე. შესვედრებში თ -ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი და სხვა მნიშვნელოვანი პირები მონაწილეობდნენ.

- » **7 დეკემბერს** საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტს რუსუდან ასათიანს სოფლის ბიბლიოთეკების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ღირსების ორდენი გადას-




ცა. სოფლის ბიბლიოთეკების განვითარება, მოდერნიზება, ინტერნეტი-თა და უახლესი ტექნიკით აღჭურვა, ასევე ბიბლიოთეკარების გადამზადება უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს. პროექტი პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდებოდა და მასში 70-ზე მეტი სოფლის ბიბლიოთეკა იყო ჩართული.

- » **7 დეკემბერს** საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშ-



ვილმა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურ დირექტორს გიორგი კეკელიძეს საჩუქრად საფრანგეთში ფრანგულ ენაზე გამოცემული 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია გადასცა. იშვიათი გამოცემა

- » **7 დეკემბერს** სტამბოლში არსებული ქართული კულტურის ცენტრის დახმარებითა და სტამბოლის მერიის მხ-



არდაჭერით გაიმართა ნატო მარშანის ას ავტორობით გამოცემული წიგნის „აფხაზი არისტოკრატები ემიგრაციაში“ პრეზენტაცია. წიგნი თურქულად თარგმნა და ქართულ და თურქულ ენაზე გამოსცა საქართველოს პარ-

მანანა ქვაჩაჩია, ასევე სტამბოლში მცხოვრები აფხაზური და ქართული დიასპორის წარმომადგენლები. ღონისძიებაზე ყურადღება გამახვილდა სტამბოლში მცხოვრები აფხაზური და ქართული დიასპორის წარმო-



ლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ. ღონისძიებას დაესწრნენ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი

მადგენლების როლზე აფხაზურ-ქართული ურთიერთობების აღდგენაში. » **11 დეკემბერს** მთის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მთიანი რეგიონის მაცხოვრებლებს, მათ შორი საჯარო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს, უმასპინძლა. სკოლის მოსწავლეებს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე შეხვდა და საჩუქრად მისი ავტორობით გამოცემული საბავშვო წიგნები გადასცა. ბავშვებმა ასევე დაათვალიერეს ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნის მუზეუმი და იქ დაცულ უნიკალურ ფონდს გაეცნენ.



2019 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი

იანვარი

1 -- 125 წლის წინათ (1894 წ.) დაიბადა როდონ ქორქია – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საბავშვო მწერლობის ერთერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1984 წ.

--85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა შალვა დავითაშვილი – ქართველი კომპოზიტორი. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

2 -- 130 წლის წინათ (1889 წ.) დაიბადა ვალერიან გაფრინდაშვილი – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1941 წ.

3 -- 115 წლის წინათ (1904 წ.) დაიბადა ანა ღვინიაშვილი – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1981 წ.

4 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა ზურაბ წერეთელი – საქართველოს სახალხო მხატვარი.

6 -- 100 წლის წინათ (1919 წ.) დაიბადა დიმიტრი თაყაიშვილი – საქართველოს სახალხო მხატვარი. ფერმწერი. გარდაიცვალა 1998 წ.

7 -- შობა უფლისა ღვთისა და მაცხივრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

-- 110 წლის წინათ (1909 წ.) დაიბადა სერგო ქობულაძე. საქართველოს სახალხო მხატვარი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მას ეკუთვნის შოთა რუსთაველის ორი პორტრეტი და ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები. გარდაიცვ. 1978 წ.

8 -- დავითობა. ხსენება წმიდა დავით მეფისა აღმაშენებლისა (1073-1125).

-- 165 წლის წინათ (1854 წ.) დაიბადა ივანე მაჩაბელი – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. უზოუკვლად დაიკარგა 1898 წ.

9 -- 95 წლის წინათ (1924 წ.) დაიბადა სერგო ფარაჯანოვი – ქართველი კინორეჟისორი. გარდაიცვალა 1990 წ.

-- 115 წლის წინათ (1904 წ.) სანკტ-პეტერბურგში დაიბადა ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძე) – ამერიკელი ბალეტმეისტერი. ამერიკის ბალეტის ერთერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1983 წ.

12 -- 90 წლის წინათ (1929 წ.) ქობილისში დაიბადა გურამ საღარაძე – მსახიობი, საქართველოს სახალხო არ-

ტისტი. გარდაიცვალა 2013 წ.

14 -- ქართული თეატრის დღე.

-- 140 წლის წინათ დაიბადა კორნელი კეკელიძე – ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი. გარდაიცვალა 1962 წელს.

19 -- ნათლისღება - გაცხადება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

-- 210 წლის წინათ (1809 წ.) დაიბადა ედგარ ალან პო – ამერიკელი მწერალი და პოეტი. გარდაიცვალა 1949 წ.

21 -- 150 წლის წინათ (1869 წ.) დაიბადა თედო რაზიკაშვილი – ქართველი მწერალი, პედაგოგი. გარდაიცვალა 1922 წ.

-- 290 წლის წინათ (1729 წ.) დაიბადა გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი – გერმანელი მწერალი, განმანათლებელი. გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1781 წ.

25 -- 260 წლის წინათ (1759 წ.) დაიბადა რობერტ ბერნსი – შოტლანდიელი პოეტი. გარდაიცვალა 1796 წ.

27 -- ნინობა. ხსენების დღე წმიდისა დედისა ჩვენისა ნინო ქართველთა განმანათლებლისა.

31 -- 95 წლის წინათ (1924 წ.) დაიბადა თენგიზ აბულაძე – ქართველი კინორეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი და დეკორაციის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1972 წ.). გარდაიცვალა 1994 წ.

თებერვალი

2 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა ოთარ იოსელიანი – ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი.

5 -- 150 წლის წინათ (1864 წ.) დაიბადა მელიტონ კელენჯერიძე – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფოლკლორისტი. გარდაიცვალა 1942 წ.

6 -- 125 წლის წინათ (1894 წ.) დაიბადა მიხეილ ჭიაურელი – ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1974 წელს.

-- 110 წლის წინათ (1909 წ.) დაიბადა სერგო ქობულაძე – ქართველი გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი. გარდაიცვალა 1978 წ.

8 -- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღე.

-- 165 წლის წინათ (1854 წ.) დაიბადა ივანე მაჩაბელი – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. „სამოციანელი“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1898 წ.

10 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა თენგიზ მირზაშვილი – ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, საქართველოს საქალხოს მხატვარი. გარდაიცვალა 2008 წ.

13 -- 255 წლის წინათ (1769 წ.) დაიბადა ივანე კრილოვი – რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1844 წ.

17 -- 160 წლის წინათ (1859 წ.) დაიბადა ეგნატე ნინოშვილი (ნამდვილი გვარი ინგოროყვა) – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1894 წ.

-- 150 წლის წინათ (1869 წ.) დაიბადა პოვანეს თუმანიანი – სომეხი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1923 წ.

19 -- 135 წლის წინათ (1884 წ.) ზუგდიდის რაიონის სოფელ ობუჯში დაიბადა ლეო ქიაჩელი (ნამდვილი სახელი და გვარი ლეონ შენგელაია) – ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1963 წელს.

23 -- 80 წლის წინათ (1939 წ.) დაიბადა ჯემალ მონიავა – ქართველი მსახიობი. დამსახურებული არტისტი.

26 -- 80 წლის წინათ (1939 წ.) დაიბადა გურამ დოჩანაშვილი -- თანამედროვე ქართველი კლასიკოსი მწერალი

27 -- 110 წლის წინათ დაიბადა (1909 წ.) დაიბადა მაყვალა მრეველიშვილი – ქართველი პოეტი. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1992 წ.

მარტი

3 -- დედის დღე.

-- 205 წლის წინათ (1814 წ.) დაიბადა ტარას შევჩენკო – უკრაინელი პოეტი. გარდაიცვალა 1861 წ.

-- 70 წლის წინათ (1949 წ.) დაიბადა ზაურ კალანდია. მწერალი.

-- 100 წლის წინათ (1919 წ.) დაიბადა არჩილ ჩიმაკაძე – ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1991 წ.

-- 170 წლის წინათ (1849 წ.) დაიბადა კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი – ქართველი

მსახიობი, რეალისტური სამსახიობო სკოლის ერთერთი ფუძემდებელი, საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი. გარდაიცვალა 1921 წ.

-- 60 წლის წინათ (1959 წ.) დაიბადა ივანე ამირხანაშვილი - კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე.

5 -- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა ელენე ჩოხელი – ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1991 წ.

8 -- 75 წლის წინათ (1944 წ.) დაიბადა ნუგზარ შატაიძე – ქართველი მწერალი, დრამატურგი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996 წ.), დაჯილდოებულია დრების ორდენით (1998 წ.)

13 -- 100 წლის წინათ (1924 წ.) დაიბადა მერი დავითაშვილი – ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი.

18 -- 90 წლის წინათ (1929 წ.) დაიბადა შოთა ნიშნიანიძე – ქართველი პოეტი. შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1999 წ.

19 -- 110 წლის წინათ (1909 წ.) დაიბადა კონსტანტინე (კოტე) დაუშვილი – ქართველი მსახიობი, საქართველოს და სომხეთის სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1980 წ.

20 -- 60 წლის წინათ (1959 წ.) დაიბადა ბონდო მაცაბერიძე - საბავშვო მწერალი

23 -- 70 წლის წინათ (1949 წ.) დაიბადა ზაურ კალანდია – ქართველი წერალი.

-- 75 წლის წინათ (1944 წ.) სენაკში დაიბადა ჯემალ აჯიაშვილი – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, მეცნიერი.

-- 60 წლის წინათ (1959 წ.) დაიბადა ვახტან კახიძე – ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, ჯაზ-პიანისტი.

26 -- 80 წლის წინათ (1939 წ.) დაიბადა გურამ დოჩანაშვილი – ქართველი მწერალი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

27 -- 80 წლის წინათ (1939 წ.) დაიბადა იოსებ კეჭაყმაძე – ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი.

31 -- 75 წლის წინათ (1934წ.) დაიბადა ზვიად გამსახურდია – დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, მწერალი, მეცნიერი. გარდაიცვალა 1992 წ.

აპრილი

2 -- საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე

3 -- 100 წლის წინათ (1919 წ.) დაიბადა გიორგი ნაფეტვარიძე – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1942 წ.

-- 115 წლის წინათ (1904 წ.) ნატალია (ნატო) ვახნაძე – კინომსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, გარდაიცვალა 1953 წ.

7 -- ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა.

9 -- საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და მშობლსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.

-- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა თამაზ ბიბილური – მწერალი. დრამატურგი

10 -- 35 წლის წინათ (1984) დაიბადა გიორგი კეკელიძე – მწერალი, პოეტი, ფილოლოგი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი

12 -- 90 წლის წინათ (1929 წ.) დაიბადა მუხრან მაჭავარიანი – ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2010 წ.

14 -- ქართული ენის დღე.

16 -- 80 წლის წინათ (1939 წ.) დაიბადა გენო კალანდია – ქართველი პოეტი, დრამატურგი. გარდაიცვალა 2017 წელს.

18 -- ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო დღე

-- 210 წლის წინათ (1809 წ.) დაიბადა ნიუკოლოზ გოგოლი – რუსი მწერალი. გარდაიცვალა 1852 წ.

-- 100 წლის წინათ (1919 წ.) დაიბადა ლადო სულაბერიძე – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1993 წ.

20 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა გიორგი დოლიძე – ქართველი კინომცოდნე, პროფესორი.

21 -- 195 წლის წინათ (1824 წ.) დაიბადა რაფიელ ერისთავი – ქართველი მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1901 წელს.

22 -- დედამიწის მსოფლიო დღე.

23 -- წიგნის საერთაშორისო დღე.

24 -- ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღე.

-- 130 წლის წინათ (1889 წ.) დაიბადა იოსებ გრიშაშვილი (ნამდვილი გვარი მამულაიშვილი) – ქართველი პოეტი,

საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1965 წ.

26 -- 205 წლის წინათ (1814 წ.) დაიბადა დიმიტრი ყიფიანი – ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი. პუბლიცისტი, მთარგმნელი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი მესვეური. გარდაიცვალა 1887 წ.

28 -- ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი.

-- 455 წლის წინათ (1564 წ.) დაიბადა უილიამ შექსპირი – იგლისელი პოეტი. გარდაიცვალა 1616 წ.

30 -- ბიბლიოთეკარის დღე.

მაისი

1 – 95 წლის წინათ ((1924 წ.) დაიბადა დავით (დოდო) აბაშიძე – მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1990 წ.

2 -- 155 წლის წინათ (1894 წ.) დაიბადა გიორგი შენგელი – რუსი პოეტი, წარმომოხით ქართველი. გარდაიცვალა 1956 წ.

6 -- წმინდა გიორგის ხსენების დღე

9 -- ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე

10 -- 100 წლის წინათ (1919 წ.) დაიბადა თინათინ ყაუხჩიშვილი, ქართველი ფილოლოგი. გარდაიცვალა 2011 წ.

13 -- 140 წლის წინათ (1879 წ.) დაიბადა ვანო სარაჯიშვილი – ქართველი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1924 წ.

-- 430 წლის წინათ (1589 წ.) დაიბადა თეიმურაზ პირველი – მეფე-პოეტი, ძველი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი. გარდაიცვალა 1663 წ.

14 -- თამარობა. ხსენება წმინდა კეთილმორწმუნე ქართველთა დიდი მეფისა თამარისა.

15 -- 80 წლის წინათ (1939 წ.) დაიბადა ღია სტურუა – ქართველი პოეტი.

-- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა გივი ბერიკაშვილი – ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიც. 2017 წ.

15 – 140 წლის წინათ (1879 წ.) გაიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი კრება. საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი.

16 -- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა ვახტანგ ტაბლიაშვილი – ქართველი

რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 2002 წ.

18 -- 110 წლის წინათ (1909 წ.) დაარსდა ქ. თბილისის მთავარი (ყოფილი ალ. ჯაფარიძის, მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ცენტრალური საქალაქო სამეცნიერო) ბიბლიოთეკა.

20 -- 220 წლის წინათ (1799 წ.) დაიბადა ონორე დე ბალზაკი - ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1850 წ.

-- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა ალიო ადამია - ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1980 წ.

21 -- 145 წლის წინათ (1874 წ.) დაიბადა შალვა დადიანი - მწერალი, დრამატურგი, მსახიობი. გარდაიცვალა 1959 წ.

22 -- 160 წლის წინათ (1859 წ.) დაიბადა არტურ კონან დოილი - ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1930 წ.

-- 75 წლის წინათ (1944 წ.) დაიბადა ჯემალ (სიმონ) აჯიაშვილი - პროფესორი, მწერალი, მთარგმნელი.

-- 120 წლის წინათ (1899 წ.) დაიბადა სერგო ამადლობელი - ქართველი თეატრალური მოღვაწე, კრიტიკოსი, დრამატურგი. გარდაიცვალა 1946 წ.

26 -- საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის დღე - ეროვნული დღესასწაული.

-- 80 წლის წინათ (1939 წ.) დაიბადა მერაბ კოსტავა - პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნული გმირი. გარდაიცვალა 1989 წ.

-- 75 წლის წინათ (1944 წ.) დაიბადა გივი ალხაზიშვილი - ქართველი პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, მთარგმნელი

-- 160 წლის წინათ (1859 წ.) დაიბადა ილია ბახტაძე (ფსევდონიმი ხონელი) - ქართველი პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1900 წ.

28 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა ლია ელიავა - ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1998 წ.

30 -- 105 წლის წინათ (1914 წ.) ქ. ქუთაისში დაიბადა ვახტანგ ბერიძე - ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, აკადემიკოსი.

ივნისი

1 -- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

-- ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს საქა-

რთველში შეწმოსვლა.

5 -- გარემოს დაცვის მსოფლიო დღე -- 135 წლის წინათ (1884 წ.) დაიბადა დავით სულიაშვილი - ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1964 წ.

6 -- 220 წლის წინათ (1799 წ.) დაიბადა ალექსანდრე პუშკინი - დიდი რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1837 წ.

10 -- 90 წლის წინათ (1929 წ.) ქ. თბილისში დაიბადა მერაბ ბერძენიშვილი - ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი, გრაფიკოსი.

14 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა მერაბ ელიოზიშვილი - ქართველი მწერალი, დრამატურგი, კინოსცენარისტი. გარდაიცვალა 2012 წ.

15 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა გიგა მახვილაძე - ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 2001 წ.

16 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა ნოდარ ჯალაღონია - ქართველი მწერალი

23 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა გურამ გეგეშიძე - ქართველი მწერალი.

24 - 150 წლის წინათ (1869 წ.) დაიბადა ანდერსენი (ანდერსენ ნექსე) დანიელი მწერალი. გარდაიცვალა 1954 წელს.

-- 130 წლის წინათ (1889 წ.) დაიბადა ანა ახმატოვა (ნამდვილი გვარი გორენკო) - რუსი პოეტი. გარდაიცვალა 1966 წ.

28 -- 130 წლის წინათ (1889 წ.) დაიბადა ილია სიხარულიძე - ქართველი საბავშვო მწერალი. გარდაიცვალა 1963 წ.

29 -- 125 წლის წინათ (1894 წ.) დაიბადა პაოლო იაშვილი - ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1937 წ.

ივლისი

1 -- 110 წლის წინათ (1909 წ.) ქ. ბაქოში დაიბადა სერგო ზაქარიძე - ქართველი თეატრისა და კინოს მსახიობი. გარდაიცვალა 1971 წ.

2 -- 100 წლის წინათ (1919 წ.) დაიბადა ვახტანგ ფალიაშვილი - ქართველი დირიჟორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1980 წ.

4 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა გურამ რჩეულიშვილი - ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1960 წ.

7 -- 140 წლის წინათ (1879 წ.) დაიბადა ჭოლა ლომთათიძე - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1915 წ.

150 წლის წინათ (1869 წელს) დაიბადა თედო რაზიკაშვილი, ქართველი მწერალი, გარდაიცვალა 1929 წელს.

-- 120 წლის წინათ (1899 წ.) დაიბადა ერნესტ ჰემინგუეი – ცნობილი ამერიკელი მწერალი. ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1961 წ.

20 -- 125 წლის წინათ (1894 წ.) დაიბადა შალვა აფხაიძე – ქართველი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე. გარდაიცვალა 1968 წ.

25 -- 90 წლის წინათ (1929 წ.) დაიბადა ინოლა გურგულია – ქართველი მომღერალი, კომპოზიტორი, პოეტი. გარდაიცვალა 1977 წ.

27 -- 95 წლის წინათ (1924 წ.) ქ. თბილისში დაიბადა ოთარ თაქთაქიშვილი – კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1989 წ.

28 -- 195 წლის წინათ (1824 წ.) დაიბადა ალექსანდრე დიუმა (შვილი) – ფრანგი მწერალი. გარდაიცვალა 1895 წ.

აგვისტო

1 -- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა გრიგოლ აბაშიძე – პოეტი, პროზაიკოსი. დრამატურგი, ესეისტი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჟურნალების („ნიანგის“, „დროშის“ და „მნათობის“ რედაქტორი. გარდაიცვალა 1994 წ.

-- 120 წლის წინათ (1899 წ.) დაიბადა შალვა დამბაშიძე – ქართველი მსახიობი, ახალი ქართული თეატრის ერთერთი ფუძემდებელი, გარდაიცვალა 1955 წ.

-- 85 წლის წინათ (1929 წ.) დაიბადა ლეილა აბაშიძე – ქართველი კინომსახიობი, საქართველოს (1965 წ.) და ჩაჩნეთ-ინგუშეთის (1964 წ.) სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 2018 წ.

2 -- ილიაობა. ილია მართლის დღე.

6 -- 120 წლის წინათ (1899 წ.) დაიბადა აკაკი ვასაძე – თეატრისა და კინოს მსახიობი. გარდაიცვალა 1998 წ.

8 -- 100 წლის წინათ (1919 წ.) დაიბადა ალექსანდრე შავერზაშვილი – ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 2003 წ.

12 -- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

-- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა გივი ჭიჭინაძე – ქართველი საბავშვო პოეტი, მსახიობი. გარდაიცვალა 1999 წ.

13 -- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბა-

და აკაკი (კაკო) ძიძიგური – ქართველი ჟურნალისტი. გარდაიცვალა 1995 წ.

15 -- 135 წლის წინათ (1884 წ.) დაიბადა ალექსანდრე აბაშელი (ნამდვილი გვარი ჩოჩია) – ქართველი პოეტი, გარდაიცვალა 1954 წ.

6 -- 120 წლის წინათ (1899 წ.) დაიბადა გრიგოლ ფერაძე (არქიმანდრიტ ფერაძე) ქართველი ისტორიკოსი თეოლოგი. გარდაიცვალა 1945 წელს.

20 -- 130 წლის წინათ (1889 წ.) დაიბადა დავით კაკაბაძე – ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეარისა და კინოს მხატვარი. გარდაიცვალა 1952 წ.

-- 130 წლის წინათ (1889) წელს დაიბადა მაქსიმე ბერძნიშვილი. საქართველოს წიგნის პალატის პირველი დირექტორი, ბიბლიოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1967 წელს.

24 -- 95 წლის წინათ (1924 წ.) დაიბადა გიორგი (გოგი) ცაბაძე – ქართველი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1986 წ.

28 -- მარიაშობა. მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

-- 270 წლის წინათ (1749 წ.) დაიბადა იოჰან ვოლფგანგ გოეთე – გერმანელი მწერალი და მთარგმნე. გარდაიცვალა 1832 წ.

29 -- 130 წლის წინათ (1889 წ.) დაიბადა ილია სიხარულიძე – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1963 წ.

სექტემბერი

1 -- ცოდნის დღე

-- 115 წლის წინათ (1904 წ.) დაიბადა მიხეილ მრევლიშვილი – ქართველი მწერალი, გარდაიცვალა 1980 წ.

6 -- 165 წლის წინათ (1849 წ.) დაიბადა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი – ქართველი საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1932 წ.

11 -- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა გაბრიელ ჯაბუშანური – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1969 წ.

15 -- 110 წლის წინათ (1909 წ.) დაიბადა ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონი – ქართველი ქორეოგრაფი, მომღერალი. გარდაიცვალა 1955 წ

19 -- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა დავით გაბაშვილი – ქართველ გრაფიკოსი, ფერმწერი, მოქანდაკე, გარდაიცვალა 1995 წ.

21 -- შობა ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლის მარიამისა.

-- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა კიტა ბუაჩიძე - ქართველი მწერალი, დრამატურგი. გარდაიცვალა 2000 წ.).

22 -- 110 წლის წინათ (1909 წ.) დაიბადა ბონდო კეშელაძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1995 წ.

25 -- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა გაიოზ (გიზო) ჟორდანიას - თეატრის რეჟისორი.

26 -- 205 წლის წინათ ((1814 წ.) დაიბადა დავით ჩუბინაშვილი - ქართველი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე. გარდაიცვალა 1891 წ.

ოქტომბერი

1 -- მუსიკის საერთაშორისო დღე.

2 -- 215 წლის წინათ (1804 წ.) დაიბადა გრიგოლ ორბელიანი

- ქართველი პოეტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1883 წ.

-- 65 წლის წინათ (1954 წ.) დაიბადა გოდერძი ჩოხელი - ქართველი მწერალი, კინორეჟისორი. გარდაიცვალა 2007 წ.

-- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა ლომერ ახვლედიანი - ქართველი კინოოპერატორი, საქართველოს სახალხო არტისტი.

-- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა ოთარ იოსელიანი - ქართველი კინო-რეჟისორი.

3 -- 65 წლის წინათ (1954 წ.) დაიბადა ზაალ სამადაშვილი - ქართველი მწერალი.

14 -- მცხეთობა. სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული.

15 -- 205 წლის წინათ 1814 წ.) დაიბადა მიხეილ ლერმონტოვი - რუსი პოეტი, გარდაიცვალა 1841 წ.

-- 160 წლის წინათ (1859 წ.) დაიბადა კოსტა ხეთაგათი-ხეთაგუროვი - ოსი პოეტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1906 წ.

16 -- 165 წლის წინათ (1854 წ.) დაიბადა ოსკარ უაღდი - ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1900 წ.

21 -- 115 წლის წინათ (1904 წ.) დაიბადა გიორგი წერეთელი - ქართველი ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1973 წ.

23 -- 90 წლის წინათ (1929 წ.) ქ. ქუთაისში დაიბადა თამაზ გამყრელიძე.

- ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე.

24 -- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დღე.

28 -- 115 წლის წინათ (1904 წ.) დაიბადა გერცელ ბაახოვი - ქართველი მწერალი, ეროვნებით ებრაელი. გარდაიცვალა 1938 წ.

29 -- რუსთაველის დღე, პოეზიის დღე.

ნოემბერი

3 -- 90 წლის წინათ (1929 წ.) დაიბადა ჯანსუღ ნიქაბაძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1989 წ.

-- 90 წლის წინათ (1929 წ.) დაიბადა რეზო თავართქილაძე - ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 2013 წ.

4 -- 115 წლის წინათ (1904 წ.) დაიბადა აკაკი ანდრიაშვილი - ქართველი კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. გარდაიც. 1992 წ.

10 -- ახალგაზრდობის მსოფლიო დღე

11 -- 80 წლის წინათ (1939 წ.) დაიბადა ბესიკ ხარანაული - ქართველი პოეტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

18 -- 85 წლის წინათ დაიბადა რეზო ესაძე - ქართველი კინორეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, პოეტი. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

20 -- 95 წლის წინათ (1924 წ.) დაიბადა ირაკლი ოჩიაური - ქართველი მოქანდაკე, ოქრომქანდაკე, ფერმწერი, გრაფიკოსი,

-- 95 წლის წინათ (1924 წ.) დაიბადა ლევან მენაბდე - ქართველი მეცნიერი-ლიტერატურათმცოდნე, რუსთველოლოგი.

-- 85 წლის წინათ (1934 წ.) დაიბადა ნელი თარბა - ცნობილი აფხაზი მწერალი და ბიბლიოფილი.

-- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა ალექო შენგელია - ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1975 წ.

21 -- 95 წლის წინათ (1924 წ.) დაიბადა ედიშერ ყიფიანი - ქართველი მწერალი, პროზაიკოსი. გარდაიცვალა 1972 წ.

22 -- 190 წლის წინათ (1825 წ.) დაიბადა ივანე კერესელიძე - ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ქართული წიგნების გამომცემელი. გარდაიცვალა 1892 წ.

23 -- გიორგობა. ხსენება დიდმოწამისა და ძლევამოსილისა წმინდა გიორგისა.

-- 110 წლის წინათ (1909 წ.) დაბა ხონში დაიბადა ირაკლი აბაშიძე – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და პოეტი-აკადემიკოსი.

1980 წ. მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. გარდაიცვალა 1992 წელს.

26 -- 150 წლის წინათ (1869 წ.) დაიბადა მარჯორი სკოტ უორდროპი – ინგლისელი მთარგმნელი, ქართული კულტურისა და მწერლობის დიდი პოპულიზატორი. ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი ინგლისურ ენაზე. გარდაიცვალა 1909 წ.

დეკემბერი

1 -- 95 წლისწინათ (1924 წ.) დაიბადა ოთარ მამფორია – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 2000 წ.

4 -- 165 წლის წინათ (1854 წ.) დაიბადა ვასილ (ვასო) აბაშიძე – ქართველი მსახიობი. ქართული რეალისტური აქტიორული სკოლის ერთერთი ფუძემდებელი, საქართველოს პირველი სახალხო არტისტი (1922 წ.).

8 -- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა სპარტაკ ბაღაშივილი – ქართველი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. გარდაიცვალა 1977

10 -- 95 წლის წინათ (1924 წ.) დაიბადა ხუტა ბერულავა – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 2004 წ.

-- საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის დღე.

15 -- 95 წლის წინათ (1924 წ.) დაიბადა ანა კალანდაძე – პოეტი. გარდაიცვალა 2008 წ.

16 -- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა ბათუ კრავეიშვილი – ქართველი მომღერალი (ბარიტონი), და პედაგოგი, გარდაიცვალა 1970 წ.

-- 120 წლის წინათ (1839 წ.) დაიბადა ანტონ ფურცელაძე ქართველი მწერალი. გარდაიცვალა 1913 წელს.

17 -- ბარბარობა.

20 -- 90 წლის წინათ (1929 წ.) დაიბადა სარგის ცაიშვილი – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. გარდაიცვალა 1992 წ.

21 -- 140 (წლის წინათ (1879 წ.) დაიბადა იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) – სახელმწიფო მოღვაწე. გარდაიცვალა 1953 წ.

22 -- 105 წლის წინათ (1914 წ.) დაიბადა ვლადიმერ უბილავა – ქართველი პოეტი. გარდაიცვალა 1942 წ.

25 -- აღსაყდრების დღე სრულიად

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-სა.

27 -- 120 წლის წინათ (1899 წ.) დაიბადა გიორგი ლეონიძე – ქართველი მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1966 წ.

31 -- 100 წლის წინათ (1919 წ.) დაიბადა იაკობ ტრიპოლსკი – ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. გარდაიცვალა 1988 წ.

-- 80 წლის წინათ (1939 წ.) დაიბადა ცისანა ტატიშვილი – ქართველი მომღერალი.

31 -- 170 წლის წინათ (1849 წ.) დაიბადა მიხეილ ასათიანი – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი. გარდაიცვალა 1879 წ.

მიმდინარე წელს აღინიშნება პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის 390 (1629) და საქართველოში პირველი ქართული სტამბის დაარსების 310 წლისთავი (1709) საიუბილეო თარიღები.

-- 1635 წლის წინათ (ძვ.წ. 384-322) დაიბადა და მოღვაწეობდა არისტოტელე – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერი. პლატონის მოწაფე.

-- 230 წლის წინათ (1789 წ.) დაიბადა გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (იოანე ბატონიშვილის (ბაგრატიონის) ძე – ქართველი მწერალი, მწიგნობარი. გარდაიცვალა 1830 წ.

-- 250 წლის წინათ (1769 წ.) დაიბადა გიორგი ავალიშვილი – ქართველი მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე, მოგზაური. გარდაიცვალა 1850 წ.

-- 175 წლის წინათ (1844 წ.) დაიბადა ნიკოლოზ (ნიკო) ავალიშვილი – ქართველი ჟურნალისტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, რეჟისორი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე. გარდაიცვალა 1929 წ.

-- 1010 წლის წინათ დაიბადა გიორგი მთაწმინდელი. ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი. გარდაიცვალა 1065 წელს.

-- 60 წლის წინათ (1954 წ.) დაიბადა გიორგი (გოგი) დოლიძე – ქართველი მომღერალი, ხალხური და საესტრადო სიმღერების შემსრულებელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1996 წ.

კალენდარი შეადგინა ქეთევან ნიკურაძემ, თბილისის ახალგაზრდობის საქალაქო ბიბლიოთეკა.

ნეკროლოგი

თამარ ხიდეშელი-ბაკურაძის ხსოვნას

ძნელია სათანადო სიტყვებს მოუყარო თავი და წერო საყვარელ ადამიანზე, რომელიც აღარ გყავს.



თამარ ხიდეშელი საბიბლიოთეკო სისტემაში მუშაობდა ორმოცდაორი წელი 1973 წლიდან 2015 წლამდე. მათ შორის ოცდათექვსმეტი წელიწადი ერთ ბიბლიოთეკაში – ლოტკინზე. იგი საქმის ერთგული, ჩუმი პროფესიონალი

ბიბლიოთეკარი იყო. გავლილი ჰქონდა საბიბლიოთეკო საქმიანობის ყველა საფეხური ბიბლიოთეკარიდან ფილიალის გამგის თანამდებობამდე. იყო გამორჩეული თავისი გარეგნობით, მოყვანისადმი სიყვარულით, თანადგომით, სიკეთით, თავმდაბლობით და სიმშვიდით. გულით ჩუმიად დაატარებდა ქვეყნად ყველაზე საშინელ ტრაგედიას-შვილის დაკარგვით გამოსწვეულ დიდ ტკივილს. მისი საქციელით მხოლოდ სიკეთის კეთებას ემსახურებოდა, ახლობლების გვერდში დოგმა უყვარდა, გაჭირვებული ადამიანი ეცოდებოდა, იყო სანიმუშო თანამშრომელი, მეგობარი, დედა, მეუღლე, დედმამიშვილი. რეს ყველაფერი მისი დიდი ოჯახის დამსახურებაა ის მრავალ დედმამიშვილთა შორის მეორე იყო და ასაკით უფროსობასთან ერთად მშობლის მზრუნველობაც შეთვისებული ჰქონდა.

ჩვენო თამრიკო! ვინც შენ გიცნობდა ყველა დიდი სითბოთი და სიყვარულით გიგონებს, მშვიდობით გულწრფელო, ხათრიანო, სიყვარულით და სიკეთით სავსე კარგო ადამიანო.

ნათელი შენს სულს!

№42 და №49 ბიბლიოთეკების თანამშრომელთა სახელით მანანა ლომსაძე.

პროექტის აღიარება



მიმდინარე წლის 7 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა ქვეყნის სხვადასხვა დარგებში შესრულებული პროექტების შედეგების შეჯამება. განხორციელებულ პროექტებს შორის ყველაზე წარმატებულ პროექტად მიჩნეული იყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ განხორციელებული პროექტი „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. პროექტის მიმდინარეობამ დიდი წვლილი შეიტანა საჯარო ბიბლიოთეკების ტექნიკური გადაიარაღებასა და მოდერნიზაციის საქმეში. ამ წვლილისათვის პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ქალბატონი რუსუდან ასათიანი. ჟურნალის რედაქცია მზურვალედ ულოცავს ქალბატონ რუსუდანს ღირსეულ ჯილდოს და უსურვებს შემდგომ წარმატებებს.



ძვირფასო კოლეგებო!



ჟურნალის რედაქცია გილოცავთ დამდეგ 2019 წელს!

ბედნიერი წელი ყოფილიყოს 2019 წელი თითოეული თქვენთაგანისთვის.

გისურვებთ ულევ სიბარულს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა, შემოქმედებით წინსვლას.

მადლობას მოგახსენებთ თითოეულ ავტორს თანამშრომლობისთვის და თანადგომისთვის.

საუკეთესო საახალწლო სურვილებით,

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია

සමස්ත ජාතික සංගීතය

